

სამოქალაქო

პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2015, №6**

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2015, №6**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2015, №6**

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2015, №6**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. პროცესის ხარჯები

სახელმწიფო პაჟის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები

განვითარება

№ას-323-304-2014

8 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
მოსამართლე: ვ. როინიშვილი

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. და ა. მ-მა სარჩელი აღმრეს ოზურგეთის რაიონულ სასა-
მართლოში დ. გ-ის, გ. ტ-სა და ს. ჩ-ის მიმართ თანხის დაბრუნე-
ბის მოთხოვნით.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 ნოემ-
ბრის გადაწყვეტილებით გ. მ-სა და ა. მ-ის სარჩელი დაკმაყო-
ფილდა. გ. ტ-სა და ს. ჩ-ს მოსარჩელე გ. მ-ის სასარგებლოდ და-
ეკისრათ 20 000 ლარის გადახდა; დ. გ-ეს მოსარჩელე გ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4 980 აშშ დოლარის გადახდა; დ. გ-ეს მოსარჩელე ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 ლარის გა-
დახდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-
საჩივრეს დ. გ-ემ და გ. ტ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის განჩინებით აპელანტებს დაე-
ნიშნათ საპროცესო ვადა, სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად და სახელმწიფო ბაჟის გადასახდე-
ლად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინებით დ. გ-სა და გ. ტ-
ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრისა და 2014 წლის 4 მარტის განჩი-
ნები კერძო საჩივრით გაასაჩივრეს აპელანტებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით დ. გ-სა და გ. ტ-

ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად, ხოლო გ. ტ-ის კერძო საჩივარი მიღებული უნდა იქნას ნარმოებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარნყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, ნინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო-ებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისთვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი განუხილველი დარჩება.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორებს, ხარვეზის შევსების მიზნით, თითოეული კერძო საჩივრის ავტორის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოსადგენად განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადა მიეცთ. აღნიშნული განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა დ. გ-ეს 2014 წლის 25 აპრილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. სასამართლო შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის დენის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დაგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

დასახელებული ნორმების თანახმად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი სამდლიანი ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 26 აპრილს და ამოიწურა 2014 წლის 28 აპრილს. სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში დ. გ-ეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის, რაც დ. გ-ის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნის წარმომადგენილი გ. ტ-ის კერძო საჩივრი უნდა დარჩეს განუბილველად.

რაც შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნის წარმომადგენილი გ. ტ-ის მიერ წარმოდგენილ კერძო

საჩივარს, საკასაციო პალატა უთითებს, რომ გ. ტ-ემ ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეგასო და წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული კერძო საჩივარი განხილულ უნდა იქნას ზეპირი მოსმენის გარეშე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 420-ე, 401-ე, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში გ. ტ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნეს განსახილველად.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 4 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დ. გ-ის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სახელმწიფო პაზის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

№ას-995-956-2014

14 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: კრების ოქმებისა და ნასყიდობის ხელშეკ-
რულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოში ლ. შ-ისა და სს „დ-ის“ წინააღ-
მდეგ სარჩელი აღძრა კრების ოქმების ბათილად ცნობისა და
მოპასუხების შორის 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული
ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ „სა-
ხელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სარჩელი დაკმაყო-
ფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სს „დ-ის“ „სამეთვალყურეო საბ-
ჭოს 2013 წლის 19 დეკემბრის კრების №17 და 2013 წლის 26
დეკემბრის №18 ოქმები, ასევე ბათილად იქნა ცნობილი სს „დ-
სა“ და ლ. შ-ს შორის 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული
უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ლ. შ-მ სააპელაციო წესით გა-
ასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით ლ. შ-ს განჩინე-
ბის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 5000
ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა
დაევალა.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის განჩინებით ლ.
შ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს
მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გა-
მო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ კერძო სა-

ჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეეძლო, რის გამოც, ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა, სააპელაციო სასამართლომ კი, ეს შუამდგომლობა არ გაითვალისწინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიზნევს, რომ ლ. შ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, ლ. შ-ის სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველად. კერძო საჩივარს ერთვის ლ. შ-ის საპენსიო მოწმობა, რომლის თანახმადაც, ეს უკანასკნელი მე-2 ჯგუფის ინვალიდია.

„სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო – საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ყველა სარჩელზე თავისუფლდებიან, შესაბამისად, ლ. შ-ე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ლ. შ-მ თავის კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლი ითვალისწინებს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესაძლებლობას. ვინაიდან ლ. შ-ე ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, კერძო საჩივარზე გადახდილი ბაჟი უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე, 42-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- ლ. შ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ივლისის განჩინება და

საქმე ლ. შ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. ლ. შ-ს დაუბრუნდეს 12/09/2014 წლის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 30077 3150;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო გაზის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

№ას-255-242-2015

23 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ს-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ს-ის მიმართ 2001 წლის 7 ოქტომბერს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქველი თბილისის სამსახურის მიერ №211 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის, არასრულწლოვანი შვილების: ნ. ს-სა და ქ. ს-ის სასარგებლოდ ალიმენტის – თითოეული სათვის თვეში 2 000 ლარის დაკისრების, ასევე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული უძრავ-მოძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ, განქორწინებისა და ალიმენტის დაკისრების ნაწილში ცნო, მოპასუხის განმარტებით, ის თანაბმათა გადაიხადოს ალიმენტი, თუმცა არა სარჩელით მოთხოვნილი ოდენობით, რაც შეეხება თანამესაკუთრედ ცნობას,

მოპასუხემ ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. ს-ს და ე. ს-ს შორის 2001 წლის 7 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორნინება შეწყდა და №211 ქორნინების სააქტო ჩანაწერი გაუქმდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შეიღების: 2002 წლის 6 დეკემბერს დაბადებული 6. ს-ისა და 2010 წლის 22 ოქტომბერს დაბადებული ქ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 270-270 ლარის ოდენობით, რომლის გადახდევინება დაიწყო სარჩელის ალდვრის დღიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით ე. ს-ე ცნობილ იქნა მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ: ქ.თბილისი, ქ-ის ქ. №11, კოსტავას შესახვევი 2-ის №3, ბლოკი „ბ“, ბინა №42; ქ.თბილისი ქ-ის ქ. №11, კოსტავას ქუჩა მეორე შესახვევი №3, „ბ“ ბლოკი, მე-8 სართული, საერთო ფართი - 13,07 კვ.მ; მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა LEXUS RX 350-ის 1/2-ის თანამესაკუთრედ; ე. ს-ე ასვე ცნობილ იქნა 1/2 წილის მესაკუთრედ დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული წილებიდან შემდეგ საწარმოებში: ა) შპს „ფ-ი“ (ს/კ ...) დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 50%-ის ნილის 1/2 ნილის მესაკუთრედ; ბ) შპს „გ-ი“ (ს/კ ...) დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 45%-ის 1/2-ის მესაკუთრედ; გ) შპს „გ-ში“ (ს/კ ...) დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 40%-ის 1/2-ის მესაკუთრედ; დ) შპს „კ-ში“ (ს/კ ...) დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 100%-ის 1/2-ის მესაკუთრედ; ე) შპს „ს-ი“ (ს/კ ...) დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 100%-ის 1/2-ის მესაკუთრედ. დ. ს-ს ე. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა შპს „რ-ის“ (ს/კ ...) კაპიტალში 2014 წლის 23 მაისამდე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული 100%-იანი რეალიზებული წილიდან ე. ს-ის კუთვნილი 1/2-ის სანაცვლოდ 125 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის; შპს „ე-ის“ (ს/კ ...) კაპიტალში 2014 წლის 15 მაისამდე დ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 100%-იანი რეალიზებული წილიდან ე. ს-ის კუთვნილი 1/2-ის სანაცვლოდ 190 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციის წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მისი ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით დ. ს-ის შუამ-

დგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ ამავე სასამართლოს 2014 წლის 1 დეკემბრის გაჩინებით დ. ს-ს სააპელაციო საჩივარში არ-სებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 10 დღის ვადა და დაევალა: გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი – 5 000 ლარი და ამ განჩინებით დადგენილ ვადაში წარედგინა სააპელაციო სასამართლოში;

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინება დ. ს-ის წარმომადგენელ მ. მ-ს ოჯახის წევრს – თ. მ-ს ჩარდა 2015 წლის 13 იანვარს;

2015 წლის 22 იანვარს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა დ. ს-მა, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება. განმცხადებლის მითითებით საქმეში წარმოდგენილია საბანკო ანგარიშებიდან ამონანერები, შემოსავლების სამსახურის, საჯარო რეესტრის, შსს მომსახურების სააგენტოსა და ბანკის მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებენ მის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და ფულადი სახსრების უქონლობას. პპელანტმა ასევე წარადგინა შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 21 იანვრის ცნობა, რომლის თანახმადაც სსკ-ის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შემოსავლების სამსახურის ერთანი ელექტრონული ბაზის 2015 წლის 20 იანვრის მონაცემებით, ფ/ვ დ. ს-ს 2014 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ უფიქსირდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით, 102-ე მუხლით და მიიჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ დაუსაბუთებელი იყო. საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდებოდა აპელანტის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, მართალია, დ.სპარსიაშვილს, როგორც ფიზიკურ პირს 2014 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ უფიქსირდებოდა, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდებოდა, რომ მის სახელზე რეგისტრირებული იყო არა ერთი უძრავ-მოძრავი ქონება და ნიღები სხვადასხვა საწარმოებში.

პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების თანახმად, რადგან დ. ს-ს არ გამოუსწორებია 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი, ამასთან, რადგანაც არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი, ხოლო წარდგენილი განცხადება არ შეიცავდა შუამდგომლობას სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზის შექვების ვადის გაგრძელების შესახებ, მიიჩნია, რომ არსებობდა ამავე კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩვრის განუხილველად დატოვების წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ს-მა და მოითოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა, რადგანაც მხარემ მას მიმართა შუამდგომლობით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე. შუამდგომლობის საფუძველს წარმოადგენდა მისი ფინანსური მდგომაროება. ის გარემოება, რომ აპელანტს არ გააჩნდა შემოსავალი, დასტურდებოდა მის მიერ წარდგენილი საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით. მართალია სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ეს მტკიცებულება, თუმცა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნია ის, რომ აპელანტს გააჩნდა აქტივები, უძრავ-მოძრავი ქონება და წილები სხვადასხვა საწარმოში.

სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომ არ შეამონმა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები: საჯარო რეესტრის ამონაწერები, რომლებითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე იპოთეკის უფლების რეგისტრაცია, ხოლო მოთხოვნის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ქონების ღირებულებას. სასამართლოს ასევე არ შეუფასებია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები, რომელთა შედეგადაც უძრავ ქონებასა და საწარმოებში არსებულ მოპასუხის წილებს ადევს ყადაღა. ყოველივე აღნიშნული, მხარის მოსაზრებით, ადასტურებს მის ობიექტურ შეუძლებლობას, გამოიყენოს აქტივები და გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, ამასთანავე მისი კუთვნილი უძრავი ქონებები, არსებული ვალდებულებების გამო, გასხვისდა აუქციონზე. სააპელაციო პალატამ მხარეს შეუზღუდა უფლების დაცვის შესაძლებლობა, მას შეეძლო შუამდგომლობის თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილებით გადაევადებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა ან გონივრულ ოდენო-

ბამდე შეემცირებინა იგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 18 მარტის განჩინებით დ. ს-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა დ. ს-ის კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ამ გზით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერება.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ პრინციპზე, რომლის თანახმადაც, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუციით გარანტირებული ამ უფლების კონკრეტულ რეალიზაციას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, თუმცა უპირატესად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური ხასიათის არაა და იგი შეიძლება მხოლოდ კანონისმიერ, ლეგიტიმურ შეზღუდვას ემყარებოდეს (სსსკ 2.2 მუხლი). ამგვარ შეზღუდვათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ამავე კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე. თანასწორობის პრინციპის დაცვის მექა-

ნიზმი საპროცესო კანონმდებლობაში მრავლადაა, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს 215-ე მუხლი. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია.

ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღბას გაამახვილებს დავის რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებაზე:

საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით დ. ს-ი მოითხოვდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კონკრეტულ ნაწილში გაუქმებას, შესაბამისად, მითითებული ჰქონდა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც, მისი მოსაზრებით, ასაბუთებდა სააპელაციო მოთხოვნას. სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს შუამდგომლობას ქონებრივი მდგომარეობის გამო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისა თუ მისი გადახდის გადავადების თაობაზე;

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ დ. ს-ის სამქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის არც ერთი ნაწილით არ არის გათავისუფლებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით სააპელაციო სასამართლომ ხარვეზი დაუდგინა სააპელაციო საჩივარს და აპელაცის დაკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რომლის ოდენობაც, სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენდა 5 000 ლარს;

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში ასახული მსჯელობა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის თაობაზე მხარეს სადავოდ არ გაუხდია;

აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ითხოვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეცნობა დადგენილი ხარვეზის თაობაზე, შუამდგომლობა კი დასაბუთებულია არა რაიმე ახალი გარემოებით, რომელიც სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის არ არსებობდა, არამედ სწორედ საჩივრის წარდგენის დროს არსებული მდგომარეობით. წარდგენილი განცხადების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე მოითხოვს საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების შეფასებას, რომელიც დაადასტურებს მის ქონებრივ მდგომარეობას, რაც შეეხება განცხადებაზე დართულ მტკიცებულებას, მართალია, იგი 2015 წლის 21 იანვრითაა დათარიღებული, თუმცა ეს მტკიცებულება

ასახავს 2014 წელს არსებულ დ. ს-ის ქონებრივ მდგომაროებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ბაჟის შე-სახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის თა-ნახმადაც, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდი-ული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთე-ბის გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნ-ქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუ-ბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გა-დამხდელებად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუ-ნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სა-ხელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარ-ჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წი-ნასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქ-მედების შესრულება მოითხოვა.

ის გარემოება, რომ კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მი-თითებული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას, არ არის აბსოლუტური და წარმოადგენს უკიდურეს შემთხვე-ვას, როდესაც სასამართლო მხარის მიერ წარდგენილი მტკიცე-ბულებების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მივა დასკვნამ-დე, რომ სავალდებულოა გამოიყენოს საგამონაკლისო ნორმა მხარის მიმართ.

თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო საქმეს იხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას გათვალის-წინებულ უნდა იქნას მეორე მხარის ინტერესები. სასამართლომ მხარეთა ინტერესებისა და წარდგენილი შუამდგომლობის კა-ნონშესაბამისობის შემოწმების გზით უნდა დაადგინოს გონივ-რული ბალანსი იმგვარად, რომ შუამდგომლობის დაქმაყოფი-ლების გზით სამართალწარმოების გაუჭიანურებლად დაცული იყოს მეორე მხარის უფლებებიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევების გამოყენების წინა-პირობაა შუამდგომლობის დროულად და დადგენილი წესით წარდგენა, ასევე მხარის მიერ ქონებრივი მდგომარეობის უტ-ყუარად დადასტურება, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხა-

რე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩინდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს სადაცოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში კი, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამგვარი მტკიცებულებები მხარეს არ წარუდგენია (სასამართლო განჩინებებით ყადაღად დადებულია სადაცო ქონებს 1/2 ნაწილზე, რომელზე პრეტენზიასაც მოსარჩელე აცხადებდა), ხოლო ის გარემოება, რომ მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული ქონება გაყიდულია საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მხარეს არც დადგენილი ხარვეზი გამოუსწორებია და არც საპროცესო ვადის გაგრძელება მოუთხოვია, რის გამოც, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების, ასევე 374-ე მუხლის თანახმად, მართებულად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. საპროცესო ვალები

საპროცესო მოქმედების შესრულების ვალი

განჩინება

№ას-137-129-2014

17 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღნერილობითი ნაწილი:

სს „კ. ს. ბ-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში თ. თ-ის ნინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 12190,35 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „კ. ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თ. თ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3836,74 აშშ დოლარი. თ. თ-ეს 2013 წლის 6 ივნისიდან ვალდებულების სრულ დაფარვამდე სს „კ. ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ყოველ-დღიურად 0,7 აშშ დოლარის ანაზღაურება. სს „კ. ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის 8353,61 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება თ. თ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა 2355.74 აშშ დოლარის, პირგასამტებლოს სახით ყოველ-დღიურად 0.7 აშშ დოლარისა და პროცენტის დაკისრების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სახ. ბაჟის გადახდა 135.75 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინებით თ. თ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელს სააპელაციო სა-

ჩივარზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 7 დღით.

2013 წლის 25 დეკემბერს აპელანტის წარმომადგენელმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და წარმომადგინა სახ. ბაჟის, 231.48 ლარის, გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის განჩინებით თ. თ-ის საა-პელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით საქმეში წარმოდგე-ნილი საფოსტო უკუგზავნილით დასტურდება, რომ საპროცე-სო ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება თ. თ-ეს 2013 წლის 11 დეკემბერს ჩაბარდა. ხარვეზის შევსების 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 12 დეკემბრიდან. აღნიშნული საპრო-ცესო ვადა 2013 წლის 18 დეკემბერს ამოიწურა. საფოსტო კონ-კერტით დასტურდება, რომ აპელანტის წარმომადგენელმა ო. ჩ-ემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება ფოსტას ჩაბარა მითითებული ვადის გასვლის შემდგომ – 2013 წლის 21 დეკე-ბერს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. თ-ის წარმომადგე-ნელმა ო. ჩ-ემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, გზავნილი 2013 წლის 18 დეკემბერს 18:40:32 საათზე ჩაბარა შპს „საქართველოს ფოსტის“ კურიერს, რაც აისახა ელექტრო-ნულ პროგრამაში. გზავნილის გადაცემა დადასტურდა კურიე-რის ხელმოწერით, თუმცა კონვერტს ბეჭედი დაერტყა უკვე სა-ფოსტო განყოფილებაში წარდგენის შემდეგ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. თ-ის წარმომადგენელი ო. ჩ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-დეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედ-ვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალის-წინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასა-ციო საჩივრის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტო-რის მტკიცებას, რომ გზავნილი საპროცესო ვადის ამონურვამ-

დე ჩაბარდა ფოსტას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინებით თ. თ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესაცებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 7 დღით. განჩინება თ. თ-ეს 2013 წლის 11 დეკემბერს ჩაბარდა, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლიდან გამომდინარე, ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის ათვლა 12 დეკემბრიდან დაიწყო და 18 დეკემბერს ამოიწურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაპბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ი. ჩ-ემ შპს „საქართველოს ფოსტის“ კურიერს შპს „რ. ს-ოს“ სახელით თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაგზავნად გადასცა №040000443537 გზავნილი. გზავნილის იგივე ნომერია მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2013 წლის 23 დეკემბერს შესულ თ. თ-ის ხარვეზის შევსების შესახებ განცხადების კონვერტზე. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ შპს „რ. ს-ოს“ საფოსტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „საქართველოს ფოსტასთან“ და კორესპონდენციის გაგზავნაზე უფლებამოსილი პირია ი. ჩ-ე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მიზნებისათვის არ იგულისხმება გზავნილის უშუალოდ საფოსტო განყოფილებაში მიტანა. საპროცესო ვადის ბოლო დღის 24:00 საათამდე გზავნილის გადაცემა ფოსტის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის ასევე ნიშნავს საპროცესო მოქმედების ვადაში შესრულებას.

მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ ი. ჩ-ემ 2013 წლის 18 დეკემბერს გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტის“ კურიერს გადასცა. სადავო არაა, რომ იგივე გზავნილი თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2013 წლის 23 დეკემბერს შევიდა, ვინაიდან რეესტრში და კონვერტზე მითითებული გზავნილის ნომრები ერთმანეთს ემთხვევა, ამდენად, საკასაციო სასამართლო

მიიჩნევს, რომ თ. თ-ემ სასამართლოს ხარვეზის გამოსწორების შესახებ განცხადებით სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მიმართა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად არ უნდა დარჩენილიყო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. თ-ის წარმომადგენელი ი. ჩ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის განჩინება და საქმე თ. თ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. მხარეთა საპროცესო უფლება უნარიანობა და ქვედუნარიანობა

მოსარჩევის მიერ სარჩევის გამოხმობა

განხილვა

№ა-786-შ-16-2015

14 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღნერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დიუსელდორფის სა-
სამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გა-
უქმდა მხარეებს – დ. ც-სა და ლ. ჯ-სა შორის, 2010 წლის 15 ივ-
ლისს დიუსელდორფის მმაჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული
ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით E 1162/2010.

დ. ც-ის წარმომადგენელმა ი. ს-მ შუამდგომლობით მომარ-
თა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასა-
ხელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე
ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტი-
ლით დამოწმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის
განხილულია ზეპირი მოსმენით და სასამართლო სხდომაზე მხა-
რეები წარმომადგენლის მეშვეობით იღებდნენ მონაწილეობას,
დასტურდება ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება კანონიერ
დალაში 2015 წლის 13 იანვარს შევიდა. შუამდგომლობის ავტო-
რის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი
მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, ხოლო საქ-
მის მასალებით დადასტურებულია, რომ შუამდგომლობის ავ-
ტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინებით დ. ც-ის შუამ-
დგომლობა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დიუსელ-
დორფის სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტი-
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების

შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2015 წლის 3 აპრილს დ. ც-ის წარმომადგენელმა ი. ს-მ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ დ. ც-მ დაკარგა ინტერესი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოხდეს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების ლეგალიზაცია, რის გამოც სურს საქმის უკან გახმობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ც-ის წარმომადგენლის ი. ს-ის განცხადება შუამდგომლობის გამოხმობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და მისი შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს წარმოებაშია დ. ც-ს შუამდგომლობა ლ. ჯ-ს მიმართ განქორწინების თაობაზე. დ. ც-ის წარმომადგენელმა ი. ს-მ იშუამდგომლა საქმის გამოხმობის შესახებ. პალატამ შეამოწმა ი. ს-ის უფლებამოსილება და მიიჩნევს, რომ წარმომადგენელს შეუძლია გამოიხმოს შუამდგომლობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. ც-ის წარმომადგენელი ი. ს-ის მოთხოვნა გერმანიის ფედერალური რესუბლიკის დიუსელდორფის სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობის გამოხმობის შესახებ, ანალოგიის წესის გამოყენებით განხილულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარ-

მოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ სასამართლო დაკავმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკავმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორ დ. ც-ის უფლებამოსილი წარმომადგენლის – ი. ს-ის მოთხოვნა შუამდგომლობის გამოხმობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკავმაყოფილდეს, ხოლო დ. ც-ის შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლით, 275-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით და 284-ე მუხლებით და

დადგინდა:

1. დ. ც-ის წარმომადგენლის ი. ს-ის განცხადება შუამდგომლობის გამოხმობის შესახებ დაკავმაყოფილდეს;
2. დ. ც-ის შუამდგომლობა ლ. ჯ-ას მიმართ განქორწინების შესახებ დარჩეს განუხილველად;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სასამართლო მტკიცებულებები საქმის ფაქტობრივი გარემონდების გამორკვევა

განხილვა

№ას-1234-1175-2014

23 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმითა პალატის
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და უძრავი
ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. წ-ი-ლ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. წ-ის მიმართ
უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და უძრავი ნივთის უკანონო
მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე შემდეგი დასაბუთე-
ბით:

მოსარჩელის განმარტებით, თბილისში, გომის მე-2 შესახვე-
ვი №4-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს სამი ფიზიკუ-
რი პირის თანასაკუთრებას. კერძოდ, ე. წ-ი-ლ-ს ეკუთვნის 46,21
კვ.მ. ფართი, შ. წ-ს – 11,78 კვ.მ., ხოლო გ. გ-ს – 40,81 კვ.მ. ფარ-
თი. მიწის ნაკვეთზე მდებარეობს 10 შენობა. აღნიშნული ფარ-
თის წინ, ნიშნულით დაბლა, ყოველგვარი მშენებლობის ნებარ-
თვის გარეშე შ. წ-ის მიერ მოშენებულია საცხოვრებელი ფარ-
თი, რომელიც საჯარო რეესტრში აღრიცხული არ არის საკუთ-
რების უფლებით. ამ ფართზე მოწყობილია ღია ტერასა, რომლი-
თაც სარგებლობდას მხოლოდ მოპასუხე. მოსარჩელის კუთვნილ
ფართს ფასადის მხარეს, მთელ სიგრძეზე აქვს ფანჯარა, რო-
მელსაც ესაზღვრება მოპასუხის სარგებლობაში არსებული ღია
ტერასა, რითაც ირლვევა კონსტიტუციით გათვალისწინებული
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. მიწის ნაკვეთი
წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას, შესაბამისად, მხარე-
თა შორის არსებული სადაც ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს
აღნიშნული საზიარო უფლების მომწესრიგებელი ნორმების შე-
საბამისად. მოსარჩელის განცხადებით, იგი შეიზღუდა, როგორც
საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლო-
ბით, ასევე უნებართვო მშენებლობების შედეგად მას წაერთვა

საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ყველა სანივთო უფლება. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხემ ასე-ვე უკანონოდ დაიკავა მის საკუთრებაში არსებული 10 კვ.მ. ფარ-თის სამზარეულო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის ქ. თბი-ლის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1985 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ თანამესა-კუთრეთა სახლები არის დამოუკიდებელი ნაგებობები, გააჩნი-ათ ცალკე შესასვლელი, სათავსოები და იზოლირებული ეზო. ამდენად, მოპასუხის მიერ საკუთარი სახსრებით უნდართვოდ აგებული ნაგებობებიც სწორედ აღნიშნულ იზოლირებულ ეზო-შია განთავსებული და კავშირი არა აქვს თანამესაკუთრეთა იზოლირებულ ეზოებთან ან მათ შენობებთან. აივანი, რომლის დემონტაჟსაც ე. წ-ი-ლ-ი ითხოვს, არ გადის სხვა თანამესაკუთ-რების ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ფართზე. მო-პასუხ აივნის დემონტაჟისთვის აუცილებლად მიიჩნევს, სა-მოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის შესაბამისად, დადგინდეს აივნიდან გამომდინარე მოსარჩელის ბინაზე დაუშენებელი ხელ-ყოფის ფაქტი, რასაც მისი აზრით, ადგილი არა აქვს.

მოპასუხე ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას სამ-ზარეულოს დაკავების ნაწილში და აღნიშნა, რომ ეს ფართი ემიჯენბოდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფართს. მო-მიჯნავე ფართი თავდაპირველად იყო საერთო საკუთრებაში და დანარჩენ 10 კვადრატულთან ერთად აღნიშნულით სარგებლობ-და შ. წ-ი ძველ მესაკუთრესთან ერთად, რომელსაც დანარჩენი თანამესაკუთრებების თანხმობით გადაეცა საკუთრებაში კუთ-ვნილი წილი, 10 კვ.მ. შესაბამისად, დანარჩენი 10 კვ.მ. ფართის გადაცემის მოთხოვნა, მოპასუხის აზრით, უსაფუძვლოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. წ-ი-ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე შ. წ-ს დაე-ვალა თბილისში, გომის მე-2 შესახვევი №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობიდან (საკადასტრო კოდი 01.18.03.072.055) საკადასტრო გეგმის მიხედვით 9/1 შენობა-ნაგებობის თავზე მოწყობილი ღია ტერასისა და მასზე განლაგებული ხვეული, რკინის კიბის მოშ-ლა. მასვე დაევალა საკადასტრო გეგმის მიხედვით 3/2 შენობის კედელში გაჭრილი იმ კარების ამოშენება, რომელიც გადიოდა ტერასაზე; ე. წ-ი-ლ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილება-ზე იმ სასარჩელო მოთხოვნათა ნაწილში, რომელიც შეეხებო-და: ა) თბილისში, გ-ის მე-2 შესახვევი №4-ში მდებარე შენობა-

ნაგებობიდან (საკადასტრო კოდი №...) საკადასტრო გეგმის მიხედვით 9/1 და 5/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟს; ბ) საკადასტრო გეგმის მიხედვით 10/1 შენობის მომიჯნავედ მდებარე ეზოს ნაწილით სარგებლობაში ხელშეშლას; გ) შ. წ-ის უკანონო მფლობელობიდან შენობის ფართის გამოთხოვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორეს ე. წ-ი-ლ-მა და შ. წ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ე. წ-ი-ლ-სა და შ. წ-ის სააპელაციო საჩინორები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, გ-ს მე-2 შესახვევი, №4-ში მდებარე 304 კვ.მ მინის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...) საჯარო რეესტრში აღრიცხულია გ. გ-ს, შ. წ-ის, ე. წ-ი-ლ-ს თანასაკუთრებად.

მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე მესაკუთრეთა საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ინდივიდუალურად. კერძოდ: ე. წ-ი-ლ-ის ინდივიდუალურ საკუთრებაში რეგისტრირებულია საერთო ფართი 46,21 კვ.მ. (ნაგებობა №6 – ფართით 6,76 მ², №8 ნაგებობა – 24,04 კვმ ფართით და ასევე №7 ნაგებობაში – 15,41 კვ.მ ფართი), შ. წ-ს ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრირებულია ნაგებობა №3 და №4 (ლიტ „ვ“) საერთო ფართით 11,78 კვ.მ, ხოლო გ. გ-ის საკუთრებად – ნაგებობა №1 და №2 საერთო ფართით 40,81 კვ.მ.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე შ. წ-ის და მესამეპირის გ. გ-ის რეალურ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების ფართი მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართებს და მათ მფლობელობაში, გარდა კანონიერი ნაგებობებისა, ასევე არის უნებართვოდ აშენებული ნაგებობები: მაგალითად, შ. წ-ს ნაცვლად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 11,78 მ²-სა, რეალურად დაკავებული აქვს სამ სართულზე განთავსებული 133 მ² (2013 წლის 11 და 24 ოქტომბრის სასამართლო სხდომების ოქმები, 21.11.2013). გადაწყვეტილება). 11,78 მ²-ის ზემოთ ფართი ლეგალიზებული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, გომის მე-2 შესახვევი №4 მისამართზე განთავ-

სებული მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თანამედროვე სახით ფორმირება დასრულდა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითრების ფონდის მიერ ქ. თბილისის ქვემო კალას უბნის შენობათა რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში.

თავად ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი ლიკვიდირებულია ქალაქ თბილისის მთავრობის 07.03.2012წ. დადგენილებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეების განმარტებით, ქ. თბილისის ქვემო კალას უბანი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს (07.10.2014წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 16:18:54-16:19:38).

პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წერილზე, რომ-ლითაც განმარტებულია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ფასადებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება საჭიროებს მშენებლობის ნებართვას და აკრძალულია უნებართვოდ აივნის მიშენება ან ამოშენება, ფასადზე ახალი ლიობების გამოჭრა, არსებული ლიობის გაფართოება ან ამოშენება და მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება. გაფრთხილებაში ასევე მითითებულია, რომ მსგავსი უნებართვოდ განხორციელებული სამუშაოები ამასინჯებს დედაქალაქის იერსახეს და არღვევს ახლად რეკონსტრუირებული შენობა-ნაგებობის ერთგვაროვან არქიტექტურულ სახეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უნდა გარკვეულიყო რა პარამეტრებით და ფარგლებში შედიოდა აღნიშნული სახლთმფლობელობა ან/და უბანი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში. სხორცედ ამ საკითხის კვლევის და სპეციალური კანონით განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმის გამოყენების საჭიროების დადგენის შემთხვევაში უნდა გარკვეულიყო – იყო თუ არა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებამოსილი ორგანო მოცემული დავის თაობაზე ინფორმირებული და არსებობდა თუ არა მოცემულ დავაში მისი ჩაბმის კანონის-მიერი წინაპირობები.

სასამართლომ მიუთითა ასევე საქმეში წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის 19.02.2013წ. №12/12782-7 სხდომის ოქმზე, რომელზეც განხილული იქნა ე. წ-ი-ლ-ის საჩივარი გადაწყვეტილე-

ბაზე, რომლითაც კორექტირება შევიდა 14.08.2009წ. ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გ-ს მე-2 შესახვევი №4-ში №01/1164 ბრძანებით შეთანხმებულ ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტში და ობიექტს დაემატა კიბე, რომლის დემონტაჟიც იყო მოთხოვნილი წარმოდგენილი სარჩელით. აღნიშნული სხდომის ქვემით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ნ-ი-ლ-ის ადმინისტრაციული საჩივრის მოწინააღმდეგი მხარე იყო ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური, დაინტერესებული პირის სტატუსით კი მიწვეული იყო ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“. აღნიშნულზე დაყრდნობით პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ღია ტერასის და მასზე განლაგებული ხვეული რკინის კიბის დემონტაჟის საკითხის გადაწყვეტისას ასევე უნდა გარკვეულიყო იმ პირის პოზიცია, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების დროს იყო მოწინააღმდეგი მხარე, დაინტერესებული პირი. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ქ. თბილისის მერიისათვის (სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის) ან ააიპ „თბილისის განვითარების ფონდისათვის“ რაიმე ფორმით ცნობილი იყო წინამდებარე დავის სასამართლოში განხილვის თაობაზე. პალატამ აქვე განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე და 90-ე მუხლები ადგენს მესამე პირის ჩაბ-მის შესაძლებლობას მხარის ან თავად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის შუამდგომლობის საფუძველზე. დისპოზიციურობის მიხედვით მხარეები თავად წყვეტებ მიმართავენ თუ არა სასამართლოს ასეთი შუამდგომლობით. ამასთან, თუ ჩანს, რომ დავაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ შემდგომში შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ, უნდა გაირკვეს, არის თუ არა ასეთი სუბიექტი ინფორმირებული დავის თაობაზე, რაც საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ასეთმა პირმა გადაწყვიტოს, ისარგებლებს თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი უფლებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოებების თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს უარი სარჩელზე ეზოთი სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მესაკუთრეებს შორის ეზო ქ. თბილისის კიროვის რაიონის

სახალხო სასამართლოს 1986 წლის 7 თებერვლის №2/36 გადაწყვეტილებით ფაქტობრივად იყო გაყოფილი, ანუ დადგენილი იყო სარგებლობის წესი და ამჟამინდელი საჯარო რეესტრის ჩანაწერი თანასაკუთრებასთან დაკავშირებით, არ შეესაბამებოდა რელობას. შესაბამისად, ეზო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა ინდივიდუალური საკუთრების ობიექტად.

ამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროს (1986წ.) მიწა არ წარმოადგენდა საერთო საკუთრების ობიექტს, ის სახელმწიფო საკუთრება იყო. შესაბამისად, ვერც მასზე საკუთრების გამიჯვენა მოხდებოდა. კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს პირდაპირ მითითებას თუნდაც ეზოთი სარგებლობის საზღვრების კონკრეტულ მდებარეობაზე და პარამეტრებზე. მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა საერთო საკუთრებად აღირიცხა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე. ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებამ ასახვა პპოვა ტექინვენტარიზაციის ბიუროს მონაცემთა შორის და ის მიეთითა თითოეული მესაკუთრის საკუთრების უფლების და მისი მოცულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ საფუძვლად მხოლოდ შენობა-ნაგებობებთან მიმართებით. გარდა ამისა, სააპელაციო პალატის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ უდავო იყო სხვადასხვა პერიოდში ეზოში უნებართვო მშენებლობების წარმოების ფაქტი, ეზოთი სარგებლობის თუნდაც შეთანხმებული წესის დადგენისას უნდა გამოკვლეულიყო რა ფართობი (რა პარამეტრებით) იყო შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების პერიოდში (1986წ.) და რა ფართობია სარგებლობაში ამჟამად; კონკრეტულად ეზოს რა ნაწილს ფლობდნენ შენობა-ნაგებობების ადრინდელი მესაკუთრეები და ეზოს რა ნაწილია მათ უფლებამონაცვლეთა მფლობელობაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საკითხზე, მხარეთა შეთანხმება მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე აუქმებდა თუ არა, ან ცვლიდა თუ არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპვების რეჟიმს, არსებობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებები (იხ. 09.01.2014წ. განჩინება საქმეზე №ას-496-472-2013).

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში ასევე იხილებოდა მოთხოვნები მოსარჩელის, მოპასუხის და მესამე პირის გ. გ-ის ამჟამად საერთო საკუთრებად

აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე უნდართვოდ აგებული (არალეგა-ლიზებული) შენობა-ნაგებობების ანუ მიწის ნაკვეთის არსები-თი შემადგენელი ნაწილის (9/1 და 5/1 ნომრებად აღნიშნული შენობა-ნაგებობები) დემონტაჟის თაობაზე, სააპელაციო სასა-მართლომ მიიჩნია, რომ საწინააღმდეგოს დადგენამდე (მიწაზე საზიარო უფლების გაუქმებამდე ან ჩანაწერის უსწორობის დად-გენამდე) სავალდებულო თანამონაწილეობის სახით მოპასუხედ (და არა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვ-ნის გარეშე) ჩაბმული უნდა ყოფილიყო მიწის ნაკვეთის ყველა რეგისტიტებული თანამესაკუთრე, რაც, სააპელაციო სასამარ-თლოს აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუ-ნების კიდევ ერთი პროცესუალური საფუძველი იყო.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ სააპელაციო სასა-მართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს პირველი ინსტან-ციის სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემო-ებები, რომლებზედაც დამყარებულია გასაჩივრებული გადაწ-ყვეტილება, ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებუ-ლებები და მათი სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასების სისწორე. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარ-გლები არ მოიცავს გადაწყვეტილი დავის ხელახლი განხილვის შესაძლებლობას. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში და-სადგენი გარემოებები წარმოადგენს ისეთ საკითხებს, რომელ-თა დადგენა უნდა მოხდეს საქმის პირველი ინსტანციის სასა-მართლოში განხილვის დროს, რაც მიზანშენონილს ხდის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუ-ნებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. წ-ი-ლ-მა შეიტა-ნა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინე-ბის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის იმავე სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითა, რომ თბილისში გ-ს მე-2 შესახვევი №4 მისამართზე განთავსებული, მხარეთა თანასაკუთრებაში არსე-ბული უძრავი ქონების თანამედროვე სახით ფორმირება დას-რულდა დეელი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონ-დის მიერ (შემსრულებელი) ქ. თბილისის ქვემო კალას უბნის შე-ნობათა რეაბილიტაციის პროგრამით, ხოლო თავად ძველი ქა-

ლაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი ლიკვიდირებულია ქალაქ თბილისის მთავრობის 07.03.2012 წ. დადგენილებით. მხარეების განმარტებით, თბილისის ქვემო კალას უბანი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გარკვეულიყო რა პარამეტრებით და ფარგლებში შედიოდა აღნიშნული სახლთმფლობელობა ან/და უბანი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში. სააპელაციო სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ გასარკვევი იყო, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებამოსილი ორგანო არის თუ არა მოცემული დავის თაობაზე ინფორმირებული და არსებობდა თუ არა აღნიშნულ დავაში მისი ჩაბმის კანონისმიერი წინაპირობები. საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მსჯელობა არ შეიძლება გაზიარებული იქნას, რადგან იგი მიუთითებს იმაზე, რომ სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისუა საქმეში წარმოდგენილი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წერილს, რომლითაც განმარტებულია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ. №7 დადგენილების შესაბამისად შენობა-ნაგებობის ფასადებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება საჭიროებს მშენებლობის ნებართვას და აკრძალულია უნებართვოდ აივნის მიმენება ან ამოშენება, ფასადზე ახალი ღობის გამოჭრა, არსებული ღობის გაფართოება ან ამოშენება და მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება. გაფრთხილებაში ასევე მითითებულია, რომ მსგავსი უნებართვოდ განხორციელებული სამუშაოები ამაზინჯებს დედაქალაქის იერსახეს და არღვევს ახლად რეკონსტრუირებული შენობა-ნაგებობის ერთგვაროვან არქიტექტურულ სახეს. შ. წ-ის განმარტებით, ის არის წერილის ადრესატი, რომელსაც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა განუმარტა უფლება-მოვალეობები ახლად რეკონსტრუირებული შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს სწორი სამართლებრივი შეფასება რომ მიეცა ამ დოკუმენტი-სათვის, მაშინ ის მოცემულ საქმეზე ახალ გადაწყვეტილებას მიიღებდა სარჩელის დკმაყოფილების თაობაზე. საჩივრის ავტორი სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ თბილისის მერიის 19.02.2013 წ. №12/12782-7 სხდომის ოქმზე, რომელზეც განხილული იქნა ე. წ-ი-ლ-ის საჩივრი გადაწყვეტილებაზე, რომლითაც კორექტირება შევიდა 14.08.2009

ნ. ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში გ-ს მე-2 შესახვევი №4-ში №01.11.64 ბრძანებით შეთანხმებული ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტში და ობიექტს დაემატა კიბე. სადაცო არ არის, რომ ეს არის სწორედ ის კიბე, რომლის დემონტაჟიც არის მოთხოვნილი წარმოდგენილი სარჩელით. სხდომის ოქმით დგინდება, რომ ელიკო წიკალური-ლამიზის ადმინისტრაციული საჩივრის მონინააღმდეგე მხარე იყო თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური, დაინტერესებული პირის სტატუსით კი მოწვეული იქნა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“. კასატორის აზრით, აღნიშნული სხდომის ოქმის შინაარსი წარმოადგენს იმის უტყუუარ მტკიცებულებას, რომ მოცემულ დავამი, შესაძლო მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩასაბმელი სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული პირები ინფორმირებული იყვნენ მხარეთა შორის უკანონო ნაგებობებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის შესახებ, მაგრამ მათ არც მაშინ და არც შემდგომ არ გამოიხატავთ ნება კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მოცემულ საქმეში ჩართვის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მტკიცებულებების შემოწმებისას სასამართლოს ყურადღება გაამახვილა სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნულს სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საფუძვლებით არასწორად დააბრუნა ხელახლა განსახილველად საქმე, რითაც დაირღვა პროცესუალური ეკონომიის პრინციპი, შესაბამისად კი მოსარჩელის უფლებები, რადგან 2011 წლის ოქტომბრიდან დღემდე სასამართლოებში ისედაც გაჭიანურდა მოცემული საქმის განხილვა და მოპასუხე მთელი ამ ხნის განმავლობაში უხეშად ხელყოფდა ე. წ-ი-ლ-ის საკუთრების უფლებას. მოცემული საქმის გაჭიანურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე შ. წ-ს ადვოკატი ზ. უ-ე, მან სასამართლოში წარმოადგინა განცხადება საქმის განხილვის გადადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სხვა სასამართლოში პროცესი ჰქონდა დანიშნული, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი არ წარმოუდგენია; პროცესზე აპელანტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა საქმის განხილვის გადადებას და მოითხოვა საქმის გადადების დამადასტურებელი პატივსადები საბუთი, მაგრამ ზ. უ-ს აღნიშნული არ წარმოუდგენია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის განჩინება საქმის

განხილვის გადადების შესახებ შ. წ-ის წარმომადგენლის ზ. უ-ს გამოუცხადებლობის შესახებ უკანონოა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული და გადაწყვეტილი იქნა საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევებით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ე. წ-ი-ლ-ის სააპელაციო საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად უთხრა მას უარი სარჩელზე ეზოთი სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში. ამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კონკრეტულ განჩინებაზე, თუმცა სწორედ აღნიშნულ განჩინებაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის №ას-496-472-2013 განჩინებაში) პირდაპირაა მითითებული, რომ მხარეთა შეთანხმება მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე აუქმებს ან ცვლის უძრავ ქონებაზე საკუთრების მოპოვების რეჟიმს, შესაბამისად, ამ საქმეზე მხარეთა საკუთრების უფლების დადგენისათვის უპირატესობა ენიჭება საჯარო რეესტრის ჩანაწერს. სააპელაციო სასამართლოს საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა რომ გაეზიარებინა, მოცემულ საქმეზე ე. წ-ი-ლ-ის სარჩელს საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თაობაზე დააკმაყოფილებდა.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოცემულ დავაში სავალდებულო თანამონაწილეობის სახით მოპასუხედ (და არა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) ჩაბმული უნდა იქნას მიწის ნაკვეთის ყველა რეგისტრირებული თანამესაკუთრე, კერძოდ გ. გ-ი. სააპელაციო სასამართლომ ასეთი დასკვნის გამოტანისას არ გაითვალისწინობა სასარჩელო მოთხოვნა და მისი ფაქტობრივი საფუძვლები, რადგან მოსარჩელის საკუთრების უფლება დარღვეულია მხოლოდ და მხოლოდ შ. წ-ის მიერ უკანონოდ აშენებული ნაგებობებით, ასევე საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთით სარგებლობის ხელშეშლა მომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ შ. წ-ის მხრიდან და არა გ. გ-ის მხრიდან. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპი. ამდენად სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ამ საფუძვლითაც გაუქმება არასწორი და კანონსანიააღმდეგოა.

სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ და დაუსაბუთებლად დააკმაყოფილა ნაწილობრივ შ. წ-ის სააპელაციო საჩივარი და ასევე უკანონოდ დააბრუნა მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად. სასამართლომ, ერთის მხრივ, უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შ. წ-ის მიერ უკანონოდ მოწყობილია სადაც ლია ტერასა, მაგრამ მეორეს მხრივ, ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ შ. წ-ი სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, სადაც არ ხდიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მას დაევალა უკანონოდ მოწყობილი ხვეული, რეინის კიბის მოშლა და 3/2 შენობის კედელზე გაჭრილი, ტერასაზე გამავალი კარების ამოშენება. აპელანტი საერთოდ არ ასაბუთებდა, თუ რატომ მიაჩნდა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ამ ნაწილში არასწორად.

კასატორი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს ასევე შემდეგი სამართლებრივი საფუძვლით: შ. წ-ის მიერ უკანონოდ აშენებული სადაც შენობა-ნაგებობის ხელყოფის თმენის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროს მოსარჩელეს იმის გამოც, რომ სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული სამეზობლო თმენის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს მეზობელს, თუ ზემოქმედება გამომდინარეობს მეორე მეზობლის საკუთრებაში მყოფი და არა უკანონო ნაგებობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. წ-ი-ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საპროცესო გარემოებები არ ნარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო განეხორციელებინა ის საპროცესო მოქმედებები და დაედგინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დაავალა, მიეცა მათვის სამარ-

თლებრივი შეფასება და გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი, ერთი მხრივ, უთითებს პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს აძლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს რა უფრო მართებულია – მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა თუ საქმის ხელახლა განსახილველად პირველ ინსტანციაში დაბრუნება.

ზემოაღნიშნული განპირობებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და თავის თავში მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე გონივრულ ვადაში, სწრაფად და ეფექტურად განიხილოს სასამართლომ (*Profitis and Others v. Greece*, §93; *Tierce v. San Marino*, §31; *Surmeli v. Germany* [GC], §129; *Capuano v. Italy*, §§30-31; *Versini v. France*, §29), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეული პირის უფლება გონივრულ ვადაში მიაღწიოს საბოლოო გადაწყვეტილებას დავაზე, რომელიც მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალებების განხორციელებას ეხება (*Scordino v. Italy* (no.1) [GC] §183, *Surmeli v. Germany* [GC], § 129).

თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტური, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.

სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტანდარტის ჭრილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გა-

უქმების აბსოლუტური საფუძვლების განხილვა, თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: а) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყუბინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; ე) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ვ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლების მიერ, რომლებიც საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; ზ) საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის ოქმი – პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაწილეობის და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა.

თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: а) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს აზრით, იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების მართებულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: (1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; (2) ამ გარემოების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, და (3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქ-

მის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1118-1145-2011).

აღნიშნულს მოითხოვს, აგრეთვე, რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინციპები, რომლებიც გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები №ას-402-764-05 23 ივნისი, 2005 წელი; №ას-657-618-2012, 10 დეკემბერი, 2012 წელი; №ას-1308-1234-2012, 4 ოქტომბერი, 2013 წელი).

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტზე (გადაწყვეტილების იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული) სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული თითოეული პროცესუალური გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის უკან დაბრუნებას, უნდა შეფასდეს ზემოაღნიმნული მოთხოვნების შესაბამისად.

პირველი პროცესუალური გარემოება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობა დასაბუთა, მდგომარეობს შემდეგში:

I. უნდა გაირკვეს რა პარამეტრებით და ფარგლებში შედის სახლთმფლობელობა ან/და უბანი [სადაც მდებარეობს დავის საგანი და რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დავა] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში; ხოლო ამ საკითხის კვლევის და სპეციალური კანონით განსაზღვრული სამართლებრივი რეუიმის გამოყენების საჭიროების დადგენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს – არის თუ არა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართვლოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებამოსილი ორგანო მოცემული დავის თაობაზე ინფორმირებული და არსებობს თუ არა მოცემულ დავაში მისი ჩაბმის კანონისმიერი წინაპირობები; ამასთან თუ ჩანს, რომ დავაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ შემდგომში შეიძ

ლება გავლენა მოახდინოს სხვა პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ, უნდა გაირკვეს არის თუ არა ასეთი სუბიექტი ინფორმირებული დავის თაობზე.

მითითებული საკითხი წარმოადგენს არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხს, რომელის განსაზღვრა სააპელაციო სასამართლოს კომპეტუნციაა. ამიტომ აღნიშნული საფუძვლით საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნებს. ამავე დროს, არ იკვეთება სასამართლოს მიერ მითითებული საკითხის გარკვევის კავშირი განსახილველი სიტუაციასთან, რადგან იმ შემთხვევაში, თუ მიჩნეულ იქნება, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებით დაირღვა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. ხოლო თუ აღნიშნული სამშენებლო სამუშაოებით მოსარჩელის უფლება არ ირღვევა, მაშინ აშენებული კონსტრუქციებისა თუ ნაგებობების დემონტაჟის მოთხოვნის უფლება აქვს არა მოსარჩელეს, არამედ შესაბამის უფლებამოსილ პირს, რაც შესაძლებელია გახდეს განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი).

ამრიგად, უპირველესად უნდა გაირკვეს განხორციელებული მშენებლობებით რამდენად დაირღვა მოსარჩელის, როგორც მესაკუთრის, უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლების შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლოს განსახილველი საკითხია (სამართლებრივი შეფასების საკითხი).

ზემოაღნიშნულიდან მსჯელობიდან გამომდინარე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლების გათვალისწინებით), სამართლებრივ საფუძველს მოელებულია, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნასთან შიმართებით გარკვეული უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, იმ პირის პოზიცია, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების დროს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს, დაინტერესებულ პირს. შესაბამისად, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ან ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად დაინტერესებული პირების, ინფორმირების აუცილებლობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

89-ე მუხლი განხილულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობისა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპების კონტექსტში, რომლებიც გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ დავის საგანი და თვითონვე მიღლონ გადაწყვეტილება სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ, ასევე საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე თავად განსაზღვრონ რომელი საპროცესო უფლების გამყენება არის მათვის აუცილებელი და მართებული.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას საქმის გარემოებათა გასარკვევად ამ კოდექსში გათვალისწინებულ ონისძიებებს მხარეთა მოთხოვნის გარეშე, საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს, მაგრამ სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს ეფუძნება, სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის უფლება ვიწროდ (შეზღუდულად) უნდა იქნას განმარტებული, რაც გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის საფუძვლები და აუცილებლობა სასამართლომ წათლად უნდა დაასაბუთოს, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც კონკრეტული საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონი სასამართლოს ავალებს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებას, ხოლო მოსარჩელე მოცემულ საქმეში საჭიროდ არ მიიჩნევდა ზემოთ აღნიშნული სავარაუდო დაინტერესებული პირების საქმეში ჩაბმას (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ელექტრონული ოქმი 16:31:00 – 16:31:33) და არც საქმის გარემოებებიდან იკვეთება დავის განხილვაში მათი მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები.

მეორე პროცესუალური გარემობა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძლად მიუთითა, მდგომარეობს შემდეგში:

2. უნდა გამოკვლეულ იქნას [სადაცო მინის ნაკვეთის] რა ფართობი (რა პარამეტრებით) იყო შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი 1986 წელს, კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პერიოდში და რა ფართობია სარგებლობაში ამჟამად; კონკრეტულად ეზოს რა ნაწილს ფლობდნენ შენობა-ნაგებობების ადრინდელი მესაკუთრეები და ეზოს რა ნაწილია მათ უფლებამონაცვლეთა მფლობელობაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით

მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ გარემობაზე, რომ ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროს (1986 წ.) მინა არ წარმოადგენდა საერთო საკუთრების ობიექტს. ის სახელმიწოდ საკუთრების გამიჯვნა მოხდებოდა. სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას თუნდაც ეზოთი სარგებლობის საზღვრების კონკრეტულ მდებარეობაზე და პარამეტრებზე. სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა საერთო საკუთრებად აღირიცხა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე; ხოლო ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებამ ასახვა ჰპოვა ტექინიკურიზაციის ბიუროს მონაცემთა შერის და ის მიეთითა თითოეული მესაკუთრის საკუთრების უფლების და მისი მოცულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ საფუძვლად მხოლოდ შენობა-ნაგებობებიან მიმართებით.

იმ საკითხის გარკვევისათვის – მხარეთა შეთანხმება მინის ნაკვეთით სარგებლობის წესზე აუქმებს თუ არა, ან ცვლის თუ არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების რეჟიმს – სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის განჩინებაზე საქმეზე №ას-496-472-2013, რომელშიც მითითებულია, რომ „მხარეთა შეთანხმება მინის ნაკვეთის სარგებლობის წესზე არ აუქმებს ან ცვლის უძრავ ქონებაზე საკუთრების მოპოვების რეჟიმს, შესაბამისად... მხარეთა საკუთრების უფლების დადგენისათვის უპირატესობა ენიჭება საჯარო რეესტრის ჩანაწერს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია და მისსავე მსჯელობას ენინაალმდეგება სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ აუცილებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული გარემოებების გამოკვლევა. კიდევაც რომ გაზიარებულ იქნას აღნიშნული დასკვნა, მოცემული გარემოებების გამოკვლევა და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი შეფასების მიცემა არ წარმოდგენს ისეთ მოქმედებას, რომლის განხორციელება თავად არ შეუძლია სააპელაციო სასამართლოს.

მესამე პროცესუალური გარემოება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძლად მიუთითა, მდგომარეობს შემდეგში:

3. გათვალისწინებით იმისა, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში იხილება მოთხოვნები მოსარჩელის, მოპასუხის და მესამე პირის გ. გ-ის ამჟამად საერთო საკუთრებად აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აგებული (არალეგალიზებული) შენობა-ზაგებობების ანუ მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ... დემონტაჟის თაობაზე, საწინააღმდეგოს დადგენამდე (მიწაზე საზიარო უფლების გაუქმებამდე ან ჩანანერის უსწორობის დადგენამდე) სავალდებულო თანამონაწილეობის სახით მოპასუხედ (და არა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) ჩაბმულ უნდა იქნას მიწის ნაკვეთის ყველა რეგისტრირებული თანამესაკუთრე.

საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით განმარტავს, რომ მიწის ნაკვეთის ყველა რეგისტრირებული თანამესაკუთრის, მოცემულ შემთხვევაში, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის – გ. გ-ის საქმეში მოპასუხედ ჩართვის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი საკითხების გარკვევას.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს, უკანონო მშენებლობა და სხვა მოქმედებები განახორციელა არა გ. გ-მა, არამედ – შ. წ-მა. შესაბამისად, ზემოთ მითითებული სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, აღნიშნულ მოქმედებებზე პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება გ. გ-ს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ სადავო მოქმედებები განხორციელდა გ. გ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა პასუხისმგებლობის, არამედ – მოთხოვნის მატარებელს, რაც ასევე გამორიცხავს მოპასუხის სტატუსით საქმეში მის ჩაბმას. თუ სადავო მოქმედებები მოპასუხება შ. წ-მა განახორციელა სამივე პირის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რითაც ილახება როგორც გ. გ-ის, ისე ე. წ-ი-ლ-ის საკუთრების უფლება, მაშინ ე. წ-ი-ლ-ს გააჩნია საკუთარი უფლებების დაცვის საფუძველი, გ. გ-ის მიერ თავისი უფლების დაცვის ინტერესის არსებობა-არარსებობის მიუხედავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, უკანონო ნაგებობის მშენებლობა და ხელშეშლა განხორციელებულია მოსარჩელის საკუთრებაზე, თუ – არა; და მეორე – ვისგან მომდინარეობს უკანონო მოქმედებები. ამ შემთხვევაში გ. გ-ის სათანადო მოპასუხედ საქმეში ჩართვის საკითხი უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-

ე, 172-ე, 173-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუ მოსარჩელის მოთხოვნაზე, ამ ნორმებიდან გამომდინარე, გ. გ-ს აკისრია პასუხისმგებლობა. მხოლოდ აღნიშნული მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების გარკვევის შემდეგ არის შესაძლებელი პროცესუალურ-სამართლებრივი წესების გამოყენება-განმარტება (მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე და 89-ე მუხლების გამოყენების თავისებურებების განმარტება).

შესაბამისად, სამართლის ზემოაღნიშნული საკითხები სააპელაციო სასამართლოს გამოსაკვლევია და ამ საფუძვლით პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად საქმის დაბრუნება არამართებულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს საქმე უკან, როდესაც არ არსებობს მისი იურის-დიქციიდან გამომდინარე შეზღუდვები და მხარეთა პროცესუალური უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საქმის დაბრუნების აუცილებლობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო განეხორციელებინა ის საპროცესო მოქმედებები და დაედგინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა განხორციელება და დადგენაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დაავალა, მიეცა მათვეის სამართლებრივი შეფასება და გამოიტანა გადაწყვეტილება საკუთრების უფლების მარეგულირებელი და სამეზობლო სამართლის ნორმების საფუძველზე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე.

II. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

კასატორი თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩინრებული განჩინების გაუქმების კიდევ ერთ საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის მთავარ სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინება საქმის განხილვის გადადების შესახებ უკანონოა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, რადგან საქმის განხილვის გადადების პატივსა-დები საფუძვლები არ არსებობდა (აპელანტის წარმომადგენელი სხდომაზე არ გამოცხადდა და არც საპატიო მიზეზით გამოცხადებლობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარ-

მოუდგენია).

საკასაციონ სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნულ სხდომამ-დე რამდენიმე წუთით ადრე, კერძოდ 10:55 საათზე მოპასუხის (აპელანტის) წარმომადგენელმა სასამართლოს მიმართა გან-ცხადებით საქმის განხილვის გადადების შესახებ, სადაც მიუ-თითა, რომ იმავე დღეს 11:00 საათზე თბილისის საქალაქი სასა-მართლოში ერთ-ერთ საქმეზე დანიშნული იყო მთავარი სხდო-მა, სადაც ის წარმომადგენდა ერთ-ერთი შზარის ინტერესებს. განცხადებას არ ახლდა მასში მითითებული გარემოების დამა-დასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდო-მაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებე-ლი მტკიცებულების წარუდგენლობა ყველა შემთხვევაში არ შე-იძლება გამოუცხადებლობის არასაპატიოდ მიჩნევის საფუძ-ვლად ჩაითვალოს. არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, გადაუდებელი შემთხვევები, როდესაც მხარე ობიექტურად ვერ ახერხებს სასამართლოსთვის მტკიცებულების წარდგენას და, შესაძლებელია, სასამართლოს არა მხოლოდ წერილობითი, არა-მედ ზეპირი ინფორმირებითაც შემოიფარგლოს. ამიტომ თითო-ეული შემთხვევაში სასამართლომ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მხარის გა-მოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა-არარსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო მთავარი სხდომის თარიღის თაობაზე აპელან-ტი ინფორმირებული იყო 2014 წლის 15 აპრილის სხდომამდე თითქმის ორი თვით ადრე, კერძოდ, მთავარი სხდომის დანიშ-ვნის თაობაზე აპელანტის წარმომადგენელს სააპელაციო სასა-მართლოს უწყება ჩაბარდა 2014 წლის 21 თებერვალს. მიუხე-დავად ამისა, საქმის გადადების შესახებ სასამართლოში 2014 წლის 15 აპრილს წარდგენილ განცხადებაში ავტორს არ მიუთი-თებია, რა გარემოებებმა განაპირობა სასამართლო სხდომის გა-დადების თაობაზე სააპელაციო სასამართლოსთვის სხდომის დაწყებამდე მხოლოდ ხუთი წუთით ადრე მიმართვა და რატომ არ შეეძლო აპელანტის წარმომადგენელს თბილისის საქალაქი სასამართლოში იმავე დღეს დანიშნული სხდომის შესახებ საა-პელაციო სასამართლოს უფრო ადრე ინფორმირება, ასევე გა-მოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკი-ცებულებების (სხდომის დანიშვნის შესახებ თბილისის საქალა-

ქო სასამართლოს შეტყობინების) განცხადებასთან ერთად წარ-დგენა.

ასეთ ვითარებაში, შუამდგობლობის ავტორის დაპირება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს უწყებებს სააპელაციო სა-სამართლოში წარადგენდა მეორე დღეს, არ უთითებს არც გა-მოუცხადებლობის საპატიოობაზე და არც მტკიცებულების წა-რუდგენლობის საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მონინააღმდეგე მხა-რე (მოცემულ შემთხვევაში კასატიონი) არ დაეთანხმა მხარის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევას და იყო სხდომის გა-დადების წინააღმდეგი, თუმცა სასამართლომ შუამდგომლობა-ში მითითებული გამოუცხადებლობის მიზეზი საპატიოდ მიჩნია და საქმის განხილვა გადადო 2014 წლის 22 აპრილს. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 22 აპრილის სხდომის ოქმით დას-ტურდება, რომ, მონინააღმდეგე მხარის მოთხოვნის მიუხედა-ვად, აპელანტის წარმომადგენელს 2014 წლის 15 აპრილის სხდო-მაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებე-ლი მტკიცებულება არც სხდომის მეორე დღეს და არც მეორე სხდომაზე წარმოუდგენია. საქმის მასალებით არ დასტურდება არც შემდგომში ასეთი მტკიცებულების წარმოდგენის ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბა-მისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქ-მეთა განხილვისათვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოც-ხადება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოი-ტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვე-ტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარ-ჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირ-დება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდე-გია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „ბ“ პუნ-

ქტის შესაბამისად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომელებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ, განიხილა რა აპელანტის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ, არასწორად მიიჩნია საპატიოდ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა და განახორციელა არასწორი საპროცესო მოქმედებები. კერძოდ, იმ ვითარებაში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე შ. წ-ს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით არ ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს უნდა გამოერკვია, იყო თუ არა მოწინააღმდეგე მხარე შ. წ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინააღმდეგი, და მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაედო საქმის განხილვა, თუ მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინააღმდეგი იყო. აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო ნორმების დარღვევით, რაც მის მიერ მოცემულ საქმეზე 2014 წლის 15 აპრილს მიღებული საოქმო განჩინებისა და 2014 წლის 7 ოქტომბრის საბოლოო განჩინების გაუქმების საფუძველია.

გამომდინარე იქიდან, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოსთვის შ. წ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შუამდგომლობით არ მიუმართავს, სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაპრუნების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს არსებობს თუ არა აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგად შ. წ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები და განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები.

კასატორის ერთ-ერთი მოთხოვნაა საკასაციო სასამართლომ საქმე არ დააბრუნოს სააპელაციო ინსტანციაში და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის ფატობრივი გარემოებების დიდი ნაწილი, მაგრამ მას საქმის ყველა ფატობრივი გარემოება სრულყოფილად და ამომწურავად არ დაუდგინა და სულყოფილად არც მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოუკვლევია. ამავე დროს სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა

მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რის შედეგადაც საქ-
მეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭი-
როა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც
საკასაციო პალატა მოკლებულია სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას სა-
მართლებრივი შეფასება მისცეს საქმის გარემოებებს და თა-
ვად მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო
აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვე-
ლად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარე-
მოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენი-
ლი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწ-
ყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა
დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახ-
მად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწ-
ყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუ-
დოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულია საა-
პელაციო სასამართლოსთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სა-
კასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივ-
რებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათ-
ვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. წ-ი-ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწი-
ლობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ოქტომბრის განჩინება,
ამავე პალატის 2014 წლის 15 აპრილის საოქმო განჩინება და
საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამარ-
თლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განხილვა

№ას-586-557-2013 20 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების დაუსაბუთებლად ცნობა და სახელ-
მწიფოსათვის გადაცემა

აღნერილობითი ნაწილი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ სარ-
ჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ა-ის მიმართ, თანამდებობის პი-
რის ოჯახის წევრის ქონების – ხელვაჩაურის რაიონში, მწვანე
კონცხზე მდებარე მოზარდთა დასასვენებელი საცხოვრებელი
სახლისა და ავტომანქანა მერსედეს-ბენც C 180-ის, სახელმწი-
ფო ნომრით B..-007 უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მი-
სი მოპასუხისათვის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გა-
დაცემის მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოე-
ბებზე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ნარ-
მობაში ა. ა-ის, ი. გ-ის, რ. ბ-ისა და თ. კ-ის მიმართ არსებული
სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოიკვეთა გარემო-
ებები, რომლებიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ზემო-
აღნიშნული თანამდებობის პირების, მათი ოჯახის წევრების,
ახლო ნათესავებისა და სხვადასხვა დაკავშირებული პირების
მფლობელობაშია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება.

მოპასუხის შემოსავლების შესახებ მოპოვებული მტკიცებუ-
ლებები იძლევა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ
ოდენობის შემოსავალი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნ-
ველყოფდა სარჩელში მითითებული სადაცო ქონების შეძენას.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

პროკურატურის მოთხოვნა უსაფუძვლოა და სასამართლომ
არ უნდა დააკმაყოფილოს იგი. ქონებაზე, რომლის უკანონოდ
და დაუსაბუთებლად ცნობასაც მოსარჩელე მოითხოვს, სასა-
მართლოს მსჯელობის საგანი იყო, საქმის ზემდგომი წესით გან-

ხილვისას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ, 2005 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის მეუღლე თ. კ-სათვის მწვანე კონცხზე მდებარე მოზარდთა და-სასვენებელი სახლის ჩამორთმევა.

საქმეში არსებული ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის სა-დაბო საკრებულოს გამგეობის 2005 წლის 1 სექტემბრის ცნო-ბის თანახმად, სადაც შენობა დაშლილია, რაც ასევე დაადას-ტურეს მოსარჩელის ნარმომადგენლებმა საკასაციო სასამარ-თლოში გამართულ სხდომაზე.

მოზარდთა დასასვენებელი სახლი მოპასუხემ 2 000 აშშ დო-ლარად შეიძინა 1995 წლის 4 სექტემბერს. ქონების შესაძენად 6. ა-ს გააჩნდა კანონიერი გზით მოპოვებული ფინანსური სახ-სრები, კერძოდ, 1966 წლიდან საკუთრების უფლებით ეკუთ-ვნის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე მიწის ნაკვე-თი გაშენებული ციტრუსის ბაღით. ციტრუსის რეალიზაციით მო-პასუხე ყოველწლიურად დაახლოებით 7 000 ლარს ღებულობს, რომელიც, საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, არ იძეგ-რება.

რაც შეეხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-ნის ნაკვეთის შეძენას, ნ. ა-მ ქონება ხელვაჩაურის რაიონის გამ-გეობის 2002 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძ-ველზე შეიძინა და შესაბამისი თანხა აუნაზღაურა სახელმწი-ფო ბიუჯეტს. ანაზღაურების საშუალება შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-დან“ მიღებული ხელფასი იყო, რომელიც 1998 წლიდან 2002 წლამდე შეადგენს 17 100 ლარს, აგრეთვე ამ სავაჭრო ცენტრი-დან მიღებული დივიდენდი, რომლის ოდენობაც 1998 წლიდან 141 600 ლარია.

მოპასუხემ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის 21⁶ მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო, ნარედგინა ქონების უკანონოდ და დაუსაბუ-თებლად მოპოვების დაბადასტურებელი მტკიცებულებები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრო-კურორ კ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, როგორც უკანონ და დაუსაბუთებელი ჩამოერთვა და სახელმწიფოს გა-დაეცა 6. ა-ის შემდეგი ქონება: ხელვაჩაურის რაიონში, მწვანე კონცხზე მდებარე მოზარდთა დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი და ავტომანქანა მერსედეს-ბენცი C 180 სახელმწიფო ნომ-რით B..-007.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა ნ. ა-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება ნ. ა-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მთავარი პროკურატურის სასარჩელო მოთხოვნა ნ. ა-ის საკუთრებაში რიცხული ავტომანქანის – მერსედეს-ბენცი C 180 სახელმწიფო ნომრით B.-007-ის უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის სასარჩელო მოთხოვნა ხელვაჩაურის რაიონში, მწვანე კონცხზე მდებარე, ნ. ა-ის საკუთრებაში რიცხული „მოზარდთა დასასვენებელი სახლის“ უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნ. ა-ს, სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრა ხელვაჩაურის რაიონში, მწვანე კონცხზე მდებარე ქონების – „მოზარდთა დასასვენებელი სახლის“ ღირებულების – 40 000 ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ 2007 წლის 22 იანვრის განაჩენით დაგენილად ცნო, რომ ა. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ. განაჩენის თანახმად, 1991-2004 წლებში ა. ა-ე მუშაობდა აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და აჭარის ა/რ მეთაურის თანამდებობებზე. წარმოადგენდა რა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირსა და უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე ოფიცერს, ჩაიდინა ხელისუფლებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ე.ო. თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრას ჩადენა სამსახურებრივ მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ ჩადენილი სისტემატიკურად, ანგარებით და პირადი მოტივით, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ინტერესებს და ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი. მანვე ჩაიდინა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ თავისთვის და სხვისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მისაღებად არაერთგზის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამო-

ყენება, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერ ინტერესების არ-სებითი დარღვევა გამოიწვია. მანვე ჩაიდინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გა-ტაცება გაფლანგვით. არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომა-რეობის გამოყენებითა და ჯაფოს მიერ წინასწარი შეთანხმე-ბით ჩაიდინა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული დი-დი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ნ. ა-ე არის ა. ა-ის ნათესავი – და;

1995 წლის 4 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, 6. ა-მ, ა. ც-გან 2 000 დოლარად (რაც შეადგენდა 2 000 000 000 კუპონს) იყიდა მახინჯაურში, მწვანე კონცხზე მდებარე 43,6 კვ.მ საცხოვრებელი, 18,86 კვ.მ დამხმარე, სულ, 62,46 კვ.მ ფარ-თის ერთსართულიანი მოზარდთა დასასვენებელი ხის საცხოვ-რებელი სახლი;

საჯარო რეესტრის 2002 წლის 11 მარტის ამონაწერის თა-ნახმად, ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ მახინჯაურში, არასა-სოფლო სამეურნეო დანიშნულების 1 465 კვ.მ მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა (სარეგისტრაციო ზონა – 22, კოდი – 1, კვარტლის №03, ნაკვეთის №04) რეგისტრირებული იყო ნ. ა-ის საკუთრებად;

აჭარის ა/რ ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის სადაბო საკ-რებულოს გამგეობის 2004 წლის 1 სექტემბერს გაცემული №95 ცნობის თანახმად, სოფელ მწვანე კონცხზე, ნ. ა-ის სახელზე ხის საცხოვრებელი სახლი, ცნობის გაცემის დროისათვის, დან-გრეულია;

საჯარო რეესტრის 2013 წლის 5 მარტის ამონაწერით ხელვა-ჩაურის რაიონში, სოფელ მახინჯაურში, არასასოფლო-სამეურ-ნეო დანიშნულების 1 465 კვ.მ მინის ნაკვეთი 2008 წლის 1 თე-ბერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რეგის-ტრირებულია „ი. ტ. ლ-ის“ წარმომადგენლობაზე საქართველო-ში;

№0020555 ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის თანახ-მად, 1999 წელს 6. ა-ის საკუთრებად აღირიცხა 1995 წელს გა-მოშვებული მუქი ლურჯი ავტომანქანა მერსედეს-ბენცი C 180, სახელმწიფო ნომრით B..-007, ძრავის ნომერი №11192010064695;

საქართველოს შსს მომსახურეობის საგენტოს ბათუმის გან-ყოფილების 2013 წლის 5 მარტს №49/6/4-00583415 ცნობის თა-ნახმად, 6. ა-ის სახელზე მექანიკური სატრანსპორტო საშუა-ლება, ცნობის გაცემის დროისათვის რეგისტრირებული არ ყო-

ფილა;

მასინჯაურის სადაბო საკრებულოს გამგებლის 2005 წლის 15 ივნისის №826 ცნობის თანახმად, ნ. ა-ს 1966 წლიდან სოფელ განთიადში აწერია და სარგებლობს 0,25 ჰა მიწის ნაკვეთით, რომელზეც გაშენებულია ციტრუსის ნარგავები;

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ს“ დირექტორის 2005 წლის 17 იანვრის №23 ცნობის თანახმად, შპს „გ-ის“ დირექტორ ნ. ა-ს 1998 წელს სავაჭრო ცენტრი „ბ-დან“ მიღებული აქვს დივიდენდი – 141 600 ლარი;

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ დირექტორის 2004 წლის 1 სექტემბრის №115 ცნობის თანახმად შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა-ს 1998-2004 წლებში ხელფასის სახით მიღებული აქვს 27 300 ლარი, მათ შორის 1998 წელს – 3 500 ლარი, 1999-2003 წლებში, ყოველწლიურად – 4 200 ლარი, 2004 წელს – 2 800 ლარი;

შპს კონსალტინგ-აუდიტის 2005 წლის 29 სექტემბრის დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ მწვანე კონცხზე მდებარე, ნ. ა-ის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის საბაზრო ლირებულება შეადგენს 40 000 ლარს, ხოლო მერსედეს-ბენცი C 180-ის საბაზრო ლირებულება – 6 000 ლარს;

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356² მუხლის მე-3 ნაწილით, 356¹ მუხლის „ლ“ პუნქტით, 356³ მუხლის მე-3-მე-6 ნაწილებით და აღნიშნა, რომ ტერმინები: „უკანონო“ და „დაუსაბუთებელი“ კანონში დამოუკიდებლად არის დეფინირებული. „უკანონო ქონების“ შემთხვევაში, ქონება ან მათი შექნისათვის საჭირო საშუალებები მიღებულია (შეძენილია, მოპოვებულია) კანონის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევის საფუძველზე. „დაუსაბუთებელი ქონების“ შემთხვევაში, მართალია, არსებობს ქონებაზე უფლების შეძენის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, მაგრამ არ არსებობს ამ ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამასთან, ამ ქონებით სარგებლობს, განკარგავს (ან განკარგა) თანამდებობის პირი.

საპროცესო კანონმდებლობა, გარდა ტერმინთა განსხვავებისა, სხვაგვარად ანანილებს მტკიცების ტყირთს თითოეული შემთხვევისათვის. მოპასუხის ქონების უკანონობის შესახებ მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება გააჩნია მოსარ-

ჩელეს, ხოლო მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ხოლო სასამართლო ამ მტკიცებულებებს აფასებს ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით.

პალატამ მიუთითა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ, ვინაიდან სადაცო ქონებები შეძენილი იყო როგორც 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ისე მის შემდეგ, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც 1964 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ისე 1997 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. 1964 წლის რედაქციით სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი, ასევე 1997 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი 2007 წლის 15 მარტამდე ითვალისწინებდა უძრავი ქონების შესაძენად გარიგების წერილობითი ფორმით დადგანს, სანოტარო წესით მის დადასტურებასა და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ყველა სადაცო უძრავ ქონებაზე გარიგება დადგებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით და აღრიცხული იყო მარეგისტრირებელ ორგანოში, რაც სადაცო ქონების უკანონოდ მიჩნევას გამორიცხავდა.

სასამართლოს განმარტებით, სწორედ მოპასუხე იყო ვალდებული სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულებები საკუთარი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ. საქმის მასალებით კი დგინდებოდა, რომ ნ. ა-ე წარმოადგინდა თანამდებობის პირის დას, რომელიც 2007 წლის 22 იანვრის განაჩენით დამააშავედ იქნა ცნობილი და ბრალი დაედო 1991-2004 წლებში, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში სხვადასხვა თანამდებობრივი დააშაულის ჩადენაში, მათ შორის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებასა და გაფლანგვაში.

როგორც აღინიშნა, მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, მოზარდთა დასასვენებელი სახლი 1995 წლის 4 სექტემბერს ნ. ა-მ იყიდა ა. ც-გან. საქმის განხილვისას კი, მოპასუხეს სასამართლო-სათვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა 1995 წლისათვის მისი შემოსავლის ოდენობასა და მწვანე კონცხზე განთავსებული უძრავი ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების არსებობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნა ხელვაჩაურის რაიონში,

მწვანე კონცხზე მდებარე ნ. ა-ის საკუთრებაში რიცხული „მოზარდთა დასასვენებელი სახლის“ დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მსჯელობა არ გაიზიარა იმის თაობაზე, რომ მახინჯაურის სადაბო საკრებულოს გამგებლის 2005 წლის 15 ივნისს გაცემული №826 ცნობა ადასტურებდა 1995 წლისათვის ნ. ა-ის შემოსავალს და მწვანე კონცხზე მდებარე უძრავი ქონების შესაძნად საჭირო ფინანსური საშუალებების არსებობას. სასამართლოს განმარტებით, მართალია, ცნობაში მითითებული იყო, რომ ნ. ა-ს 1966 წლიდან სოფელ ...-ში აწერია და სარგებლობს 0,25 ჰა მიწის ნაკვეთით, რომელზედაც გაშენებულია ციტრუსის ნარგავები, მაგრამ, არც ამ ცნობითა და არც სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ციტრუსის რეალიზაცია, ამ რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების ოდენობა და ლეგალურად მიღებული შემოსავლით სადაცვო უძრავი ქონების შეძენა.

საჯარო რეესტრის 2013 წლის 5 მარტისა და 2002 წლის 11 მარტის ამონაწერების, ასევე აჭარის ა/რ ხელვაჩაურის რაიონის, მახინჯაურის სადაბო საკრებულოს გამგეობის 2004 წლის 1 სექტემბერს გაცემული №95 ცნობის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ მახინჯაურში, მწვანე კონცხზე მდებარე ნ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების 1465 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა, ხის საცხოვრებელი სახლი, 2004 წლისათვის იყო დანგრეული. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო „ი. ტ. ლ-ის“ წარმომადგენლობაზე საქართველოში, რის გამოც დაუსაბუთებელი ქონების (საცხოვრებელი სახლის) ნ. ა-სათვის ჩამორთმევა და პირვანდელი მდგომარეობით სახელმწიფოსათვის გადაცემა შეუძლებელი იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356⁵ მუხლის შესაბამისად კი, სასამართლომ მიჩნია, რომ ნ. ა-ს უნდა დაკისრებოდა შპს კონსალტინგ-აუდიტის 2005 წლის 29 სექტემბრის დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნით ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის – 40 000 ლარის გადახდა.

გაზიარებულ იქნა ნ. ა-ის მოთხოვნა ავტომანქანის უკანონოდ, დაუსაბუთებლად ცნობისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რადგანაც BB №... ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ასლის თანახმად, სადაც ავტომანქანა ნ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ იქნა 1999 წელს. პალატის განმარტებით, მოძრავ ქონებაზე ხელშეკრულების დადება დასაშვებია ზეპირი ფორ-

მითაც. ვინაიდან, სადავო ავტომანქანა შეძენის დროისათვის, მარეგისტრირებელ ორგანოში აღირიცხა 6. ა-ის საკუთრებად, მასზე გაიცა ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, ამასთან მოქმედი კანონმდებლობა მოძრავ ქონებაზე გარიგების დადების სავალდებულო წერილობით ფორმას არ ითვალისწინებდა, პალატამ მიიჩნია, რომ ეს ქონება მოპოვებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლისა. მოსარჩელეს კი, სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ სადავო ავტომობილით სარგებლობდა ა. ა-ე. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მიუთითა შეს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ დირექტორის 2005 წლის 17 იანვრის №23 ცნობაზე და მიიჩნია, რომ 1999 წელს 6. ა-ს გააჩნდა სადავო ავტომანქანის 6 000 ლარად შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. ა-მ, მოითხოვა მისი, ასევე შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას აპელანტს უსაფუძვლოდ უთხრა უარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე, ვინაიდან სადავო ქონება ერთხელ უკვე იყო სასამართლოს განხილვის საგანი, აჭარის ა/რ პროექტურამ თავდაპირველად სარჩელი აღძრა 6. ა-ის მეუღლის წინააღმდეგ ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის მოთხოვნით და საქმის საკასაციო წესით განხილვის შემდეგ მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, საქმის წარმოების დასრულებამდე პროექტურამ ახალი სარჩელი აღძრა იმავე ქონებაზე და მოპასუხედ 6. ა-ე მიუთითა.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ა. ა-ე თანამდებობის პირად მიიჩნეოდა 1991 წლიდან 2004 წლამდე, სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ 2004 წლის 6 ივნისის დადგენილებით აღიძრა, ხოლო ქონება, რომლის ჩამორთმევასაც მოსარჩელე მოითხოვს, 6. ა-ს შეძენილი აქვს მანამ, ვიდრე ა. ა-ე ჩაიდენდა განაჩენში მითითებულ დასჯად ქმედებას. საყურადღებოა, რომ ქონება კასატორს ა. ა-ის თანამდებობრივი მდგომაროების გამოყენებით არ შეუძენია, მას გააჩნდა შესაბამისი სახსრები ქონების შესაძენად.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, რის გამოც გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება შეუძლებელია, ამ თვალსაზრისით სასამართლომ არ შეაფასა მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, საყურადღებოა, რომ მოსარჩევეს მოთხოვნის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება სასამართლოსათვის საერთოდ არ წარუდგენია, ხოლო სასამართლომ 2005 წლის 29 სექტემბრის აუდიტორული დასკვნა არასწორად შეაფასა, კერძოდ, დასკვნის თანახმად, მწვანე კონცხზე მდებარე უძრავი ქონება 40 000 ლარადაა შეფასებული და აუდიტორის განმარტებით, მან ვიზუალურად დათვალიერა იგი, ხოლო საქმეში წარმოდგენილი ხელვაჩაურის რაიონის, მახინჯაურის სადაბო საკურებულოს 2004 წლის 1 სექტემბრის №95 ცნობის თანახმად, ცნობის გაცემის დროისათვის 6. ა-ის საკუთრებად რეგისტრირებული ხსს საცხოვრებელი სახლი დანგრეული იყო. ეს გარემოება სააპელაციო პალატამ გაიზიარა და დადგენილად ცნო. აღნიშნულის სანინააღმდეგოდ, მოპასუხეს დააკისრა ქონების ლირებულება, რომელიც ფიზიკურად აღარ არსებობს. ამ თვალსაზრისით გაურკვეველია აუდიტორმა როგორ დაათვალიერა ქონება. სასამართლოს სადავო დასკვნა არ გამომდინარეობს სამიქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მოთხოვნიდან.

სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი, ასევე 150-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, რომელთა ანალიზითაც დასტურდება, რომ ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ბედი მთლიანად დაკავშირებულია ძირითად ნივთთან და არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი უფლების ობიექტი. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

მოცემული დავის საგანი 1 465 კვ.მ მინის ნაკვეთია, რომელიც საკუთრების უფლებით ირიცხებოდა 6. ა-ის სახელზე. ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2002 წლის 28 თებერვლის №15 გადაწყვეტილებაა, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად სწორედ ეს გადაწყვეტილება მითითებული 2002 წლის 11 მარტის სააღრიცხვო ბარათშიც. გარდა იმისა, რომ მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია, უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის დამადასტურებელი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ გაუქმებულა და დღესაც ძალაშია.

სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კასატორს სადავო მინის შესყიდვისათვის სახელ-

მწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი აქვს თანხა.

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აგრძელებული კასატორის შემოსავლების დამადასტურებელი მტკიცებულებები, არ იმსჯელა იმაზე, რომ 1998 წელს მან დივიდენდის სახით მიიღო 141 600 ლარი, ასევე არ შეუფასებია 6. ა-ის მეუღლის შემოსავლების დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად, დაუსაბუთებლობის გამო, არც ამ ნაწილშია შესაძლებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზის), შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი სადაციდ ხდის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოპასუხებ ვერ წარადგინა ქონების შექნის მართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კასატორის მოსაზრებით, ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის მასალები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა, ამასთანავე, სა-

სამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები ურთიერთწინააღმდეგობრივია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო პალატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არაარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰქოვებს დადასტურებას საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით, შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო პრეტენზიების მართებულობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ა. ა-ე 2007 წლის 22 იანვრის განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში – 1991-2004 წლებში მან ჩაიდინა სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედებები;

ნ. ა-ე არის ა. ა-ის ნათესავი - და;

1995 წლის 4 სექტემბერს ნ. ა-მ ა. ც-საგან 2 000 აშშ დღოლა-რად შეიძინა მახინჯაურში, მნვანე კონცხზე მდებარე მოზარდთა დასასვენებელი სახლი;

ხელშეკრულება დადებულია 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად: დამოწმებულია სანოტარო წესით და შემძენის საკუთრების უფლება

აღრიცხულია სარეგისტრაციო ორგანოში. სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით ეთქვა უარი მოსარჩელეს სადაც კონების უკანონოდ ცნობის მოთხოვნაზე;

მითითებული უძრავი ქონების დაუსაბუთებლად მიჩნევის ფაქტი სასამართლომ დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ ამ ქონების შეძენისათვის შესაბამისი მატერიალური სახსრების ქონის ფაქტი მოპასუხემ ვერ დაადასტურა სათანადო მტკიცებულებებით.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 6. ა-ს, მართალია, მახნიჯაურის რაიონის სოფელ განთიადში 1966 წლიდან ერიცხება 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზეც ციტრუსის ნარგავებია გაშენებული, თუმცა, მოპასუხის განმარტება, რომ ციტრუსის რეალიზაციით ის იღებდა შემოსავალს, რაც ქონების შეძენისათვის საკმარისს წარმოადგენდა, არ გაიზარა. სასამართლოს მსჯელობა დაფუძნებულია იმაზე, რომ ციტრუსის მოსავლის რეალიზაციისა და მის შედეგად შემოსავლის მიღების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება 6. ა-ს სასამართლოში არ წარუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356³ მუხლის მე-5 ნაწილით კი, კანონიერი შემოსავლების არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი პალატამ მხოლოდ მოპასუხეს დააკისრა.

ამ კუთხით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, ასევე ცალმხრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ წინამდებარე საქმეზე სარჩელის აღძვრის დროისათვის თანამდებობის პირის, ასევე მისი ოჯახის წევრის ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ სარჩელის განხილვა რეგულირებული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, რომლის 21⁴ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37¹ მუხლით კი, სარჩელის აღძვრის საფუძველი იყო პროკურორის საფუძვლიანი ეჭვი კანონით გათვალისწინებული სუბიექტების ქონების უკანონობის ან დაუსაბუთებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პროკურორის სარჩელი უნდა დაფუძნებოდა სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შედეგად მოხელის, მისი ახლო ნათესავის ან დაახლოებული პირის მიერ სადაც კონების მოპოვების შეუძლებლობის საფუძ-

ვლიანი ეჭვის არსებობას. თავის მხრივ, სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის 21⁶ მუხლით რეგულირებული იყო ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის საკითხი და ნორმის მე-2 ნაწილით არ ყოფილა განსაზღვრული მტკიცების ზოგადი სტანდარტისაგან (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებ-ზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს) გან-სხვავებული წესი. მითითებული ნორმის თანახმად, მოსარჩე-ლე ვალდებული იყო სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცე-ბულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებ-ლობის თაობაზე. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამარ-თლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობდა დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხე ვერ წარუდგენდა სასამარ-თლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსუ-რი საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის და-მადასტურებელ დოკუმენტს.

საქმეში წარმოდგენილი სარჩელის შესწავლით ირკვევა, რომ მოსარჩელეს არა თუ მტკიცებულებები არ წარუდგენია სასა-მართლოსათვის, არამედ შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის წარმოე-ბაში იყო სისხლის სამართლის საქმები ა. ა-ისა და სხვათა მი-მართ, რაც მოსარჩელეს აძლევდა ვარაუდის საფუძველს, რომ სადაც ქონება დაუსაბუთებელია.

მოსარჩელეს არც შემდგომ, საქმის განხილვის ეტაპზე სა-სამართლოსათვის არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა სარჩელში აღნიშნულ გარემოებებს, ანუ ფაქტობრივად სარჩელის აღძვრის წინაპირობას მხოლოდ პროკურორის „ეჭვი“ წარმოადგენდა, რომლის საფუძვლიანო-ბის დამადასტურებელი მტკიცებულებები მის მიერ სამართალ-წარმოების არც ერთ სტადიაზე არ წარდგენილა.

საყურადღებოა, რომ სადაც ქონების შეძენის დროისათ-ვის შემოსავლის არსებობის ფაქტის დადასტურების მიზნით, მოპასუხის მიერ წარდგენილია მახინჯაურის სადაბო საკრებუ-ლოს ცნობა, რომლის შესწავლითაც სააპელაციო პალატამ და-ადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ 1966 წლიდან ნ. ა-ს სოფელ განთიადში აწერია და სარგებლობს მიწის ნაკვეთით, რო-მელზეც გაძენებულია ციტრუსის ნარგავები, აღნიშნულზე დაყ-რდნობით მოპასუხე ამტკიცებდა, რომ ახორციელებდა მოსავ-

ლის რეალიზაციას, რაც საკმარისი იყო სადავო ქონების შესაძენად. საწინააღმდეგო მტკიცებულება მოსარჩევეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნყონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია დასაშვებ მტკიცებულებათა ჩამონათვალი, რომელთაგან ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტებაა. სასამართლო კი, მტკიცებულებათა კვლევისათვის დაგენილი სტანდარტის გათვალისწინებით (ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად), ვალდებულია, გამოიტანოს სწორი დასკენები საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის არც 186-ე და არც 477-ე მუხლი მოძრავი ქონების რეალიზაციისათვის ნერილობითი ფორმით გარიგების დადების აუცილებლობას არ ითვალისწინებს, აღნიშნულის საწინააღმდეგო დებულებას არც 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა, უფრო მეტიც, საპელაციო პალატას არ მიუთითებია იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც ავალდებულებდა მხარეს 1966 წლიდან მოყოლებული შენახა ციტრუსის რეალიზაციის გზით შემოსავლის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასება მახინჯაურის სადაბო საკრებულოს ცნობის თაობაზე, მოკლებულია იურიდიულ დამაჯერებლობას და არ გამომდინარეობს მტკიცებულებათა ერთობლიობაში გამოკვლევიდან.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ მიუცია ასევე მოპასუხის მიერ წარდგენილი ლეგალური შემოსავლების მიღებისა და ხელვაჩაურის რაონში მის საკუთრებად რეგისტრირებული მინის შეძენის კანონიერებისათვის, კერძოდ, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2002 წლის 11 მარტის ამონანერის თანახმად, ხელვაჩაურის რაონის სოფელ მახინჯაურში ნარგიზ აბაშიძის საკუთრებად ირიცხებოდა 1 465 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და

შენობა ნაგებობა;

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ დირექტორის 2005 წლის 17 იანვრის №23 ცნობის თანახმად, შპს „გ-ის“ დირექტორ ნ. ა-ს 1998 წელს სავაჭრო ცენტრი „ბ-დან“ მიღებული აქვს დივიდენდი – 141 600 ლარი.

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ დირექტორის 2004 წლის 1 სექტემბრის №115 ცნობის თანახმად კი, შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა-ს, 1998-2004 წლებში ხელფასის სახით მიღებული აქვს 27 300 ლარი, მათ შორის 1998 წელს – 3 500 ლარი, 1999-2003 წლებში ყოველწლიურად – 4 200 ლარი, 2004 წელს – 2 800 ლარი.

საქმეში წარმოდგენილი 2002 წლის 11 მარტის მინის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათის თანახმად, 1 465 კვ.მ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2002 წლის 28 თებერვლის №15 გადაწყვეტილებაა.

საქმეში ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დაკმაყოფილდა მოქალაქე ნ. ა-ის თხოვნა და მას საკუთრებაში გამოყენ 1 400 კვ.მ მინის ნაკვეთი მის მიერ შეძენილი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ. ნ. ა-ს დაევალა, შუალედური ზონისათვის დადგენილი გადასახადი (1 კვ.მ მინის ნაკვეთზე 4 ლარის ოდენობა), 2003 წლის იანვრამდე პერიოდულად აენაზღაურებინა ხელვაჩაურის რაიონის ბიუჯეტში. რაიონის მინის მართვის სამმართველოს დაევალა მოქალაქე ნ. ა-ის სახელზე გამოყოფილი 1 400 კვ.მ და შენობის ქვეშ დაკავებული 62,46 კვ.მ მინის ნაკვეთის რეგისტრაცია.

საყურადღებოა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა უფლების წარმომშობი ზემოაღნიშნული აქტის გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომლის თანახმად ნ. ა-ის მიერ შეძენილი უძრავი ქონება წარმოადგენს დაუსაბუთებელ ქონებას, არ გამომდინარეობს საქმის მასალების სრულყოფილი შეფასებიდან. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არ გამოიკვლია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, როგორიცაა სადავო ქონების მოპასუხის საკუთრებაში შეძენის ფაქტი დაკავშირებული არის თუ არა მისი ახლო ნათესავის – ა. ა-ის თანამდებობაზე ყოფნის ფაქტთან, რისი მტკიცებაც მოსარჩელეს ევალებოდა

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ მინის ნაკვეთის სხვა პირის

საკუთრებაში გადაცემის გამო, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 40 000 ლარის ანაზღაურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356⁵ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მართალია, დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით კანონიერი მესაკუთრისათვის ან სახელმწიფოსათვის დაპრუნების შეუძლებლობისას სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდას, თუმცა ამ კუთხითაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები არ ემყარება საქმის მასალების სრულყოფილ კვლევას, კერძოდ, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც სადაცო სახლი მდებარეობდა, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რეგისტრირებულია „ი. ტ. ლ-ის“ ნარმომადგენლობაზე საქართველოში, რაც საცხოვრებელი სახლის მოპასუხისათვის ჩამორთმევის შესაძლებლობას გამორიცხავდა. ქონების ლირებულების დადგენის მიზნით, სააპელაციო პალატა, დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ შპს კონსალტინგ-აუდიტის დამოუკიდებელ აუდიტორულ დასკვნას რომლის თანახმადაც 6. ა-ის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის საბაზო ღირებულება 40 000 ლარითაა განსაზღვრული.

საცურადღებოა, რომ აუდიტორული დასკვნა შედგენილია 2005 წლის 29 სექტემბერს და დასკვნის თანახმად, აუდიტორმა განახორციელა შესაფასებლად წარდგენილი ქონების ვიზუალური გარე დათვალიერება. აღნიშნულის საპირისპიროდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პალატამ დადგენილად ცნო, რომ აჭარის ა/რ ხელვაჩაურის რაიონის, მახინჯაურის სადაბო საკრებულოს გამგეობის მიერ 2004 წლის 1 სექტემბერს გაცემული №95 ცნობის თანახმად, სოფელ მწვანე კონცხზე, 6. ა-ის სახელზე რეგისტრირებული ხის საცხოვრებელი სახლი, ცნობის გაცემის დროისათვის დანგრეულია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების ან მისი უარყოფის მართლზომიერებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. ამდენად, სასამართლო სადაცო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი, არც

ამ კუთხით შეიცავს დამაჯერებელ მსჯელობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთობლიობაში არ მიეცა შეფასება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, გამოტანილ იქნა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, რაც გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმების საფუძველია, ამასთან, ვინაიდან საქმის გარემოებების სწორად დადგენისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ხელვაჩიურის რაიონში, მნვანე კონცხზე მდებარე უძრავი ქონების შეძენის დასაბუთებულობის თვალსაზრისით საქმის ხელახლა გამომისახულება სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ უნდა გამოიტანოს დასკვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის თაობაზე და სამართლებრივად შეაფასოს ისინი.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, რადგანაც დასახელებული ნორმა საქმის წარმოების შეწყვეტის აუცილებლობას ადგენს მაშინ, როდესაც სახეზეა შემდეგი ელემენტები: უნდა არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება; იგი გამოტანილი უნდა იყოს იმავე მხარეებს შორის არსებულ დავაზე, ვის შორისაც კვლავ მიმდინარეობს სამართალწარმოება; ორივე საქმეზე იდენტური უნდა იყოს დავის საგანი და საფუძველი. ამ პირობათაგან ერთ-ერთის არარსებობა საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, თუმცა მისი შესწავლით ირკვევა, რომ უძრავი ქონები-სა და ავტომანქანის კანონიერებას, რომელიც წინამდებარე და-

ვის საგანს წარმოადგენს, აჭარის ა/რ პროკურორი ედავებოდა არა ნ. ა-ს, არამედ მის მეუღლე თ. კ-ს, მოცემულ საქმეზე კი, მოპასუხედ დასახელებულია ნ. ა-ე, როგორც პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტი, რაც საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველია.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, საქმეზე მიღებული შუალედური საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო ვერ გაიზიარებს მას და აღნიშნავს, რომ საოქმო განჩინებების გაუქმების მოთხოვნა იმგვარად, რომ მხარე არ მიუთითებს არც კონკრეტულ განჩინებაზე და არც მისი გაუქმების ფაქტობრივ საფუძვლებზე, სასამართლოს არ აძლევს უფლებას, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს მათი უსწორობის საკითხი, ამგვარი მიდგომა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებიდან, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უხდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განრიცხა

№ას-114-107-2015

6 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ.თოდრია,
ბ.ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს სადაზღვევო კომპანია „...“ მიმართ, სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი დავარლიანების დაფარვისა და პირგასამტებლოს ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი შპს სადაზღვევო კომპანია „...“ მიმართ სამედიცინო მომსახურების ღირებულებისა და პირგასამტებლოს დაკისრების შესახებ დაკამაყოფილდა, შპს სადაზღვევო კომპანია „...“ შპს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის მაისში გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების დარჩენილი დავალიანების – 7622.30 ლარის გადახდა, 2013 წლის მაისში გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისათვის: ა) 2013 წლის 28 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისამდე დარიცხული პირგასამტებლო – 1254.40 ლარი; ბ) 2013 წლის 26 ივლისიდან 2013 წლის 26 აგვისტომდე დარიცხული პირგასამტებლო – 1044 ლარი; გ) 2013 წლის 26 აგვისტოდან 2014 წლის 21 თებერვლამდე დარიცხული პირგასამტებლო – 5389.12 ლარი; სულ – 7687.52 ლარი, ასევე შპს სადაზღვევო კომპანია „...“ შპს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის მაისში გაწეული სამედიცინო მსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტებლო ყოველდღიურად 7.62 ლარის

ოდენობით 2014 წლის 21 ოქტომბერიდან ვალდებულების შეს-
რულებამდე,

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს სადაზღვე-
ვო კომპანია „...“ ნაწილობრივ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

შპს „...“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სააპელაციო
სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყო-
ფის მიზნით და მოითხოვა შპს სადაზღვევო კომპანია „...“ (საი-
დენტიფიკაციო კოდი №204491344) ფულად სახსრებზე ყადა-
ლის დადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით
დაკისრებული ფულადი ვალდებულებების, სულ – 19407.33 ლა-
რის ფარგლებში.

განმცხადებელმა თავისი მოთხოვნა დააფუძნა შემდეგ გა-
რემოებებს:

შპს სადაზღვევო კომპანია „...“ არ შეუსრულებია შპს „...“ სა-
სარგებლოდ აუცილებელი სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც
დადასტურებულია საქალაქო ან/და სააპელაციო სასამართლოს
გადაწყვეტილებით, ასევე, სამედიცინო მედიაციის სამსახურის
მიერ და რომლის ოდენობაც 2014 წლის 26 დეკემბრის მდგომა-
რეობით შეადგენს 515362.35 ლარს. მოსარჩელის წინაშე არსე-
ბული ვალდებულებები მოპასუხეს დღემდე არ შეუსრულებია.
შპს „...“ გარდა, შპს სადაზღვევო კომპანია „...“ შეუსრულებელი
ფინანსური ვალდებულება გააჩნია შპს „კ-ის“ მიმართაც.

განმცხადებლის განმარტებით, შპს სადაზღვევო კომპანია „...“ ყოველი ქმედება და დაპირება ცხადყოფს და ამტკიცებს იმ
გარემოებას, რომ იგი არ აპირებს ვალდებულების შესრულე-
ბას, რითაც აზარალებს როგორც კლინიკის ინტერესებს, ასევე
მის მიერ დაზღვეული პაციენტების ჯამრთელობას და ეჭვებე
აყენებს მათ სიცოცხლეს.

განმცხადებელის ინფორმაციით, მოპასუხე იმყოფება მძი-
მე ფინანსურ მდგომარეობაში, რის გამოც არსებობს დიდი ალ-
ბათობა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის
დროისათვის, მზღვეველის გადახდის უზურობის გამო, გადაწ-
ყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდება. ამასთან, საჯარო
რეესტრის მონაცემებით შპს სადაზღვევო კომპანია „...“ საკუთ-
რებაში არ ირიცხება არანაირი სახის უძრავი ქონება, ხოლო მის
საკუთრებაში არსებული წილები, სხვადასხვა ვალდებულება-
თა აღსრულების მიზნით, დაყადაღებულია და ირიცხება მოვა-
ლეთა რეესტრში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ გან-

ცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 271-ე მუხლით, 191-ე მუხლის პირველი ნაწილით, 193-ე მუხლით, 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე, შესაძლოა, არაკეთილსინიერი აღმოჩნდეს, და საკუთარი ქონება გაასხისოს, ფინანსური სახსრები განკარგოს, გადამალოს, რის შედეგადაც მოსარჩელის უფლება განუხორციელებელი დარჩება.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მეწარმე სუბიექტის ანგარიშებზე ყადალის დადებით, არა თუ ხელი შეეწყობა გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მოვალის, როგორც მეწარმე სუბიექტის, გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები.

ამდენად, იურიდიული პირის ფულად ანგარიშებზე ყადალის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მექანიზმების გამოყენებით შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა წარადგინა მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც, შპს სადაზღვევო კომპანია „... სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე არ არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების სხვა კანონისმიერი წინაპირობა.

პალატამ გამოიყენა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, მე-16 მუხლის პირველი პუნქტი და აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნუ-

ლი ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №125/01 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე სა-დაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპი-ტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტე-რიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყვე-ლა ეტაპზე კაპიტალის მინიმალურ იდენტის. ამავე წესის მე-ორე მუხლის მიხედვით კი, საქართველოს ტერიტორიაზე სა-დაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზის მა-ძიებელი კომპანიებისათვის წერილობითი განცხადების წარდგე-ნის მომენტში შევსებული კაპიტალის, ხოლო მზღვეველისათ-ვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპ-ზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრე-ბა შემდეგი ოდენობით: а) სიცოცხლის დაზღვევა – 1 500 000 ლარი; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – 1 000 000 ლარი; გ) გა-დაზღვევა – 1 500 000 ლარი.

ამდენად, პალატამ განმარტაა, რომ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცი-ლებელი ინდიკატორია, შესაბამისად, სასამართლო წესით უზ-რუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შედეგად სადაზღვე-ვო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის საფრთხე, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფინანსური ვალ-დებულებების ნებაყოფლობით შესრულებას შეეძლება ხელი. სადაზღვევო კომპანიის ანგარიშების დაყადალებით კი, ისეთი ფინანსური ინსტიტუტი, როგორიც სადაზღვევო კომპანიაა, საქ-მიანობის თვალსაზრისით დაბრკოლდება, რაც არა თუ უზრუნ-ველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ კომპანი-ას, რომლის ძირითადი საბრუნავი საშუალება ფულია, საქმია-ნობას შეაფერხებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მსჯელობა სუბსიდუ-რი ხსიათიასაა. ძირითადი მოტივაცია კი, თუ რატომ არ უნდა იქნეს სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე ყადალა დადებული, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სადაზღვე-ვო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეს-რულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძუ-ლებით აღსრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები. სარ-ჩელის აღძვრა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი იმ-თავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყე-ნების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვე-ტილების აღსრულების შეუძლებლობას, მით უფრო, როდესაც

მოპასუხე და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღ-სრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სადაზღვევო კომპა-ნიაა, რომლის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყო-ბა, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულე-ბას შეუწყობს ხელს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს „...“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მოპასუხის ფინანსებზე ყადალის დადების აუცილებლობა დასაბუთებულია, ვინაიდან სადაზღვევო კომპანია იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარე-ობაში და არსებობს ალბათობა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის, მზღვეველის გადახდისუუნარობის გამო, აღ-სრულება ვეღარ მოხერხდება. ამავდროულად, საჯარო რეეს-ტრის მონაცემებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ „...“ სა-კუთრებაში არანაირი უძრავი ქონება არ ირიცხება, მის საკუთ-რებაში არსებული ნილტი კი, სხვადასხვა ვალდებულებათა აღ-სრულების მიზნით, დაყადაღებულია და ირიცხება მოვალეთა რეესტრში. მოპასუხეს გააჩნია დიდი ოდენობით სხვა ფულადი ვალდებულებებიც, რომელთა შესრულების შემთხვევაში კომ-პანია ვეღარ დაფარავს მოსარჩევის დავალიანებას და შპს „...“ აღმოჩნდება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფებოდა სასამართლოს მიერ „ა-ე“ შპს „...“ სასარგებლოდ 2 600 000 ლა-რის დავალიანების დაკისრების დროს, როცა თანხის ამოღება ვერ მოხერხდა მოვალის გადახდისუუნარობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 20 იანვრის განჩინებით საჩივარი, დაუ-საბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად განსახილე-ლად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდე-გი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლე-ბის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ განმარ-ტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენე-ბისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩევის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტე-რესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორ მოპასუხის უფლებები) შორის. გარდა ამი-სა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი

პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკამაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოგანის შესაძლებლობას. ამასთან, უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.

პალატამ ასევე განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანნილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი ნანამდვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის დასაბუთებრივი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.

უდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობამ უნდა გადაწონოს ვარაუდი მისი არარსებობის შესახებ. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაზღვევო ბაზრის, მათი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთერთი აუცილებელი ინდიკატორია, შესაბამისად, სასამართლო წესით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად სადაზღვევო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის საფრთხე, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფინანსური ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულებას შეექმდება ხელი. სადაზღვევო კომპანიის ანგარიშების დაყადაღებით კი სადაზღვევო კომპანია, საქმიანობის თვალსაზრისით დაბრკოლდება, რაც არა თუ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ კომპანიის, რომლის ძირითადი საბრუნავი საშუალება ფულია, საქმიანობას შეაფერხებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს. ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომ შპს სადაზღვევო კომპანია „...“ სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები. სარჩელის აღძვრა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი იმთავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების კა-

ნონისმიერი წინაპირობები არ არსებობს. მარტოოდენ იმაზე მითითება, რომ მხარეებს შორის მიმდინარე არა ერთი დაციდან (მხარეთა შორის მიმდინარეობს 13 დავა) არც ერთ შემთხვევაში არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს მიერ მოვალის სასამართლოდ გადაწყვეტილება არ გამოტანილა, ხოლო საკასაციო სასამართლომ მოვალის ყველა საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ განსახილველ შემთხვევაშიც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მსგავსი გადაწყვეტილება იქნება მიღებული და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება ან დაბრკოლება შეექმნება მის აღსრულებას, მით უფრო, რომ საქმიში წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული მტკიცებულებებით არ დასტურდება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ან ვალდებულებათა შესრულებისაგან არამართლზომიერი გზით თავის არიდების რისკი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლითა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩევს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცვადეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩევს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაგმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძ

ლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღსრულებლი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვანად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლოს მიერ მოთხოვნისა თუ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ფარგლებში საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში დაცულ უნდა იქნას ორივე მხარის ინტერესთა შორის სასამართლისა ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპი. საკუთრების უფლებაში შეზღუდვა უნდა იყოს უზრუნველსაყოფი სიკეთის ადეკვატური და არ გასცდეს დასაშვებ ფარგლებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს სადაზღვევო კომპანია „....“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულება, სულ – 19407.33 ლარის ოდენობით.

აღნიშნულის საფუძველზე შპს „...“ მოითხოვს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას. მხარეთავის მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ შპს სადაზღვევო კომპანია „....“ იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობა-

ში, გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებები სხვა დაწესებულებების მიმართ და არსებობს შესაძლებლობა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ დალაში შესვლის მომენტისათვის, მზღვეველის გადახდისუუნარობის გამო, მისი აღსრულება ვეღარ მოხერხდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

აღნიშნული ნორმა ადგენს სადაცო გარემოებების მტკიცების სტანდარტს და კონკრეტული ფაქტის არსებობის სარწმუნოდ დადასტურებას ავალებს იმ მხარეს, რომელმაც იგი თავისი პოზიციის დასადასტურებლად მიუთითა.

ამდენად, საჩივრის ავტორს საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად უნდა დაედასტურებინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს სადაზღვევო კომპანია „...“ განიცდის ისეთ ფინანსურ სირთულეებს, რომლებიც სამომავლოდ ობიექტურად ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას.

მართალია, განცხადებაზე თანდართული მასალებით იკვეთება, რომ მოპასუხეს გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებანი, თუმცა მათ კანონიერებაზე მიმდინარეობს სასამართლო დავები და აღნიშნული ცალსახად არ ადასტურებს, რომ სადაზღვევო კომპანიას მათი დაფარვის ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღსრულებელი დარჩება ან აღსრულება მნიშვნელოვანილად გაძნელდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. მხოლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამაცვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამძღვრები გადაწყვეტილების აღსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი შპს „...“ მოთხოვნა გადაწყვეტი-

ლების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ სრულყოფილად დასაბუთებული არ არის, რის გამოც სააპელაციო პალატის მიერ მართებულად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს გასაჩინოებული განჩინების მსჯელობის იმ ნაწილზე, რომლითაც სააპელაციო პალატამ მიუთითა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. ამავე კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია დაიცვას სამსახურის მიერ დადგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები: ა) კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე; ბ) სადაზღვევო რეზერვების ოდენობა სახეობათა მიხედვით; გ) სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან; დ) კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა; ე) აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდიკასა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს სამსახური.

საპელაციო პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №125/01 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალურ იდენტიკონის მიხედვით კი, საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის მაძიებელი კომპანიებისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტში შევსებული კაპიტალის, ხოლო მზღვეველისათვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: ა) სიცოცხლის დაზღვევა – 1 500 000 ლარი; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – 1 000 000 ლარი; გ)

გადაზღვევა – 1 500 000 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ინდიკატორია, შესაბამისად, სასამართლო წესით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად სადაზღვევო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის საფრთხე, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფინანსური ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულებას შეეშლება ხელი. სადაზღვევო კომპანიის ანგარიშების დაყადალებით კი, ისეთი ფინანსური ინსტიტუტი, როგორ სადაზღვევო კომპანიაა, საქმიანობის თვალსაზრისით დაბრკოლდება, რაც არა თუ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ კომპანიას, რომლის ძირითადი საბრუნავი საშუალება ფულია, საქმიანობას შეაფერხებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს.

პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მსჯელობა სუბსიდური ხასიათიასაა. ძირითადი მოტივაცია კი, თუ რატომ არ უნდა იქნეს სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე ყადალა დადებული, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები. სარჩელის აღმოჩენა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი იმთავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, მით უფრო, როდესაც მოპასუხე და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სადაზღვევო კომპანიაა, რომლის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებას შეუწყობს ხელს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას იმ ნაწილში, რომ ძირითადი მოტივაცია, თუ რატომ არ უნდა იქნეს სადაზღვევო კომპანია „....“ ანგარიშზე ყადალა დადებული, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები. სარჩელის აღმოჩენა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი, იმთავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, მით უფრო, როდესაც მოპასუხე და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სადაზღვევო კომპანიაა, რომლის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებას შეუწყობს ხელს.

ძიების გამოყენების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას.

თუმცა საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომ თუკი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სადაზღვევო კომპანია, გაუმართლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ფულად ანგარიშზე ყადალის დადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თველის, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრისა და 2015 წლის 20 იანვრის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვა

№ას-1290-1228-2014

23 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერი შვეიცარი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღნერილობითი ნაწილი:

გ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-ისა და ი. კ-ას
მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის საკუთრებას წარმოადგენ-
და შპს „დ. 2002-ის“ 50% ნილი, შპს „ბ-ში“ კი – 37,62%. 2005-
2007 წლებში მოპასუხეებმა იძულების წესით, სიმბოლურ ფა-
სად დაათმობინეს ზემოაღნიშნული ნილები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ შპს „დ.
2002-ის“ ნილი შეიძინეს კანონიერად, ყოველგვარი ზენოლის გა-
რეშე, ხოლო შპს „ბ-ში“ ნილის მესაკუთრენი არ ყოფილან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარ-
ჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. კ-ეს გ. გ-ის სასარგებ-
ლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის, ი. კ-ას კი, – 1 724 877
აშშ დოლარის გადახდა, გ. კ-ეს მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებ-
ლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის ნლიური 10%-ის გადახ-
და 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მოპასუხე ი. კ-ას მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1
724 877 აშშ დოლარის ნლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივ-
ლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, გ. გ-ის სარჩელი
შპს „ბ-ს“ ნილის ნასყიდობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკ-
მაყოფილების ნაწილში მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო
წესით.

გ. გ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს
და მოითხოვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხ-
ლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის

23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

განმცხადებლის მითითებით, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ აპელანტებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი აღსრულებისაგან თავის დაღწევის მიზნით, შესაძლოა, გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული ქონება, რაც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ, მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა ის ვერ მოახდენს გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტურ უზრუნველყოფას, ვინაიდან ყადაღა დაედო მხოლოდ ი. კას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას – 394 კვ.მ-ს და მის წილს შეს „გ-ში“. განმცხადებლის ინფორმაციით, საზოგადოებას არანაირი აქტივი არ გააჩნია და წილის ღირებულება მიზერულია. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ოდენობა კი, თოთოეულ მოპასუხეზე შეადგენს 3 320 000 აშშ დოლარს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული ქონების ღირებულება აშკარად შეუსაბამობაშია გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ოდენობასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით გ. გ-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. კ-ას (პ/ნ ...) აეკრძალა შპს „ლ-ში“ (ს/კ ...) მისი კუთვნილი 50%-იანი წილის გასხვისება და დაგირავება; გ. კ-ეს (პ/ნ ...) აეკრძალა ქალაქ თბილისში, მ-ის ქუჩა №21-ში მდებარე უძრავი ქონებაში, საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 299 კვ.მ ნაკვეთის წინა ნომერი 2, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, №2, №3, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 293, საცხოვრებელი ფართი 145.00, დამზმარე ფართი 148.00) მისი კუთვნილი 45/145 წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (პ/ნ ...) აეკრძალა ქალაქ თბილისში, მ-ის ქუჩა №21-ის მიმდებარედ მდებარე უძრავ ქონებაში საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 132.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი 001), მისი კუთვნილი წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (პ/ნ ...) აეკრძალა ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ. უძრავ ქონებაში საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი

თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 9000 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8) მისი კუთვნილი წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №50-ში მდებარე უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 831.00 კვ.მ ნაკვეთის წინა ნომერი 13, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 1223.00 კვ.მ) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო (სათიბი), დაზუსტებული ფართობი 6000.00 კვ.მ) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო (სათიბი), დაზუსტებული ფართობი 6500.00) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე ქალაქ თბილისში, ... №24^o, საკადასტრო კოდი: ..., სართული 13, ბ. 31, ფართი 245.00 კვ.მ, ტერასა 163.00 კვ.მ (ნაკვეთის საკუთრების ტიპი თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 2414 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 1/18;01.10.16.001.018, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი №1, №2, №3, №4, №5) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 3600.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 64.30.01.791) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა უძრავ ქონებაში, მდებარე ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის IV შესახვევი, №9, საკადასტრო კოდი: ... (ნაკვეთის საკუთრების ტიპი თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 1250.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 138, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 247,26 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 125.68) კუთვნილი 1/2 ნანილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; გ. კ-ეს (3/6 ...) აეკრძალა შპს „გ-ში“

(ს/კ ...) კუთვნილი 100% წილის გასხვისება და დაგირავება; გ. კ-ეს (პ/ნ ...) აეკრძალა შპს „ლ-ში“ (ს/კ ...) კუთვნილი 50%-იანი წილის გასხვისება და დაგირავება; გ. კ-ეს (პ/ნ ...) აეკრძალა შპს „ი-ი“ (ს/კ ...) კუთვნილი 50%-იანი წილის გასხვისება და დაგირავება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 271-ე მუხლებით, 191-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გ. გ-ის განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, მოპასუხების მიერ კუთვნილი უძრავი ქონებისა და წილების შესაძლო გასხვისების თაობაზე, სასამართლოს უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების გარეშე მხარის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გაძნელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სააპელაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. იგი წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტისა და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში.

სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების – საკუთრების უფლების შეზღუდვას. საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლის ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსის შეფასებისა და უზ-

რუნველყოფის ღონისძიების შერჩევის მიზნით სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის, ი. კ-ს მიმართ. სასარჩელო მოთხოვნისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხებისათვის დაკისრებული თანხის მოცულობის გათვალისწინებით, იმაზე მითითებით, რომ 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გამოყენებული ღონისძიება არასაკმარისია მისთვის სასარგებლოდ საქმის დასრულების შემთხვევაში გადაწყვეტილების რეალური აღსრულებისათვის, განმცხადებელი (მოსარჩელე) მოითხოვს ყადაღის დადებას ამავე მოპასუხის კუთვნილ 50%-იან ნილზე შპს „ლ-ში“, ხოლო მეორე მოპასუხის, გ. კ-ის მიმართ გ. გ-ი ითხოვს როგორც უძრავ ქონებებზე, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში არსებულ ნილებზე უზრუნველყოფი ღონისძიების გამოყენებას. 2014 წლის 28 ოქტომბრის განცხადებაზე თანდართული ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დასტურდება მოპასუხეთა საკუთრების უფლება აღნიშნულ ქონებებზე, ამასთან, ამავე ამონაწერებით ირკვევა, რომ გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებებზე გამოყენებულია საგადასახადო გირავნობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განცხადებაში მითითებულ ყველა ქონების მიმართ მიზანშემონილად მიიჩნია.

სასამართლომ იხელმძღვანელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 40.1 და 63¹ მუხლებით და მიუთითა, რომ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოგალის ქონების აღნერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, (უძრავ ნივთებთან მიმართებით იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის), მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, თხოვების აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახად გადაცემას.

სარჩელის უზრუნველყოფის საჯარო მიზნის (რაც გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას გულისხმობს) და იმავდროულად, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნის ფარგლებში, ნაცვლად მის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებისა (ყადაღისა), გამოყენებულ უნდა იქნას სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი სახის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხებს აეკრძა-

ლება განმტხადებლის მიერ მითითებული ქონების გასხვისება და დაგირავება (იპოთეკით დატვირთვა).

სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ლონისძიება საკმარისია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანეს გ. კ-ებ და ი. კ-ამ, მოთხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმება, ნინააღმდეგ შემთხვევაში კი, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა შემდეგი დასაბუთებით:

საჩივრის ავტორის მითითებით, არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც მიანიშნებდა აღნიშნული ქონების გასხვისების ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვის საფრთხეზე. გადაწყვეტილებები და განჩინებები კი იურიდიულად უნდა იყოს დასაბუთებული და ეყრდნობოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაც სადაც განჩინებაში არ მოიძებნება.

2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გ. გ-ის მოთხოვნა უკვე იყო უზრუნველყოფილი ი. კ-ას უძრავ ნივთზე და საწარმოს ნილზე ყადაღის გამოყენებით. ამდენად, დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი მოცემულ საქმეზე არ არსებობდა.

მხარემ მიიჩნია, რომ ქონების ღირებულება, რომელზეც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება, გაცილებით აღემატება იმ თანხას, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სადაც გადაწყვეტილებით დაეკისრა გ. კ-ეს და ი. კ-ას. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებებს შორის. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური, დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

საჩივრის ავტორებმა განმარტეს, რომ გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების შემთხვევაში საჭიროა უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის მიზნით გ. გ-ს დაეკისროს მოპასუხებისათვის გადაწყვეტილებით დაეკისრებული თანხის – 6 640 000 აშშ დოლარის 10%-ის 664 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის უზრუნველყოფის გარანტია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ი. კ-ასა და გ. კ-ის საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ

გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 197-ე მუხლების თანახმად, პალატაშ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება საჩივარში მითითებული გარემოება, რომ ვინაიდან განმცხადებელს მოპასუხეების მიერ კუთვნილი ქონების გასხვისების განზრახვის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, სადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა.

პალატაშ განმარტა, რომ განმცხადებელს, რომელიც სასამართლოს მიმართავს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, ვევალება მიუთითოს ისეთ გარემოებებზე, რომელიც სასამართლოს შეუქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში, შეიძლება გართულდეს მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება, ხოლო ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენას კანონი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოთხოვნის წარმდგენ პირს არ ავალდებულებს (სსსკ-ის 191-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გ. გ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოება მოპასუხეების მიერ კუთვნილი ქონების შესაძლო გასხვისების შესახებ, ქმნიდა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების გარეშე მხარის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გაძნელების დასაბუთებულ ვარაუდს, რის გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა.

სააპელაციო პალატამ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია საჩივრის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გ. გ-ის მოთხოვნა უკვე იყო უზრუნველყოფილი ო. კ-ას უძრავი ნივთით და საწარმოს ნილზე ყადალის გამოყენებით, დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.

პალატა დაეთანხმა საჩივრის ავტორთა მითითებას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებებს შორის და საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს იმ მოცულობით, რამდენადაც ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად.

სასამართლომ დაადგინა, რომ საპელაციო პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული იყო მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის – ი. კ-ს მიმართ. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელმა, ამავე მოპასუხის კუთვნილ წილზე შპს-ში და მეორე მოპასუხის – გ. კ-ს უძრავ ქონებასა და წილებზე სხვადასხვა საზოგადოებაში ყადაღის დადგება მოითხოვა გადაწყვეტილებით მოპასუხებისათვის დაკისრებული თანხის მოცულობის გათვალისწინებითა და იმაზე მითითებით, რომ 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გამოყენებული ღონისძიება არასაკმარისია მის სასარგებლოდ საქმის დასრულების შემთხვევაში გადაწყვეტილების რეალური აღსრულებისათვის.

გასაჩივრებული განჩინების მიღებისას, სწორედ მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსის დაცვისა და უზრუნველყოფის ღონისძიების შერჩევის მიზნით, საპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა დავის საგნის მოცულობაზე, სასარჩელო მოთხოვნაზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. კ-ს საკუთრებაში არსებულ ქონებებზე გამოყენებულია საგადასახადო გირავნობა, პალატამ მიზანშენონილად მიიჩნია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განცხადებაში მითითებულ ყველა ქონების მიმართ. ამასთან, მოპასუხის საკუთრების უფლების გაუმართლებლად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, ნაცვლად განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებისა – ყადაღისა, სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ქონების გასხვისებისა და იპოთეკით (გირავნობით) დატვირთვის მოპასუხეთათვის აკრძალვის გამოყენება.

საპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის არგუმენტი უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლების არაადეკვატურობაზე სასარჩელო მოთხოვნის მოცულობასთან მიმართებით, რადგან საჩივრის ავტორთა მიერ წარმოდგენილი არ არის ქონების ღირებულების განსაზღვრის ან რაიმე სახის ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული ღონისძიების სასარჩელო მოთხოვნასთან შეუსაბამობას.

საპელაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს ასევე გამოყენებული საპროცესო მოქმედების – სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მოპასუხისათვის სავარაუდო ზიანის უზრუნველყოფის გარანტირების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ განმარტა, რომ გათვალისწი-

ნებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილ, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემონტების არსებობა, რამაც შესაძლოა მხარეს ზიანი მიაყენოს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს განმცხადებლის მიერ კონკრეტულ გარემოებებზე მითითებას და შესაბამის დასაბუთებას გარანტიის წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ. მხოლოდ ის გარემოება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით იზღუდება მოპასუხის უფლებამოსილება და მითითება ზარალის ოდენობაზე, არ შეიძლება წარმოადგენდეს მოსარჩელისათვის მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის საფუძველს. მხარემ, რომელიც ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, უნდა მიუთითოს იმ მოსალოდნელ ზიანზე, რაც შეიძლება რეალურად მოჰყვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და, შესაბამისად, სარწმუნოდ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომელიც ადასტურებს მოსარჩელისაგან შესაბამისი გარანტიის წარდგენის აუცილებლობის ვარაუდს, ეკისრება განმცხადებელს, რასაც მოცემულ შემთხვევაში მხარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ვერ ასაბუთებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლი-სა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ისა და ი. კ-ას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. კ-ეს გ. გ-ის სასარგებ-

ლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის, ი. კ-ას კი, – 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, გ. კ-ეს მოსარჩევე გ. გ-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მოპასუხე ი. კ-ას კი, – 1 724 877 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, გ. გ-ის სარჩელი შპს „ბ-ს“ წილის ნასყიდობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ მოცემული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის განჩინებების დასაბუთებას, რომელთა თანახმად დაკმაყოფილდა გ. გ-ის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებლი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნ-

ველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელებ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რნმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდვას კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ამდენად, დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სრულიად საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილი ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან და მეწარმეთა და არასამერარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დასტურდება მოპასუხეთა საკუთრების უფ-

ლება იმ ქონების მიმართ, რომელზეც გავრცელდა უზრუნველყოფის ლონისძიება. ამავდროულად, გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოყენებულია საგადასახადო გირავნობა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას საჩივრის იმ არგუმენტის დაუსაბუთებლად ცნობის თაობაზე, რომლითაც მხარე მიუთითებდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გ. გ-ის მოთხოვნა უკვე იყო უზრუნველყოფილი ო. კ-ას უძრავი ნივთით და საწარმოს წილზე ყადაღის გამოყენებით, შესაბამისად, დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიება გამოყენებული იყო მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის – ი. კ-ს მიმართ. სააპელაციო პალატამ მართებულად აღნიშნა, რომ განმცხადებელმა შპს-ში ამავე მოპასუხის კუთვნილ წილზე და მეორე მოპასუხის – გ. კ-ის უძრავ ქონებასა და წილებზე სხვადასხვა საზოგადოებაში ყადაღის დადება მოითხოვა გადაწყვეტილებით მოპასუხებისათვის დაკისრებული თანხის მოცულობის გათვალისწინებით და იმაზე მითითებით, რომ 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გამოყენებული ლონისძიება არასაკმარისია მის სასარგებლოდ საქმის დასრულების შემთხვევაში გადაწყვეტილების რეალური აღსრულებისათვის.

ამდენად, სადაც უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებისას სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, მხედველობაში მიიღო დავის საგნის მოცულობა, ის ფაქტი, რომ გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოყენებულია საგადასახადო გირავნობა და მიზანშეწონილად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენება განცხადებაში მითითებული ქონების სრული ჩამონათვალის მიმართ. ამასთან, მოპასუხის საკუთრების უფლების გაუმართლებლად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, ნაცვლად განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ლონისძიებისა – ყადაღისა, სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ქონების გასხვისებისა და იპოთეკით (გირავნობით) დატვირთვის მოპასუხეთათვის აკრძალვის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორთა არგუმენტს, რომ ქონების ღირებულება, რომელზეც გამოყენებულია უზრუნველყოფის ლონისძიება, გაცილებით აღემატება იმ თანხას, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სადაც გადაწყვეტილებით დაეკისრა გ. კ-ეს და ო. კ-ს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

აღნიშნული ნორმა ადგენს სადავო გარემოებების მტკიცების სტანდარტს და კონკრეტული ფაქტის არსებობის სარწმუნოდ დადასტურებას ავალებს იმ მხარეს, რომელმაც იგი თავისი პოზიციის დასადასტურებლად დაასახელა.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულება სადავო ქონების ღირებულების დასადასტურებლად, რაც მათი მტკიცების ტკირთს განეკუთვნებოდა.

დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორთა პრეტენზია მის მოსალოდნებლი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზეც. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, თუმცა ამისათვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს ასეთი ზარალის წარმოშობის რეალურობაში.

მხარემ კი, ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რა გარემოებები უდევს საფუძვლად მის ზემოხსნებულ მოთხოვნას და რით დასტურდება მისთვის მოსალოდნელი ზიანის მიყენების ალბათობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის თანახმად, მის მოვალეობას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გაჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-ისა და ი. კ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

განხილვა

№ას-5-5-2015

10 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ბმა „კ. 19“-ის ნარმომადგენელმა ი. ნ-ამ სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხისათვის მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისში, გამრეკელის ქ. №19, სართული 1, კომერციული ფართი 55 კვ.მ.; ქ. თბილისში, გამრეკელის ქ. №19, სართული 2, კომერციული ფართი 707 კვ.მ.) გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა დაკიმაყოფილდა ნაწილობრივ: სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, გ-ის ქ. №19, სართული 1, კომერციული ფართი 55.00 კვ.მ. გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2014 წლის 3 ოქტომბერს შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების თაობაზე და მოითხოვა მოსარჩელის მიერ 200 000 ლარის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლების დეპარტამენტის ანგარიშზე განთავსება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ განცხადება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების თაობაზე არ დაკიმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბმა „კ.

19“-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე შპს „სა-დაზღვევო კომპანია ...“ მოსარჩელე ამხანაგობა „კ. 19“-ის სა-სარგებლოდ დაეკისრა 8 625,04 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-რა შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ და მოითხოვა სარჩელის დაკ-მაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმა. აპელაციმა სასამართლოს ნინაშე ასევე დააყენა შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე. კერძოდ, მოითხოვა 2014 წლის 27 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა და სარჩელის უზრუნველყოფა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შპს „სადაზ-ღვევო კომპანია ...“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: შპს „სა-დაზღვევო კომპანია ...“ დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყო 8 625.04 ლარის განთავსება სა-ქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამარ-თლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე და აღნიშ-ნულის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 196-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ უზრუნველ-ყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლა საქმის გან-ხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვები, რადგან დასახელებუ-ლი ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის გან-ხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომ-ლობით და მოითხოვონ გამოყენებული სარჩელის უზრუნველ-ყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით. ასეთი ცვლილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაში მდგომარეობ-და.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერ-თი სახის მეორით შეცვლის შემთხვევაში არსებითი პირობაა და-ცული იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დანუშ-ნულება ანუ უზრუნველყოფილი იქნეს გადაწყვეტილების რეა-ლურად აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თა-ვიდან აცილება ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით აღნიშნული ბალანსი დაცული იქნებოდა. ერთის მხრივ, სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებას არ შეექმნებოდა საფრთხე და მეორეს მხრივ, მოპასუხე თავიდან აიცილებდა მოსალოდნელ ზიანს.

მითითებულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ბმა „კ. 19-ის“ წარმომადგენელმა ო. ნ-ამ და მოითხოვა განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ შუამდგომლობაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. შუამდგომლობის ავტორის მოტივაცია იყო ზოგადი და მასში არ იყო მითითებული, კონკრეტულად კომპანიის რომელი უფლება თუ ინტერესი შეიზღუდა. ზოგადი და აბსტაქტული იყო მითითება მასზეც, რომ შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ გამოყენებული უზრუნველყოფის გამო ვერ ახერხებდა კრედიტების აღებას, საბანკო გარანტის მიღებას და ა. შ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, შუამდგომლობის დაყენებისას შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ ინტერესი მდგომარეობდა სწორედ აღნიშნული 55 კვ.მ. უძრავი ქონების გასხვისებაში და არა იმაში, რომ იგი რაიმე უფლების რეალიზებას ვერ ახდენდა. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა შეეცვალა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უძრავი ნივთის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა ბმა „კ. 19“-ის საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და ბმა „კ. 19“-ის საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბმა „კ. 19“-მა თავისი სასარჩელო მოთხოვნის – თანხის 9 940,1 ლარის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მოითხოვა მოპასუხის – შპს „სადაზღვე-

ვო კომპანია ...“ კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა. მოგვიანებით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული ერთი უზრუნველყოფის ღონისძიება (გასხვისება და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა) სააპელაციო პალატამ შეცვალა მეორით – სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 8 625.04 ლარის ჩარიცხვით.

სააპელაციო პალატამ უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით, 196-ე მუხლის მესამე ნაწილით და მიიჩნია, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელებით მოცემულ საქმეზე საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე არ შეექმნებოდა.

საკავალით სასამართლო სავსებით ეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ ბმა „კ. 19“-ის საჩივარს მართებულად ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცვალეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება და ემაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწ

ყობაა. ამასთან, მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა, კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფისა და, მათ შორის, მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ღონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივი ბეჭდზე გავლენას ვერ მოახდენს.

მოცემულ შემთხვევაში, ბმა „კ. 19“-ის სარჩელის უზრუნველყოფის (ქონების გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის) გამოყენების შემდეგ თბილისას საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „სადაზღვევო კომპანია ...“ მოსარჩელე ამხანაგობა „კ. 19“-ის სასარგებლოდ დაეკისრა 8 625.04 ლარის გადახდა.

მითითებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით მოპასუხემ იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფად გამოყენებული ღონისძიების შეცვლის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით. აღნიშნული ნორმის თანახმად, მხარეთა თხოვნით, დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ფუ-

ლადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ლონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

ასეთი ცვლილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაში მდგომარეობს. უზრუნველყოფის ლონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზეა დასაშვები, რადგან სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშულად ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და, მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, პალატა უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს საჩივრის აეტორის პოზიციას იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის წარმდგენ პირს ვინაიდან არ მიუთითებია, მისი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის გამო კონკრეტულად რომელი უფლების განხორციელება შეიზღუდა, არ არსებობდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის საფუძველი.

ამასთან საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბმა „კ. 19“-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, სააპელაციო პალატაში საქმის წარმოების გაგრძელების ეტაპზე სრულიად მართლზომიერია, მოპასუხის კუთხით უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის ნაცვლად გამოყენებულ იქნას სასამართლო დეპოზიტზე თანხის ჩარიცხვა მით უფრო, რომ

აღნიშნული თანხის ოდენობა საქმარისია სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბმა „კ. 19“-ის წარმომადგენელმა სარწყმუნოდ ვერ დაასაბუთა, როგორ შეუშლიდა ხელს მისი სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას მოპასუხის კუთვნილი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის ნაცვლად შეცვლილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის თანახმად, მის მოვალეობას წარმოადგენდა. შესაბამისად, ბმა „კ. 19“-ის საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბმა „კ. 19“-ის საჩივარი არ დაკამაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განხილვა

№ას-1266-1208-2013

10 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 10 ივლისს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს
განცხადებით მიმართა ე. ვ-მა და მოითხოვა სარჩელის აღძვრამ-
დე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერ-
ძოდ, ზ. ჯ-ას სახელზე რიცხულ ქონებაზე – ოზურგეთის მუნი-
ციპალიტეტის სოფელ შეკვეთილში მდებარე მიწის ნაკვეთსა
და სახლზე, აგრეთვე, ქ. თბილისში მდებარე სახლზე ყადაღის
დადება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 ივლი-
სის განჩინებით ე. ვ-ის განცხადება დაკმაყოფილდა:

ყადაღა დაედო ზ. ჯ-ას საკუთრებაში არსებულ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის სოფელ შეკვეთილში მდებარე უძრავ ქონე-
ბას (საკადასტრო კოდით ...), აგრეთვე – ქ. თბილისში, აის ქ.
№1-ში მდებარე მე-2 კორპუსის პირველი სადარბაზოს მე-12
სართულზე მდებარე 339 ბინას.

დასახელებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ზ. ჯ-ამ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 ივლი-
სის განჩინებით ზ. ჯ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა და აღნიშ-
ნული საჩივარი საქმის მასალებთან ერთად ქუთაისის სააპელა-
ციონ სასამართლოს გადაეგზავნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ზ. ჯ-ას საჩივა-
რი არ დაკმაყოფილდა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს
გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

მოგვიანებით, ე. ვ-მა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში
ზ. ჯ-ას მიმართ წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:

1. ზ. ჯ-ასათვის ე. ვ-ის სასარგებლოდ დავალების საფუძ-

ველზე გადაცემული თანხის დაბრუნების დაკისრება 100 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2. ზ. ჯ-ასათვის ე. ვ-ის სასარგებლოდ დავალების საფუძველზე გადაცემული თანხის – 100 000 აშშ დოლარის დაბრუნებამდე თვეში დასახელებული თანხის 3%-ის დაკისრება, რამაც სარჩელის შეტანის დროისთვის – 2012 წლის 23 ივლისისათვის შეადგინა 11300 აშშ დოლარი (3000 +3000+3000+2300);

3. ზ. ჯ-ასათვის ე. ვ-ის სასარგებლოდ სესხის თანხის გადახდის დაკისრება 15 000 000 რუბლის (500 000 აშშ დოლარის) ოდენობით;

4. ზ. ჯ-ასათვის ე. ვ-ის სასარგებლოდ სესხის თანხის გადახდის ვადაგადაცილებით მიღებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება თვეში გადასახდელი თანხის 3%-ის ოდენობით თანხის გადახდამდე (სარჩელის შეტანის დროისთვის – 2012 წლის 23 ივლისისათვის გადასახდელი თანხა მოსარჩელემ განსაზღვრა 26 500 აშშ დოლარის ოდენობით).

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით:

1. ე. ვ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. მოპასუხე ზ. ჯ-ას ე. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის გადახდა 16 000 000 რუბლის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ზ. ჯ-ასა და ე. ვ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 23 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ვ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის განჩინებით ე. ვ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2014 წლის 6 მაისს საკასაციო სასამართლოში განცხადება წარმოადგინა ზ. ჯ-ამ, რომელმაც მოითხოვა ე. ვ-ის სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების – ყადაღის გაუქმება.

განმცხადებლის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ გამოყე-

ნებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით არაპროპორციულია. განმცხადებლის მოსაზრებით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ სარჩელი დაკმაყოფილებული არაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, განცხადების საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სასამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის განჩინებით ე. ვ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ყადაღა დაედო ზ. ჯ-ას საკუთრებაში არსებულ ოზურგეთის შუნიციპალიტეტის სოფელ შეკვეთილში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდით ...), აგრეთვე – ქ. თბილისში, ა-ის ქ. №1-ში მდებარე მე-2 კორპუსის პირველი სადარბაზოს მე-12 სართულზე მდებარე 339-ე ბინას.

ზემოაღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას განმცხადებელი მოთხოვს იმ საფუძვლით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ხსენებული ღონისძიება არაპროპორციულია სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მთლიანობაში აღემატება ნა-

ხევარ მილიონ დოლარს. ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სა-სამართლოს მიერ დაყადალებულია მოპასუხის ორი უძრავი ქონება. მართალია, განმცხადებელი მიუთითებს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არაპროპორციულია, თუმცა არ აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატება უზრუნველყოფის ღონისძიების არაპროპორციული ხასიათი სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ განმცხადებელს მხედველობაში აქვს დაყადალებული უძრავი ქონების არაპროპორციულად მაღალი ღირებულება სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით, თუმცა ამ შემთხვევაშიც განცხადება ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ზემოხენებული გარემოების დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ასევე განმცხადებლის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილებული არაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ხელახლა განსახილველადაა დაბრუნებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვა ჯერ დამთავრებული არაა, ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამართლებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ჯ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 284-ე-285-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დადგინდება:

1. ზ. ჯ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. დაუსწრებელი გადაცევაფილება

განხილვა

№ას-472-446-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მ და დ. კ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ბ-ის მიმართ და მოითხოვეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში მოსარჩელების თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე ნ. ბ-ის მიერ აგებული ღობის მოპასუხის მიერ, მისივე ხარჯებით საკადასტრო გემის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეს გადატანა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. გ-სა და დ. კ-ის სარჩელი ნ. ბ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში (გრიგოლეთში) გ. გ-სა და დ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარში აგებული ღობის საკუთარი ხარჯებით აღება (დემონტაჟი) და მოსარჩელებისათვის 9,486 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა მოპასუხემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტი ნ. ბ-ე და მისი წარმომადგენელი, რის გამოც მოწინააღმდეგი

მხარის წარმომადგენლებმა იშუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და ნ. ბ-ის საპელაციო საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილად ცნო, რომ ნ. ბ-ის წარმომადგენლ რ. ხ-ს, 2014 წლის 13 მარტის სასამართლო მთავარი სხდომის შესახებ სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2014 წლის 6 თებერვალს, მასვე განემარტა უწყების შინაარსი და გამოუცხადებლობის შედეგები.

სააპელაციო სასამართლოში პალანტის შუამდგომლობა სხდომაზე გამოუცხადებლობისა და საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე, არ ყოფილა წარდგენილი, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ სხდომაზე აპელანტისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით იყო გამოწვეული.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლით და იმის გათვალისწინებით, რომ პალანტი და მისი წარმომადგენლი არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე, ამასთან, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია.

ამავე პალატის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით აპელანტის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკამაყოფილდა, ხოლო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილ მისი გამოტანის წინაპირობებზე, საჩივრის ავტორი კი, მის გაუქმებას მოითხოვდა საპატიო მიზეზის არსებობის მოტივით, კერძოდ, ასახელებდა სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღებას.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომზურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც

მას არ შეეძლო, დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზედაც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე და ამ გარემოების წინასწარ სასამართლოსათვის შეტყობინების შეუძლებლობაზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიო იყო მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს მთვარ სხდომაზე გამოუცხადებლობა განაპირობა მის მიერ სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობამ. სასამართლოს განმარტებით, ცხადია, საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ, განსახილველ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი იყო გარემოება, თუ რატომ არ შეეძლო წარმომადგენელს აღნიშნული მიზეზის არსებობის თაობაზე წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსათვის.

პალატამ მიუთითა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ ადვოკატი ერთსა და იმავე თარიღისათვის, სხვადასხვა სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლიბას ვერ განახორციელებდა, ამასთან, იმის არჩევის შესაძლებლობა, თუ რომელ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებოდა იგი, თავად ამ პირის არჩევანს წარმოადგენდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის თაობაზე წინასწარ შეტყობინების ვალდებულებას.

საჩივრის განხილვისას მითითებული არგუმენტი, რომ წარმომადგენელმა ვერ შეძლო სასამართლოს გაფრთხილება გამოუცხადებლობის თაობაზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. ბ-მ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაპრუნება შემდეგი დასაბუთებით:

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე, 241-ე მუხლებზე და განმარტა, რომ წარმომადგენელი

სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა იმ მოტივით, რომ სა-აპელაციო პალატაში დანიშნული სხდომის დღეს პროცესის დაწყებამდე 5 წუთით ადრე გახდა ცნობილი მისოვის ქუთაისის სა-ქალაქო სასამართლოში სხვა პროცესს დაწყების თაობაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას მხარის წარმომადგენელი ვერ შეძლებდა იმ საფუძვლით, რომ მას არ ჰქონდა თანაშემწის ტელეფონის ნომერი და სხვა საკონტაქტო მონაცემები, შესაბამისად, პალატის განმარტება, რომ საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე მხარემ სასამართლოს წინასწარ არ აცნობა და ამით გამოხატა უპატივცემულობა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

აპელანტის წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა მის მიერ სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების ფაქტი, თუმცა სასამართლო აღნიშნული არასწორად არ გაიზიარა, რასაც შედგეად არასწორი განჩინების გამოტანა მოჰყვა.

სააპელაციო პალატამ საჩივარში მითითებული გარემოება – წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობა დადგენილად ცნო, თუმცა არასწორად არ დააკმაყოფილა საჩივარი, რის გამოც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შეისწავლა ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამონმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააქმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება და საკასაციო საჩივრით სადაცვოდ არაა გამხდარი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. ბ-ის უფლებებს როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სა-

სამართლოში იცავდა ადვოკატი რ. ხ-ა;

უდავოა, რომ ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვა 2014 წლის 6 იანვრის განჩინებით დაინიშნა ამავე წლის 6 თებერვალს, 12:30 საათზე;

სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე სასა-მართლო უწყება 2014 წლის 9 იანვარს პირადად ჩაიბარა ნ. ბ-მ, ხოლო მის ნარმომადგენელს საფოსტო შეტყობინება ჩაბარდა 2014 წლის 11 იანვარს;

სააპელაციო პალატის 2014 წლის 6 თებერვლის სხდომა გა-დაიდო 12 მარტს, რის შესახებაც მხარეებს ჩამოერთვათ ხელ-წერილი;

საქმეში წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2014 წლის 12 მარტს დანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო ამავე წლის 13 მარტს, 11:00 საათზე, რის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს. აპელანტის ნარმომადგენლის სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სატელეფო-ნო შეტყობინების გზით გაფრთხილების დამაღასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილია საქმის მასალებში;

2014 წლის 13 მარტს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი, ამასთან, ვინაიდნან სასამართლოში არ იყო წარდგენილი შხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხა-რე შუამდგომლობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო-ტანის თაობაზე, სააპელაციო პალატამ შუამდგომლობა დასა-ბუთებულად მიიჩნია და დააკმაყოფილა, შესაბამისად, დადგე-ნილად ცნო, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტი-ლების გამოტანის დამაბრკოლებელი წინაპირობები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილ სა-ჩივარს ერთვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამარ-თლის თანაშემწის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც 2014 წლის 13 მარტს, 11:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე მონა-წილეობას იღებდა ადვოკატი რ. ხ-ა, ხოლო საჩივრის განხილვის ეტაპზე წარდგენილი ცნობის თანახმად, ზემოთ მითითებული სხდომა დასრულდა 12:45 საათზე.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გა-დაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურად-ღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელა-ციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგული-

რებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ენინაალმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა 387-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ნინაპირობები: а) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს სააპელაციო საჩივრის აღმდევლი პირი; ბ) გამოცხადებული მონინაალმდეგე მხარე უნდა შეუძლია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაქმდყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ამ გარემოებათა ერთობლივად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ ნინაპირობას, თუმცა ზემოაღნიშული ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, შეამოწმოს, ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის შემდეგი: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწევული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის ნინაპირობები (სსსკ 233.1 მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, დავის არ იწვევს საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობა.

როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე წარდგენილი საჩივრის, ისე საკასაციო საჩივრის შესწავლით უდავოდ დასტურდება, რომ მხარე მის გაუქმებას მოითხოვს საპატიო მიზეზის არსებობით, კერძოდ, მიიჩნევს, რომ სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღება გამორიცხავდა წარმომადგენლის გამოცხადების შესაძლებლობას სააპ-

პელაციო სასამართლოში, ხოლო საკონტაქტო მონაცემების არარსებობის გამო, რ. ხ-ა სააპელაციო სასამართლოს წინასწარ ვერ აცნობებდა გამოუცხადებლობის ფაქტს. საკასაციო პრე-ტენზიაში მხარემ დამატებით მიუთითა, რომ ქუთაისის საქა-ლაქო სასამართლოში არსებული სხდომის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა სხდომის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმას წარ-მოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გა-უქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გა-მოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომ-ლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასა-მართლოსათვის.

თავის მხრივ, იმას, თუ რა განიხილება სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის მიზეზისათვის საპატიო მიზეზად, განსაზ-ღვრავს ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი. რიგ შემ-თხვევაში, ნორმა ადგენს საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს და ასევე განსაზღვრავს სათანადო მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებას. აღნიშნულ ჩამონათვალს განეკუთვნება: ავად-მყიფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთ-რებული ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისგან დამოუ-კიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცეს-ზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

საკასაციო პალატა იზიარებს საპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მხა-რე (ადვოკატი) შეიძლება მონაწილეობდეს სხვა სასამართლო-ში დანიშნულ სხდომაზე და ეს არ უნდა იქნას მიჩნეული მისი არასპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად, თუმცა გამოუცხა-დებელმა მხარეშ უტყუარად უნდა დაამტკიცოს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო წინასწარ ეცნობებინა საპატიო მიზეზის შესა-ხებ იმ სასამართლოსათვის, რომელშიც ვერ ახერხებდა გამოც-ხადებას.

პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალნარმოება მხარეთა შეჯიბრებითობაზეა დამყარებული და 102-ე მუხლი თითოეულ მხარეს უდგენს ვალდებულებას, სათანადო მტკი-ცებულებით დასაბუთოს მოთხოვნა, თავის მხრივ, სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრულია მხა-რის აბსოლუტური შესაძლებლობა, თავადვე განსაზღვროს სა-

დავონ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და წარუდგინოს ისინი სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დამტკიცებას საჭიროებენ, მხოლოდ მხარის განმარტებით ვერ იქნება დადგენილად მიჩნეული.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს შემდეგს: მხარის მიერ წარდგენილი ცნობებით დასტურდება მხოლოდ ის გარემოება, რომ რ. ხ-ა ნამდვილად მონაწილეობდა 2014 წლის 13 მარტს 11:00 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე. ის გარემოება, რომ მას საქალაქო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე ეცნობა მის დაწყებამდე 5 წუთით ადრე, ასევე ის, რომ საკონტაქტო მონაცემების არარსებობის გამო წარმომადგენერელს არ შეეძლო გამოუკხადებლობის თაობაზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, შესაბამისად, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების მსჯელობას, რომ აპელაციის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, თავის მხრივ, მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო წარდგენილ საჩივარსა და საკასაციო საჩივარში არ მიუთითებია იმგვარი დასაბუთებული პრეტენზია, რაც ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაემაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 13 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2014 წლის 10 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განხილვა

№ას-682-648-2013

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. ზ-მა მო-
პასუხე მ. ჯ-ს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სა-
სარგებლოდ 26000 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

1. ნ. ზ-ის სარჩელი დაკიმაყოფილდა;
2. მოპასუხე მ. ჯ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა
26000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1280 ლა-
რის გადახდა ამ უკანასკენელის მიერ გადახდილი სახელმწიფო
ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-
პლაციო წესით გაასაჩინორა მ. ჯ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 19 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტი-
ლებით:

1. მ. ჯ-ს სააპელაციო საჩივარი დაკიმაყოფილდა;
2. გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება;
3. ნ. ზ-ის სარჩელი არ დაკიმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი გა-
რემოვებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებით განსახილ-
ველად იქნა მიღებული მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე.

მოწინააღმდეგე მხარეს – ნ. ზ-ს გაეგზავნა საპელაციო საჩვენებელი და შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრა 10 დღის ვადა. მასვე განემარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. მიუხედავად აღნიშნულისა, ნ. ზ-მა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარადგინა შესაგებელი და არც მისი წარუდგენლობის რაიმე საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა კანონით გათვალისწინებული ყველა პირობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს ვადას წერილობითი შესაგებლის წარსადგენად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. მოსამართლე აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგებზე. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმეწვეულია გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან,

მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

კანონის ზემომითითებული მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი პირობების არსებობისას:

პირველი – მოწინააღმდეგე მხარე გაფრთხილებული უნდა იყოს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ;

მეორე – პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამოწვეული უნდა იყოს არასატიო მიზეზით და

მესამე – სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს – 6. ზ-ს გაეგზავნა სააპელაციო საჩივრის ასლი და წერილობითი შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღით. იგი გააფრთხილეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. ასევე დადგინდა, რომ 6. ზ-ის მეუღლეს, ჟ. ს-ს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა 2013 წლის 22 თებერვალს. შესაბამისად აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებელი უნდა წარედგინა 2013 წლის 4 მარტის ჩათვლით. 6. ზ-ს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი არ წარუდგენია.

მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ემყარებოდა შემდეგ გარემოებებს:

მხარეთა შორის გაფორმებული 2011 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების თანახმად, აპელანტმა მ. ჯ-მა იკისრა ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარის წინაშე არსებული ვალის ეტაპობრივად დაფარვის თაობაზე. მხარეთა შეთანხმებით, მოვალეს ვალი უნდა დაეპრუნებინა 2013 წლის 10 მაისს. 6. ზ-მა 2012 წლის 8 აგვისტოს მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მ. ჯ-სათვის 26000 აშშ დღლარის დაკისრება, მიუხედავად იმისა, რომ ვალის დაბრუნების ვადა არ იყო დამდგარი. ამასთან, მ. ჯ-ი არ გამხდა-

რა გადახდისუუნარო და მხარეთა შორის რაიმე უზრუნველყოფაზე საუბარიც კი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დამტკიცებულად მიიჩნეოდა, ამასთან, აღნიშნული გარემოებები სამოქალაქო კოდექსის 366-ე მუხლის საფუძველზე იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. ამ მუხლის თანახმად, თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე უნდა მიღებულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით 6. ზ-ის სარჩელი არ უნდა დაკამაყოფილებულიყო.

დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა 6. ზ-ის წარმომადგენელმა ზ. ჯ-მ.

საჩივრის საფუძველი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გზავნილი 2013 წლის 22 თებერვალს ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარის მეუღლეს, უ. ს-ს, რომელიც ფლობს ხოლომ სპარსულ ენას და ფაქტებისა თუ მოვლენების აღქმაც ამ ენაზე შეუძლია. უ. ს-ის განმარტებით, მართალია, მან მიიღო 2013 წლის 22 თებერვალს გარკვეული დოკუმენტები, მაგრამ ვერ აღიქვა, თუ რა დოკუმენტები იყო და გადაწყვიტა დალოდებოდა მეუღლის ჩამოსელას ირანიდან, ხოლო შემდეგ საერთოდ გადავიწყდა აღნიშნულის შესახებ, რადგანაც მას ხშირად აქვს პირადი მწვავე პრობლემები დაკავშირებული მათი 5 თვის ჩვილ ბავშვთან, რომელიც ხშირად ჭირვებულობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით:

1. 6. ზ-ის საჩივარი არ დაკამაყოფილდა;
2. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში გზავნილი ჩაბარდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის ოჯახის წევრს, მეუღლეს, იგი ჩაბარებულად მიიჩნეოდა თავად მხარისათვის. შესაბამისად, დგინდებოდა, რომ

6. ზ-ს გზავნილი ჩაბარდა დადგენილი წესით 2013 წლის 22 იანვარს და მას შეეძლო შესაგებლის ნარდგენა 2013 წლის 4 მარტის ჩათვლით.

რაც შეეხებოდა საჩივრის ავტორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ გზავნილის ჩაბარების დროს 6. ზ-ში საზღვარგარეთ იმყოფებოდა, როგორც საჩივარზე თანდართული პასპორტის ასლით დგინდებოდა, მართლია, გზავნილის ჩაბარების დღეს (2013 წლის 22 თებერვალი) 6. ზ-მა გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი, თუმცა იგი შესაგებლის ნარდგენისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ამონურვამდე – 2013 წლის 3 მარტს დაბრუნდა საქართველოში და ამდენად, შეეძლო შესაგებლის ნარდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში ნარედგინა შესაგებელი ან სასამართლოსთვის მისი ნარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ ეცნობებინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებდა შესაგებლის ნარუდგენლობის საპატიო მიზეზის არსებობას და არ არსებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს ხსენებული განჩინება, ისევე როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება (რომელიც ამ განჩინებით უცვლელად დარჩა) საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. ზ-მა.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

გასაჩივრებული განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონა, ვინაიდან მოსარჩელე 6. ზ-ში და მისი მეუღლე უს-ი (რომელსაც ჩაბარდა სააპელაციო სასამართლოს გზავნილი) ნარმოადგენენ ირანის მოქალაქეებს, ისინი არ ფლობენ ქართულ ენას, რომელზეც მათ გაეგზავნათ შეტყობინება შესაგებლის ნარუდგენლობის ვადასთან და მისი ნარუდგენლობის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მოთხოვნა, სასამართლომ რეალურად არ უზრუნველყო მოსარჩელისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიზნებით იმ შედეგების შესახებ, რაც მოყვებოდა მისი მხრიდან კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შეუსრულებლობას.

გარდა ამისა, სასამართლომ საპატიოდ არ მიიჩნია მოწინააღმდეგ მხარის მიერ შესაგებლის ნარუდგენლობა და დასკვნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა, ვინაიდან დამდგარი არ იყო ვალდებულების შესრულების ვადა. მო-

ცემული კუთხით სასამართლოს მსჯელობა უსაფუძლოა, რადგან დადგენილია, რომ მხარეებს შორის არსებული 2011 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად, მოპასუხეს შეთანხმებაში მითითებული გრაფიკის მიხედვით ვალდებულება უნდა შეესრულებინა დროის გარკვეულ მონაკვეთებში და შეთანხმებული თანდმიდევრობით სრულად უნდა დაეფარა მოსარჩელისათვის თანხა (28000 აშშ დოლარი) 2013 წლის 10 მაისი სათვის. ეს ვალდებულება მოპასუხემ არ შეასრულა, მან მხოლოდ 2000 აშშ დოლარი გადაიხადა შეთანხმებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის საწყის ეტაპზე და შემდგომში გადახდის ვადების დადგომისას თავი აარიდა ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულის შედეგად, მოპასუხემ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლითაც დადგენილია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ 6. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადავოა საპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების მართლზომიერება. საპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა აპელანტის მონინაალმდეგ მხარის მიერ საპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, საპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არ ადგენს საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს. საპელაციო სასა-

მართლოს მიერ საქმის წარმოების წესებში არ არსებობს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით კანონმდებელი ადგენს დანაწესს, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმას ვერ გავავრცელებთ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარუდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარდგენის საფალდებულობას ადგენს და მისი შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოების იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისავან მტკყიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

ა. აპელაციის მოწინააღმდეგე მხარეს (სააპელაციო მოპასუხეს) კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სააპელაციო საჩივრის ასლი;

ბ. იგი გაფრთხილებული უნდა იყოს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგნლობის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით;

ბ. სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას;

გ. არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ნ. ზ-ში და მისი მეუღლე უ. ს-ი (რომელსაც ჩაბარდა სააპელაციო სასამართლოს გზავნილი) წარმოადგენენ ირანის მოქალაქეებს, ისინი არ ფლობენ ქართულ ენას, რომელზეც მათ გაეგზავნათ შეტყობინება შესაგებლის წარუდგენლობის ვადასთან და მისი წარუდგენლობის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, სასამართლომ რეალურად არ უზრუნველყო მოსარჩელისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება იმ შედეგების შესახებ, რაც მოყვებოდა მისი მხრიდან კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შეუსრულებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ რეალურად არ უზრუნველყო მოსარჩელისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება იმ შედეგების შესახებ, რაც მოყვებოდა მისი მხრიდან კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შეუს-

რულებლობას, ვერ იქნება გაზიარებული. დასმულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი. დასახელებული უფლების რეალიზაციას ემსახურება ამავე კოდექსის 213-ე მუხლის დანაწერი, რომლის მიხედვით, სასამართლო განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობას, თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე, სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოში სამართალწარმოების ენა არის სახელმწიფო ენა, ანუ ქართული ენა. რაც შეეხება კანონის დათქმას – სახელმწიფო ენის არმცოდნე პირისათვის თარჯიმნის მიჩენის თაობაზე, იგი გამოიყენება სასამართლო სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვისას. სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა ეტაპზე სასამართლოს არ გააჩნია ვალდებულება, რომ სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს შეტყობინება (ინფორმაცია) არასახელმწიფო ენაზე გაუგზავნოს. საკითხის ამგვარად განმარტება შეესაბამება საქართველოს უზრუნველყოფის მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუსგ, 2013 წლის 7 მაისი, საქმე №ას-102-97-2013).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის მონინააღმდეგე მხარეს – ნ. ზ-ს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა სააპელაციო საჩივრის ასლი და შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მეორე საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივრარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო მოთხოვნას, კერძოდ, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მხარეებს შორის 2011 წლის 10 დეკემბერს დადებული შეთანხმების შესაბამისად, მოპასუხეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა შეთანხმებაში მითითებული გრაფიკის მიხედვით და 2013 წლის 10 მაისისათვის სრულად უნდა გადაეხადა 28000 აშშ დოლარი. მოპასუხემ ვალდებულება არ შეასრულდა.

ლა და მხოლოდ 2000 აშშ დოლარი გადაიხადა შეთანხმებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის საწყის ეტაპზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაგებლის ზარმოულდებლობის გამო, ისევი როგორც, სასამართლო სხდომაზე აპელანტის მონინააღმდეგი მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმაციასაც ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივრაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გაამართლებენ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. დასახელებული საპროცესო წორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივრაში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნევა და თუ ისინი იურიდიულად ასაბუთებნ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკამდიფილებს სააპელაციო საჩივრას. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმაცია, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხებ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, მ. რ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, კერძოდ, აპელანტმა სააპელაციო საჩივრაში მიუთითა შემდეგ გარემოებზე: მხარეთა შორის გაფორმებული 2011 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების თანახმად, აპელანტმა მ. ჯ-მა იკისრა ვალდებულება მონინააღმდეგე მხარის წინაშე არსებული ვალის ეტაპობრივად დაფარვის თაობაზე. მხარეთა შეთანხმებით, მოვალეს ვალი უნდა დაებრუნებონა 2013 წლის 10 მაისს. 6. ზ-მა 2012 წლის 8 აგვისტოს მიმართა სასამართლოს და მოთხოვა მ. რ. ჯ-სათვის 26000 აშშ დოლარის დაკისრება, მიუხედავად იმი-

სა, რომ ვალის დაბრუნების ვადა არ იყო დამდგარი.

სააპელაციო საჩივარში მითითებული ამ გარემოებების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხე ნ. ზ-ს, მაგრამ, ვინაიდან მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებელი არ წარადგინა, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმაცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. არსებულ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, რომლებიც, სამოქალაქო კოდექსის 366-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიულად ამართლებს აპელანტის მოთხოვნას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასა და განჩინებას საფუძვლად არ უდევს კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა მ დ გ ი ნ ა:

1. 6. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2013 წლის 8 მაისის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსცრებელი გადაწყვეტილება

განხილვა

№ას-68-62-2015

29 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ინფორმაციის მიღება, ხელშეშლის აღკვეთა

აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. გ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე, შპს „ბ-ის“
მიმართ, რომლითაც მოითხოვა, შემდეგი დოკუმენტების: შპს „ბ-ის“ სახელზე დაფუძნების დღიდან არსებული ყველა საბან-
კო ანგარიშის ნუსხის გადაცემა, იმ საბანკო ანგარიშების ჩათ-
ვლით, რომლებიც მითითებულ იქნა შპს „ბ-ის“ წარმომადგენ-
ლების მიერ მოიჯარეთა გადახდების მისაღებად (მაგალითად
ეუთო) კრედიტორებისაგან შპს „ბ-ის“ აქტივების ან შპს „ბ-ში“
წილის მყიდველების და /ან პოტენციური მყიდველების (მაგ:
შპს „ბ-ი“, „ს-ი“, „ც-ი“ და ა.შ.) და აღნიშნული საბანკო ანგარიშე-
ბიდან ყველა ამონანერის დამოწმებული ასლების (მაგ: შპს „ბ-
ის“ ანგარიშები თბილისში, ციურისში, ნიუ-ორქში და სხვა);

ასევე, ყველა საკრედიტო ბარათის ანგარიშის ნუსხის გადა-
ცემა, რომელიც არსებობს ან არსებობდა შპს „ბ-ის“ დაფუძნე-
ბის მომენტიდან მის სახელზე ან მისი ხარჯით და აღნიშნული
ანგარიშების ყველა ამონანერის დამოწმებული ასლები ყველა
გაფორმებული კონტრაქტი და სხვა დოკუმენტაცია, რომლის
თანახმად, შპს „ბ-ის“ რომელიმე ქონება გაიყიდა, გაიცა იჯა-
რით, დაიტვირთა იპოთეკით ან უფლებით ან სხვაგვარად გას-
ხვისდა ან დაიტვირთა მთლიანად ან ნაწილობრივ (მაგ: კონ-
ტრაქტები დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან, ეუთოსთან, ევ-
როპის საპქოსა და სხვა, იპოთეკის ხელშეკრულებები და სხვ.);

ყველა ხელმოწერილი კონტრაქტისა და სხვა დოკუმენტა-
ციის გადაცემა, რომლის თანახმად, შპს „ბ-ის“ რომელიმე ქონე-
ბა ან პოტენციური ქონება გაიყიდებოდა, გაიცემოდა იჯარით
ან სხვა რაიმე უფლებით ან სხვაგვარად გადაიცემოდა ას დაიტ-
ვირთებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ (მაგ: ხელშეკრულებები
შპს „კ-ი ჰ-სთან“, შპს „ბ-თან“ და სხვა);

შპს „ბ-ის“ დაფუძნების მომენტიდან პარტნიორთა კრებების ყველა ოქმის, მათ შორის, პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმების გადაცემა (2007 წლის 7 დეკემბრის რ. ჭ-ის მიერ წარმოდგენილი ოქმების გარდა); შპს „ბ-ის“ დაფუძნების მომენტიდან აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ოქმის, მათ შორის, აღმასრულებელი კომიტეტის რიგგარეშე კრებების ოქმების გადაცემა; შპს „ბ-ის“ დაფუძნების დღიდან ყველი წლის საბუღალტრო წიგნების გადაცემა; შპს „ბ-ის“ დაფუძნების დღიდან არსებული ყველა საგადასახადო დოკუმენტაციის გადაცემა; ყველა აუდიტორული დასკვნის, როგორც სავალდებულო, ისე შპს „ბ-ის“ ინიციატივით ჩატარებული აუდიტორული დასკვნის გადაცემა; შპს „ბ-ის“ შვილობილი სანარმოების, მასთან ფინანსურად დაკავშირებული კომპანიების, ერთობლივი სანარმოებისა და საერთო სარგებლობაში არსებული ქონების ნუსხების გადაცემა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი არის შპს „ბ-ის“ პარტნიორი, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოების საქმიანობაში მონაბილეობა არ მიყენდა. ჯ. გ-კიმ რამდენჯერმე სცადა მოპასუხისაგან სასურველი ინფორმაციის მიღება, რაზეც უარი მიიღო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარმოდგენილ შესაგებელ-ში განმარტა, რომ მოსარჩელე კომპანიის მართვაში ჩართული არ იყო, ხოლო 2005 წლის 27 მაისს მხარეთა შორის დადებული „საპოვერაციო ხელშეკრულებით“, რომელსაც საზოგადოების წესდებაზე უპირატესი ძალა ჰქონდა, მხარეთა შორის ნებისმიერ დავა უნდა გადაეწყვიტა ნიუ-იორკის არბიტრაჟს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. გ-კის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩინერა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. ამავე სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინებით კი, შპს „ბ-ის“ საჩივარს უარი ეთქვა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისს, 10:00 სთ-ზე დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე, არ გამოცხადდა აპელანტ შპს „ბ-ის“ წარმომადგენელი – პ. ს-ა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ გამოუცხა-

დებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეეძლო გაექარნებულებინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული ვარაუდი, მოეთხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, თუ დაამტკიცებდა, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ ამ მუხლის ჩამონათვალი არ იყო ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეეძლო მიეთითებინა სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებდა მხარეს, წინასწარ ეცნობებინა სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელი იყო. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებდა მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრებოდა მომჩივანს, ხოლო მომჩივნის მიერ მითითებული გარემოებებს შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიო იყო მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მომჩივანს, რომელსაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, საჩივრის ავტორი წარმოადგენილ საჩივარში თავად უთითებდა, რომ მას არ მოეპოვებოდა რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი, მესამე ნაწილების, 229-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობას მისთვის სასამართლო შეტყობინების სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარება წარმოადგენდა, რაც მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ აპელანტის წარმომადგენელს სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 24 ივნისს, 10:00 სთ-ზე დანიშნული მთავარი სხდომის შესახებ ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით 08.07.2014წ.-ს, რაც დადასტურდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტით. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად კი, უწყება (გზავნილი) მხარისათვის და მისი წარმომადგენელისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა ეხელებდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილით, ყურადღება გაამახვილა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ იმ საკითხს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად რამდენად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლო იკვლევდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ ცხადდებოდა მოპასუხე და მოსარჩელე შუამდგომლობდა მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებელ მხარეს წარმოადგენდა არა მოპასუხე (მონინააღმდეგი მხარე), არამედ, აპელანტი. აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე კი, პირდაპირ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი და 229-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ შეს „ბ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაპრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს 24.07.2014წ.-ის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოცხადება ვერ მოხერხდა გარკვეულ მიზეთა გამო, თუმცა კასატორი მოკლებული იყო შესაძლებლობას წარმოედგინა გამოუცხადებლობის საპატიონბის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთება იმ გარემოებას ემყარება, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეხელ-მძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი-თა და 230-ე მუხლის მეორე ნაწილით და არ უნდა დაეკმაყოფი-ლებინა მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

კასატორის ეს პიზიცია განპირობებულია „მენარმეთა შესა-ხებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის მიქ-მედებიდან, სახელდობრ, კასატორი განმარტავს, რომ მოსარ-ჩელეს საზოგადოების დაფუძნების დღიდან არ მოუთხოვია ინ-ფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ, რაც განპირობებუ-ლი იყო სწორედ იმ შეთანხმებით („საოპერაციო ხელშეკრულე-ბა“), რომელზეც მოპასუხე მხარე აპელირებდა თავის ახსნა-გან-მარტებაში პირველი ინსტანციის სასამართლოში. საზოგადოე-ბის უარი დოკუმენტის გადაცემაზე განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოების პარტნიორი, რომელსაც არაანირი მონაწი-ლეობა არ მიუღია საწარმოს მართვაში წლების განმავლობაში, არც დირექტორის ანგარიში მოუთხოვია და მხარეთა შეთანხმე-ბით მისი მდგომარეობა პრივილეგირებული აქციების მფლობე-ლი აქციონერის მდგომარეობასთან იყო გათანაბრებული, მოუ-ლოდნელად, ყოველგვარი განმარტების გარეშე, საწარმოს საქ-მიანობის ინფორმაციის ნაცვლად, კომპანიას მოსთხოვა ყველა დოკუმენტის გადაცემა, რაც გარკვეული ეჭვები აღძრა საწარ-მოს ხელმძღვანელობაში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არას-წორად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმა გულისხმობდა სწო-რედ ყველა დოკუმენტის გადაცემას საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორისათვის. თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად სა-სამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხ-ლის მე-4 პუნქტზე. კასატორის მტკიცებით კი, მითითებული ორი ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, პარტნიორს ჰქონდა უფ-ლება, გაცნობოდა დოკუმენტაციას, მაგრამ ეს არ გულისხმობ-და ყველა დოკუმენტის მიღების უფლებას. კანონი განმარტავ-და, თუ რომელი დოკუმენტების მიღების უფლება ჰქონდა პარ-ტნიორს და ეს იყო წლიური ანგარიშები. რაც შეეხება ასლების გადაღებას, მით უფრო, ისეთი დოკუმენტაციის მოთხოვნას, რო-მელიც არ არსებობდა, კანონი ცალსახად არ ითვალისწინებდა. სასამართლომ დააკმაყოფილა ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა პოტენციურ მყიდველთან დასაღები ხელშეკრულებების ასლე-ბის გადაცემა, აგრეთვე, იმ დოკუმენტების გადაცემა, რომელ-თა მოპოვებაც თავისუფლად იყო შესაძლებელი ელექტრონული

სახით საჯარო რეესტრის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, რაც, კასატორის მოსაზრებით, კანონსაწინააღმდეგო იყო.

კასატორმა აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებობდა „საოპერაციო ხელშეკრულება“, რომელიც განსაზღვრავდა ურთიერთობებს საზოგადოების პარტნიორებს, აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის, მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უპირატესი ძალა ჰქონდა საზოგადოების წესდებასთან მიმართებაში. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, მხარეთა შორის ნებისმიერი დავა უნდა გადაეწყვიტა ნიუ-იორკის არბიტრაჟს. ამდენად, არ არსებობდა სარჩელის აღვრის საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი). შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა საქმე, ხოლო საპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2015 წლის 1 აპრილის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცხობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივარის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს.

კასატორი სადაცოდ ხდის მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას და მისი გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებად, ერთ შემთხვევაში, გამოუცხადებლობის საპატიოობას და მეორე შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ დაუსაბუთებლობას მიიჩნევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარნლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება თუ, დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

მოცემულ საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლოს სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო 2014 წლის 24 ივლისს 10:00 საათზე, არ გამოცხადდა აპელანტის წარმომადგენელი – პაატა სალია, რომელიც სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და სასამართლო არ იყო ინფორმირებული მისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე. ეს გარემოება კასატორს სადაცოდ არ გაუხდია და ამდენად, მას საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ორ საფუძველზე პატელირებს, მათგან ერთერთია სასამართლო სხდომაზე შპს „ბ-ის“ წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რომლის ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია საჩივრის ავტორის პრეტენზია სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის არასაპატიოდ მიჩნევის თაობაზე და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, კასატორი ვერც ადასტურებს სხდომაზე გამოუცხადებ-

ლობის ობიექტური გარემოების არსებობას და თვითონაც გან-მარტავს, რომ ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა არ შეუძლია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასაციის პირველ საფუძვლად (გარემოებად) სასა-მართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობის ნაწილში, წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული სა-კასაციო პრეტენზია.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კიდევ ერთ სა-ფუძვლად კასატორი სარჩელის იურიდიულ დაუსაბუთებლობას მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე არსებობდა და-უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაპროლებელი გარემოები, იმ თვალსაზრისით, რომ საწარმოს საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის გადაცემის ვალდებულება, რომელიც დადგენილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო.

კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს იმ საფუძვლით, რომ როგორც მოცემულ საქმეზეა დადგენილი ჯ. გ-ის სარჩელი საწარმოს საქმიანობასთან დაკავ-შირებული დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ დაკმაყოფილე-ბულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს ჯ. გ-ის სარჩე-ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით წარდგენი-ლი შპს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი წარმოადგენდა. აქედან გა-მომდინარე, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო პრო-ცესუალურ შესაძლებლობას ემსჯელა იმგვარ პროცესუალურ საკითხზე, როგორიცაა სარჩელის იურიდიული დასაბუთებულო-ბა და მართებულობა.

შესაბამისად, საპროცესო ნორმების დარღვევა, რომელზე-დაც პრეტენზიას ამყარებს კასატორი, საქმის მასალებით დად-გენილი არ არის. ხოლო ის გარემოება, რომ ჯ. გ-ი არ იყო უფლე-ბამოსილი მიეღო საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, ვერ განაპირობებს გასა-ჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლე-ლად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებას, იმ თვალსაზ-რისით, რომ საკითხი იმის შესახებ თუ, რომელი კონკრეტული ინფორმაცია იყო ხელმისაწვდომი მოსარჩელისათვის და რომე-ლი არა, წარმოადგენდა არსებითი მსჯელობის ეტაპზე განსა-ხილველ საკითხს და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარ-

გლებში განსახილველ საკითხეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებაა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321 მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენინააღმდეგოს მის მიმართ აღძურულ სარჩელს (პრეზუმაცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაქმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელიგადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რაც გამორიცხავს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დადგინდება:

1. შპს „პ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინება;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

7. საქმის ნარმობის შეცვეთა-შეჩერება

საქმის ნარმობის შეცვეთა

განხილვა

№ას-968-929-2014

15 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. პ-ას სარჩელი მოპასუხეების – ვ. ჩ-ისა და რ. ნ-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. პ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ვ. პ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. პ-ას სახელმწიფო ბაჟის ჩაეთვალა გადახდილად. ვ. პ-ა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 600 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. პ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 3 სექტემბერს ვ. ძ-მა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და განმარტა რომ უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე.

საკასაციო პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ვ. პ-ას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნეს წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ვ. პ-ას განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მოცემულ სა-

კასაციონ საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და ოვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარებს, რომ კასატორი უფლებამოსილია, თანამდევი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, უარი განაცხადოს თავის საკასაციო საჩივარზე.

საკასაციო სასამართლო საქმის განხილვისას ხელმძღვანელობს სააპელაციო პალატისათვის დადგენილი ნორმებით, ცხადია, რომ აპელანტის ხსენებული უფლება ვრცელდება კასატორზეც. გამომდინარე აღნიშნულიდან, ნათელია რომ საკასაციო საჩივრის ავტორს შეუძლია ნებისმიერ სტადიაზე განაცხადოს უარი საკასაციო საჩივარზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე.

კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმისას სასამართლო შეწყვეტს საკასაციო საჩივარზე არსებულ საქმის წარმოებას, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უცვლელად დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა ვ. პ-ამ საკასაციო საჩივარზე უარი თქვა მისი დასაშვებობის საკითხის შემოწმების ეტაპზე, რის გამოც ხსენებულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 378-ე მუხლის მეორე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. პ-ას საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის თარიღის შეცვეტა

განვითარება

№ას-84-78-2015

27 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
მოსამართლე: ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ხ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ტ-ის მიმართ რ. ხ-ას კომლში დ. ტ-ის კომლის წევრობის შესახებ ჩანაწერის გაუქ-

მებისა და რ. ხ-ას სახელზე რიცხული კომლის ქონებაზე მესა-კუთრედ ცნობის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით რ. ხ-ას სარ-ჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპე-ლაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით რ. ხ-ას სააპე-ლაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილება გაუქმდა, რ. ხ-ას სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ.ბათუმში, ანგისას და-სახლებაში მდებარე 430 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკ-ვეთისა და მასზე განთავსებული 248,30 კვ.მ შენობა-ნაგებობე-ბის 1/4 ნაწილზე (საკადასტრო კოდი №...) საჯარო რეესტრში დ. ტ-ის საკუთრების შესახებ ჩანაწერი, ქ.ბათუმში, ანგისას და-სახლებაში მდებარე 430 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკ-ვეთისა და მასზე განთავსებული 248,30 კვ.მ შენობა-ნაგებობე-ბის 1/4 ნაწილი (საკადასტრო კოდი №...) საჯარო რეესტრში აღი-რიცხა რ. ხ-ას საკუთრებაში.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტი-ლება შევიდა კანონიერ ძალაში 2012 წლის 1 ოქტომბერს საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-ტის მიერ დ. ტ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო.

დ. ტ-ემ ასევე აღმრა სარჩელი სასამართლოში რ. ხ-ასა და ნოტარიუს თ. ჩ-ას მიმართ და მოითხოვა 2011 წლის 2 სექტემ-ბერს რ. ხ-ას სახელზე ნოტარიუს თ. ჩ-ას მიერ გაცემული სამ-კვიდრო მოწმობის გაუქმება და ქ.ბათუმში, ანგისას დასახლე-ბაში მდებარე, ამჟამად რ. ხ-ას საკუთრების უფლებით რეგის-ტრირებული 71 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გა-დაწყვეტილებით დ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2011 წლის 2 სექტემბერს რ. ხ-ას სახელზე ნოტარიუს თ. ჩ-ას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა სანოტარო მოქმედების რაგისტრაციის №... და დ. ტ-ე ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, ანგისას დასახლებაში მდებარე 71 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებმ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით რ. ხ-ას საა-პელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბა-თუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გადაწ-

ყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა რ. ხ-ას სახელზე ნოტარიუს თ. ჩ-ას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №... 5/6 ნაწილში, ქ. ბათუმში, ანგისას დასახლებაში მდებარე 71 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი №... და ქ.ბათუმში ანგისას დასახლებაში მდებარე 71 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №... . 5/6 ნაწილი აღირიცხა დ. ტ-ის საკუთრებაში.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შხარების მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივრები ცხობილ იქნა დაუშვებლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 იანვრის განჩინებით.

დ. ტ-ის წარმომადგენებლმა ზ. ტ-ემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა წინამდებარე საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 ივნისის განჩინებით არ დაემაყოფილდა, ხოლო ამავე სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად, დ. ტ-ის საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ივნისის განჩინებით დ. ტ-ის საჩივართან დაკავშირებული სამოქალაქო საქმის წარმოება შეჩერდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ტ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, რადგანაც სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე ეხება არა იმ მინის ნაკვეთს, რომელზე არსებული ყადაღის გაუქმებასაც მხარე მოითხოვდა, არამედ შეეხება სხვა მინის ნაკვეთს და ამ ორ საქმეს შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მისი შინაარსის მიუხედავად, გავლენას ვერ იქონიებს სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე, ამდენად, პალატამ არასწორად

გამოიყენა და არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩერის განსახილებელად მიღების წინაპირობები და მიიჩნევს, რომ დ. ტ-ის კერძო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამოქალაქო საქმეზე – რ. ხ-ს სარჩელის გამო, დ. ტ-ის მიმართ რ. ხ-ას კომლში დ. ტ-ის კომლის წევრობის შესახებ ჩანაწერის გაუქმებისა და რ. ხ-ას სახელზე რიცხული კომლის ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება შევიდან კანონიერ ძალაში 2012 წლის 1 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს მიერ დ. ტ-ის საკასაციო საჩერის დაუშვებლად ცნობის გამო. სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი, რ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და რ. ხ-ას სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ. ბათუმში, ანგისას დასახლებაში მდებარე 430 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 248,30 კვ.მ შენობა-ნაგებობების 1/4 ნაწილზე (საკადასტრო კოდი №...) საჯარო რეესტრში დ. ტ-ის საკუთრების შესახებ ჩანაწერი, ქ. ბათუმში, ანგისას დასახლებაში მდებარე 430 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 248,30 კვ.მ შენობა-ნაგებობების 1/4 ნაწილი (საკადასტრო კოდი №...) საჯარო რეესტრში აღირიცხა რ. ხ-ას საკუთრებაში.

უდავოა, რომ სასამართლომ ასევე განიხილებოდა დ. ტ-ის სარჩელი რ. ხ-ასა და ნოტარიუს თ. ჩ-ას მიმართ 2011 წლის 2 სექტემბერს რ. ხ-ას სახელზე ნოტარიუს თ. ჩ-ას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმებისა და ქ. ბათუმში, ანგისას დასახლებაში მდებარე, ამჟამად რ. ხ-ას საკუთრების უფლებით რეგისტრირებული 71 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

მოცემულ საქმეზე მხარეთა საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობის გამო, 2013 წლის 3 იანვარს ასევე კანონიერ ძალაში შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ივლისს გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება

და ახალი გადაწყვეტილებით დ. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა რ. ხ-ას სახელზე ნოტარიუს თ. ჩ-ას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №... 5/6 ნაწილში, ქ.ბათუმში, ანგისას დასახლებაში მდებარე 71 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი №... და ქ.ბათუმში ანგისას დასახლებაში მდებარე 71 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №... . 5/6 ნაწილი აღირიცხა დ. ტ-ის საკუთრებაში.

დასტურდება ფაქტობრივი გარემოება, რომ დ. ტ-ემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ნარმოების განახლება, საქმის ნარმოების განახლების ფაქტობრივ საფუძვლად კი, მხარე მიიჩნევდა სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ 2012 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მაისის განჩინებით დ. ტ-ის განცხადება სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა დ. ტ-ის კერძო საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება დარჩა უცვლელად.

ზემოაღნიშნული კერძო საჩივრის საკასაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე დ. ტ-ემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ამ სასამართლოს მიერ 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 ივნისის განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად, საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 22 ივნისის განჩინებით, რომლის გაუქმებასაც წინამდებარე კერძო საჩივრით მოითხოვს მხარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში

საქმის განხილვის დასრულებამდე შეაჩერა დ. ტ-ის საჩივრის განხილვა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლომ დაასრულა დ.ტ-ის კერძო საჩივრის განხილვა, განაახლა საქმის წარმოება, ხოლო 2014 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დააქმაყოფილა დ. ტ-ის საჩივარი, გააუქმა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 ივნისის განჩინება და დ. ტ-ის 2013 წლის 16 ივლისის განცხადება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დააქმაყოფილა. წინამდებარე საქმე დ. ტ-ის კერძო საჩივრის განხილვის მიზნით, საკასაციო სასამართლოს გადმოეცა 2015 წლის 23 ოქტომბერს.

მითითებული გარემოების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აღარ არსებობს დ.ტ-ის მიერ წარდგენილი კერძო საჩივრის განხილვის წიაპირობები, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ კერძო საჩივრით მოთხოვნილია საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების კანონიერების შემონმება, ასევე უდავოდ დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ არა თუ განაახლა საქმის წარმოება, არამედ დაასრულა კიდევაც საჩივრის (განცხადების) არსებითად განხილვა, რაც უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ აღარ არსებობს კერძო საჩივრის საგანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის საგნის არარსებობის გამო, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება დ. ტ-ის კერძო საჩივარზე, რომლითაც მოთხოვნილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ივლისის განჩინების გაუქმება.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად და-

ტოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს ან აღიარებულია ქმედულნარო პირად.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დ. ტ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულად უნდა დაუბრუნდეს ზ. ტ-ის მიერ 2014 წლის 17 ოქტომბრის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით, 272-ე, 273-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. დ. ტ-ის კერძო საჩივარზე შეწყდეს წარმოება კერძო საჩვრის საგნის არარსებობის გამო.

2. განემარტოს კერძო საჩვრის ავტორს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის გამო, სასამართლოსათვის ხელმიტორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

3. დ. ტ-ეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს ზ. ტ-ის მიერ 2014 წლის 17 ოქტომბრის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის თარიღების შეცვეტა

განხილვა

№ას-915-877-2014

20 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

აღნერილობითი ნაწილი:

ვ. ზ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობა „... 2006-ის“ წევრების: გ. ხ-ის, ვ. ო-ისა და ნ. ა-ის მიმართ 6 480 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით ამხანაგობა „... 2006-ის“ წევრების: გ. ხ-ის, ვ. ო-ისა და ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ზ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებლობის შესამოწმებლად.

2015 წლის 19 მარტს კასატორმა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ აღარ სურდა საკუთარი საკასაციო საჩივრის განხილვა, იხმობდა მას და უარს აცხადებდა დავაზე, შესაბამისად, ითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა ვ. ზ-ას განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარზე წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ვ.ზ-ას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებლობის შესამოწმებლად;

2015 წლის 19 მარტს კასატორმა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ აღარ სურდა საკუთარი საკასაციო საჩივარის განხილვა, იხმობდა მას და უარს აცხადებდა დავაზე, შესაბამისად, ითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაპრუნება.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის აქტის თანახმად, კასატორის წარმომადგენელმა ც. ქ-მა დააზუსტა განცხადების მოთხოვნა და განმარტა, რომ მხარე უარს ამბობდა საკასაციო საჩივარზე და ითხოვდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაპრუნებას.

შესარის შუამდგომლობის სამართლებრივი საფუძლიანობის შემოწმების მიზნით პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვის შესაბამის ეტაპზე დაუბრკოლებლად იხელმძღვანელოს ქვემდგომი წესით საქმის განხილვის მარეგულირებელი იმ ნორმებით, რომლებიც საკასაციო სამართალწარმოებისას სპეციალურ რეგულაციას არ ექვემდებარებიან, თავის მხრივ, საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვაზე და მასში მითითებული თითოეული საპროცესო მოქმედების განხილვაზე და მასში მითითებული თითოეული საპროცესო მოქმედების განხილვის შეუძლია საქმის გან-

ხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კასატორმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ზ-ას საკასაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე ნორმის მე-4 ნაწილით დადგენილია, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ვ. ზ-ას მიერ საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვამდე კასაციაზე უარის თქმის გამო, კასატორს სრულად უნდა დაუბრუნდეს ლ. ე-ის მიერ 2014 წლის 11 აგვისტოს №32 საგადახდო დაგალებით გადახდილი 550 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 272-ე, 273-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ზ-ას შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. შეწყდეს წარმოება ვ. ზ-ას საკასაციო საჩივარზე, სამოქალაქო საქმეზე ვ. ზ-ას სარჩელის გამო, ამხანაგობა „... 2006-ის“ წევრების: გ. ხ-ის, ვ. ო-ისა და ნ. ა-ის მიმართ, წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილი თანხის

დაბრუნების თაობაზე.

3. კასატორ ვ. ზ-ას (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ლ. ე-ის მიერ 2014 წლის 11 აგვისტოს №32 საგადახდო დაგალებით გადახდილი 550 ლარი.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის ნარჩოების შეჩერების კანონიერება

განჩინება

№ას-1023-981-2014

27 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღნერილობითი ნაწილი:

თ. ც-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლო-
ში ა. ჩ-ას, გ. გ-ას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, თ. ბ-ას, თ. კ-ის,
ი. ს-ას, ლ. მ-ის, მ. წ-ის, მ. ლ-ის, ხ. ბ-ას, ხ. შ-ას, ტ. შ-ისა და იბა „...
7-ის“ მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ც-ას
სარჩელი უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დაკმაყო-
ფილდა, მოპასუხეებს დაევალათ თ. ც-ას კუთვნილი თბილისში
ლამბაშიძის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონების გათავისუფლე-
ბა ავტომობილებისა თუ სხვა მოძრავი ნივთებისაგან.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელა-
ციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2014 წლის 8 ივლისის განჩინებით აპელანტების ა.
ჩ-ას, გ. გოგოგხიას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, მ. წ-ის, ხ. შ-
ას, ტ. შ-ის, ი. ს-ასა და იბა „... 7-ის“ ნარმომადგენელ თ. ამირა-

ნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეჩერდა წარმოება საქმეზე №2ბ/6826-13 აპელაციების ა. ჩ-ას, გ. გ-ას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, გ. ქ-ის, თ. ნ-ის, თ. ბ-ას, თ. კ-ის, ი. ს-ას, ლ. მ-ის, მ. წ-ის, მ. ლ-ის, ნ. ბ-ას, ნ. შ-ას, ტ. შ-ისა და იბა „.... 7-ის“ სააპელაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე მხარე – თ. ც-ას მიმართ ადმინისტრაციულ საქმეზე №/3/3744/13 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება თ. ც-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

2015 წლის 13 იანვარს თ. ც-ას წარმომადგენელმა ა. თ-მა სასამართლოს წარმოუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2014 წლის 24 ნოემბრის №/3/3744/13 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ბმა „....“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების ასლს აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბეჭედი, მითითებით „შესულია კანონიერ ძალაში“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივარი და მიზინია, რომ თ. ც-ას წარმომადგენელ ა. თ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კერძო საჩივრით სადაცვა საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისთვის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

იმავე კოდექსის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის განჩინებით აპელანტების ა. ჩ-ას, გ. გოგოგხიას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, ვ. ქ-ის, თ. ნ-ის, მ. წ-ის, ნ. ბ-ას, ტ. შ-ის, ი. ს-ასა და იბა „.... 7-ის“ წარმომადგენელ თ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეჩერდა წარმოება საქმეზე №2ბ/6826-13 აპელანტების ა. ჩ-ას, გ. გ-ას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის, თ. ნ-ის, თ. ბ-ას, თ. კ-ას, ი. ს-ას, ლ. მ-ის, მ. წ-ის, მ. ლ-ის, ნ. ბ-ას, ნ. შ-ას, ტ. შ-ისა და იბა „.... 7-ის“ სააპე-

ლაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე მხარე – თ. ც-ას მიმართ ადმინისტრაციულ საქმეზე №/3/3744/13 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2015 წლის 13 იანვარს თ. ც-ას წარმომადგენელმა ა. თ-მა სასამართლოს წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2014 წლის 24 ნოემბრის №/3/3744/13 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ბმა „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების ასლს აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის ბეჭედი, მითითებით „შესულია კანონიერ ძალაში“, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები აღარ არსებობს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 279-ე, 281-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ც-ას წარმომადგენელ ა. თ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივნისის განჩინება და საქმე ბმა „... 7-ის,“ გ. გ-ას, გ. ჩ-ას, გ. გ-ის და სხვათა სააპელაციო საჩივრის განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-109-104-2014

1 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, იპო-
თეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღნერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში
მ. ხ-ის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებისა და იპო-
თეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვ-
ნით.

მ. ხ-მა სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის
სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ხ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ 10
000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო
წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მ. ხ-ის სააპე-
ლაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვე-
ტილებაზე დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა. სასა-
მართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა დაარღვია სააპელაციო სა-
ჩივრის შეტანითავის დადგენილი 14-დღიანი ვადა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-მა მი-
სი მითითებით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებ-
ლად 2013 წლის 25 ნოემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს. გადაწყვეტილება 2013 წლის 6 დეკემბერს გადაეცა,
რის შემდეგაც 14-დღიან ვადაში შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განხილვისა და

საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ხ-ის კერძო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აპელანტმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესრუება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად, აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ვალდებულია, მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი

სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში და, მიმართვის შემთხვევაში, ჩაბაროს მხარეს გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს და-საბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას კანონით დადგენილ ვადაში, აღნიშნული გარემოება მხარის პასუხისმგებლობის სა-ფუძველი ვერ გახდება და ვერც გასაჩივრების ვადის 30-ე დღი-დან ათვლას გამოიწვევს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა გადაწყვეტილების რე-ალურად ჩაბარების მომენტიდან უნდა აითვალოს.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღეს.

განსახილეველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადე-ბიდან 30-ე დღე, 23 ნოემბერი, შაბათი იყო. სააპელაციო სასა-მართლომ მოცემულ საქმეზე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მ. ხ-ის წარმომადგენერალმა თ. გ-ემ 2013 წლის 25 ნოემბერს (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის მომდევ-ნო სამუშაო დღეს) მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, და-საბუთებული გადაწყვეტილება კი, ჩაბარდა 2013 წლის 6 დე-კემბერს, ხელახალი განცხადების დაწერის შემდეგ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლომ ვერ უზ-რუნველყო მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნისათანავე ჩაბარება, რის გამოც, სააპელაციო საჩივ-რის შეტანის ვადა გადაწყვეტილების რეალურად ჩაბარების მო-მენტიდან უნდა აითვალოს.

ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტი-ლება მხარეს 2013 წლის 6 დეკემბერს ჩაბარდა, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იმავე წლის 20 დეკემბერს ამოინურა. სააპელაციო საჩივარი, აღნიშნული ვადის დაცვით, 2013 წლის 9 დეკემბერსაა შეტანილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ხ-ის კერძო საჩივარი საფუძვლი-ანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ხ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საქმე მ. ხ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩივება

№ას-1242-1187-2013

10 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

6. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-სა და დ. გ-ის მიმართ აღმასრულებელ გ. ქ-ის მიერ 2013 წლის 13 მაისს შედგნილი ქონების აღწერისა და დაყადალების აქტში მითითებულ მოსარჩელის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით.

მოპასუხე გ. კ-ემ სარჩელი ცნო, ხოლო დ. გ-მა მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით 6. კ-ის სარჩელი მოპასუხების: გ. კ-სა და დ. გ-ის მიმართ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. კ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწი-

ლობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 259¹ მუხლის თანახმად, დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 20 აგვისტოს. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ აპელანტი ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 20 აგვისტოს, მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარების კანონით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 21 აგვისტოს და ამოინურა 2013 წლის 19 სექტემბერს, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 19 სექტემბერს და აღნიშნული ვადა ამოინურა 2013 წლის 2 ოქტომბერს. საქმის მასალებით კი, დასტურდებოდა, რომ ნ. კ-ემ სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2013 წლის 3 ოქტომბერს, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით (გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ამოინურა 2013 წლის 2 ოქტომბერს). სასამართლოს მითითებით, ნ. კ-ემ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 2013 წლის 24 სექტემბერს, მაგრამ, ვინაიდან ამ დროისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაწყებული იყო (თანახმად სსსკ 259¹ მუხლისა, დაიწყო 2013 წლის 21 აგვისტოს), გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გამოთვლისას სასამართლომ ეს გარემოება მხედველობაში არ მიიღო.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილზე, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და, ვინაიდან ნ. კ-ემ სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2013 წლის 3 ოქტომბერს, ჩათვალა, რომ აპელანტმა დაარღვია კანონით დადგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების თანახმად, ნ. კ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. კ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული განჩინებით დარღვეულია მხარის უფლებები, რადგანაც მას, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ჰქონდა შესაძლებლობა, აუყვანა ადვოკატი, თავად უკრე ერკვევა კანონის მოთხოვნებში და მისთვის უცნობი იყო გადაწვეტილების ჩაბარების ვადის თაობაზე. ნ.კ-ემ და მისმა მეუღლებ არაერთხელ მიმართეს საშურის რაიონულ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით, თუმცა სასამართლომ განუმარტა, რომ აცნობებდა დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებისთანავე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილება სწორედ მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს გაამზადა, რის თაობაზეც მოსარჩელეს უცნობა 24 რიცხვში, მან დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაიძარა 25 რიცხვში, რა დროსაც განემარტა, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა 4 ან 5 ოქტომბერს იწურებოდა. ნ. კ-ის განმარტებით, საპროცესო ვადის დარღვევა სასამართლოს ქმედებამ განაპირობა, ამასთანავე მიუთითა მის როტულ ქონებრივ მდგომარეობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით ნ. კ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს სხდომას, რო-დესაც გამოცხადდა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზო-ლუციო ნაწილი, ესწრებოდა მოსარჩევე ნ. კ-ე.

დადგენილია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩევეს ჩაბარდა 2013 წლის 24 სექტემბერს, ხოლო საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის თანახმად, აპელანტმა რაიონულ სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 2013 წლის 3 ოქტომბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. კ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება დაამყარა შემდეგ გარემოებებს:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 20 აგვისტოს, მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარების კანონით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 21 აგვისტოს და ამოიწურა 2013 წლის 19 სექტემბერს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 19 სექტემბერს და აღნიშნული ვადა ამოიწურა 2013 წლის 2 ოქტომბერს. ნ. კ-ემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2013 წლის 3 ოქტომბერს, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით, ამასთანავე, პალატამ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ ნ. კ-ემ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 2013 წლის 24 სექტემბერს, ვინაიდან ამ დროისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაწყებული იყო.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების ზემოაღნიშნულ დასკვნას იმ საფუძვლით, რომ ა) მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, ჰყოლოდა ადვოკატი და მისთვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მარეგულირებელი საპროცესო ნორმები ცნობილი არ ყოფილა; ბ) საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების დროულად მოუმზადებლობამ, კერძოდ, ის რამდენჯერმე გამოცხადდა ხაშურის რაიონულ სასამართლოში, თუმცა 2013 წლის 24 სექტემბრამდე გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ მოხერხდა.

საკასაციო პალატა მხარის პირველ არგუმენტს ვერ გაიზიარებს უსაფუძვლობის გამო და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. ამდენად, მხარის ქონებრივი მდგომარეობა თუ ადვოკატის არყოლის შესაძლებლობა კანონის ცოდნის პრეზუმუციას არ აქარნყლებს და ამ არგუმენტს რაიმე გავლენა დავის მიმართ არ შეიძლება გააჩნდეს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მე-2 მოსაზრებას, რომ მან თავის ბრალის გარეშე დაარღვია საპროცესო ვადა, საკასაციო სასამართლო იზიარებს აღნიშნულს და თვლის, რომ საპელაციო პალატის დასკვნა გადაწყვეტილების ჩაბარების ვადის შედეველობაში მიუღებლობის თაობაზე არ ემყარება საქმის მასალების სრულყოფილ კვლევას. საქმეში წარმოდგენილი ხელნერილის (განცხადების) თანახმად, ნ.კ-ემ ხაშურის რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით მიმართა 2013 წლის 18 სექტემბერს, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა (30-ე დღე იყო 19 სექტემბერი), ხოლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარება 2013 წლის 24 სექტემბერს განხორციელდა.

სააპელაციო საჩივრი კი, როგორც უკვე აღინიშნა, წარდგენილია 2013 წლის 3 ოქტომბერს.

მართალია, ხელნერილის (განცხადების) ფორმაში არ არის სასამართლოს შესაბამისი მოხელის აღნიშვნა მოსარჩელის მიმართვის დროისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაუცემლობის შესახებ, თუმცა მხოლოდ ეს გარემოება, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არ შეიძლება გახდეს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაწყების საფუძველი. მხარემ კანონით დაკისრებული სასამართლოში დროულად გამოცხადების ვალდებულება შეასრულა, თუმცა მას დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ ჩაბარებია. ამ თვალსაზრისით არსებობს ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკა (იხ. სუსგ №ას-733-695-2013, 10 დეკემბერი, 2013 წელი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებითად სწორად დადგენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 259¹ მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხა-

რისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირი-სათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღი-სა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომელებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაზიარებისა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ამდენად, იმისათვის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრები-სათვის დადგენილი საპროცესო ვადის დენა დაუკავშირდეს კანონით გათვალისწინებულ ვადას, სავალდებულო წინაპირობას წარმომადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვის ფაქტის გამოკვლევა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ წარმომადგენს საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის სუბიექტს ან პატიმრობაში მყოფ პირს, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი და ის კანონით დადგენილ ვადაში – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდება სასამართლოში, თუმცა მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ ხერხდება, ასეთ დროს არ შეიძლება მის მიმართ გამოყენებულ იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის დათქმა გასაჩივრების ვადის დენის 30-ე დღიდან დაწყების თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ საფუძვლით არ არსებობს ნ.კ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც უტყუარად უნდა გამოარკვიოს საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 368-ე მუხლთან შესაბამისობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. კ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ნოემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-490-464-2014

8 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ა. თ-მ ბათუმის საქალაქო სასამართლოში ე. პ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოიტხოვა განწყლი იურიდიული მომსახურების საფასურის – 3000 ლარის ანაზღაურება, ასევე მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 5000 ლარის გადახდის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. თ-ის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ე. პ-ს ა. თ-ის სასარგებლოდ დაეკისრა განეუ-

ლი იურიდიული მომსახურებისათვის მიუღებელი საზღაურის – 3000 ლარის ანაზღაურება. ა. თ-ს უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით ე. პ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინადან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი ცნობლი იყო ე. პ-ისთვის, გააჩივრების 14-დღიანი ვადის აითვლა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს, 20 მარტს და ამოინურა 2014 წლის 2 აპრილს.

აღნიშნული განჩინება აპელანტმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 20 მარტიდან, შესაბამისად მე-14 დღე 3 აპრილი იყო. გადაწყვეტილების გამოცხადებიდან სააპელაციო საჩივრის შეტანამდე არაუმეტეს 44 დღეა გასული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ე. პ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი ინყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი ნარმომადგენლი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაინყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გა-
საჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების
სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ
იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზ-
ღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწ-
ყვეტილებას არ ჩაიპარებს.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ ზემომითი-
თებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს,
მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვე-
ტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათ-
ვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ით-
ვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად
ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადა-
საცემად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურად-
ღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის
მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-
წილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზა-
დებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასა-
ცემად, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს დამაბ-
რკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის
შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გა-
მოცხადებიდან მე-20 დღესვე ვერ შეძლებს მხარისათვის გა-
დაწყვეტილების ჩაბარებას.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს
გადაწყვეტილება 2014 წლის 18 თებერვალს გამოცხადდა, ე. პ-
ისათვის ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თაო-
ბაზე, შესაბამისად, გასაჩივრების მსურველი მხარე არაუადრეს
10 მარტისა და არაუგვიანეს 20 მარტისა უნდა გამოცხადებული
სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებ-
ლად. 2014 წლის 13 მარტს, ანუ სარეზოლუციო ნაწილის გამოც-
ხადებიდან 23-ე დღეს, ე. პ-მა ბათუმის საქალაქო სასამართლოს
მიმართა და გადაწყვეტილების ჩაბარება მოითხოვა, მაგრამ მას
დასაბუთებული გადაწყვეტილება არ გადასცემია. გადაწყვეტი-
ლება მოპასუხეს 21 მარტს, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხა-
დებიდან 31-ე დღეს ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ სასამართლოს
ევალება, მხარის მიმართვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩა-
ბაროს მას გადაწყვეტილება და ამ ვალდებულების შეუსრუ-
ლებლობა მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ იქნება.
მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, საპროცესო კანონმდებ-

ლობით, დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში და არა მე-20 ან 30-ე დღეს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარემ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, ხოლო გადაწყვეტილება არ ჩაბარებია, ივარაუდება, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა. საპირისპირო უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებით (მაგ. მხარემ უარი განაცხადა გადაწყვეტილების ჩაბარებაზე და ა.შ). ყოველგვარი ეჭვი წყდება მხარის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევა-ში, ე. პ-მა შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 23-ე დღეს გამოცხადდა სასამართლოში, მაგრამ დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩაბარდა, რის გა-მოც, გასაჩივრების ვადის ათველა მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან უნდა დაიწყოს და არა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

დასაბუთებული გადაწყვეტილება ე. პ-ს 21 მარტს ჩაბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათველა, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესა-ბამისად, 22 მარტიდან დაიწყო და 4 აპრილს ამოინურა. სააპე-ლაციო საჩივარი 3 აპრილსაა შეტანილი და სააპელაციო სასა-მართლოს განუხელოველად არ უნდა დაეტოვებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. პ-ის კერძო საჩივარი საფუძვლი-ანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ე. პ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის განჩინება და საქმე ე. პ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებ-ლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განერიცხავა

№ას-1129-1076-2014

24 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

6. ნ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „... +-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხისათვის 1510,97 ლარის გადახდის დაკისრების მოტხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით 6. ნ-ის სარჩელი დაქმუყოფილდა, შპს „... +-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 1510,97 ლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შპს შპს „... +-ის“ სააპელაციო საჩივრი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან აპელანტი კანონით დადგენილ ვადაში საქალაქო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად არ გამოცხადდა, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათველა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწყო და 2 სექტემბერს ამოინურა. სააპელაციო საჩივრი კი, 3 სექტემბერსაა შეტანილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დარღვეული არ ყოფილა და სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივრი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „... +-ის“ კერძო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას აღგენს, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს დამაპრკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღესვე ვერ შეძლებს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2014 წლის 21 ივლისს გამოცხადდა, რასაც ესწრებოდა მოპასუხის წარმომადგენელი, შესაბამისად, მას არა უაღრეს 10 აგვისტოს და არა უგვიანეს 20 აგვისტოს უნდა მიემართა სასამართლოსათვის გადაწყვეტილების ჩასაბარებლად;

2. 2014 წლის 21 და 22 აგვისტოს შპს „..... +-ის“ წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა. განცხადებებს რეაგირება არ მოჰყოლია;

3. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილება შპს „..... +-ს“ ჩაბარდა;

4. მოსარჩელეს გადაწყვეტილება 2014 წლის 3 სექტემბერს ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მოპასუხებ ორჯერ მიმართა განცხადებით სასამართლოს, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაბარებია. მართალია, განცხადებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაა წარდგენილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოს რეაგირება არ ევალებოდა. ვინაიდან, მოთხოვნის მიუხედავად, გადაწყვეტილება მხარეს ვერ ჩაბარდა, საკასაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჰქონდა მზად სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უაღრეს მე-20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა. ამ ვარაუდს ის ფაქტიც ამყარებს, რომ გადაწყვეტილება მოსარჩელეს 3 სექტემბერს ჩაბარდა. იმის დამდასტურებელი მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილება მხარეს თავისი მიზეზით არ ჩაბარდა, საქმეში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვადის ათვლა ამ შემთხვევაში არა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან უნდა დაინყოს, არამედ გადაწყვეტილების რეალურად ჩაბარებიდან.

ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხებ პირველ ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ ჩაბარდა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველგვარი ეჭვი მხარის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქმის მასალები არ ადასტურებს,

რომ სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14-დღიანი ვადის დარღვევითაა წარდგენილი, შესაბამისად, საკა-საციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ შემთხვევაში შპს „..... +-ის“ სააპელაციო საჩივარი ვადაში წარდგენილად უნდა იქნეს მიჩნეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს, ხოლო მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს.

ნინამდებარე დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, შესაბამისად, შპს „..... +-ს“ კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით 39-ე მუხლით განსაზღვრული ოდენობის ნახევარი უნდა გადაეხდა, მოცემულ შემთხვევაში კი, სახელმწიფო ბაჟი სრულადაა გადახდილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლი ითვალისწინებს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებას, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „..... +-ს“ ზედმეტად გადახდილი 25 ლარი უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „..... +-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 სექტემბრის განჩინება და საქმე შპს „..... +-ის“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. შპს „..... +-ს“ დაუბრუნდეს 11/17/2014 წლის საგადახდო დავალებით ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 25 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი 3 0077 3150;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განერიცხავა

№ას-1238-1167-2012

4 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ამხანაგობის გადაწყვეტილების ბათილად
ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მ., გ. და ა. ი-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივი-
დუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თ.-88-ის“ მიმართ
მ. ი-ის, გ. ი-ისა და გ. ი-ის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თ.-88-ის“
გამგეობის 2005 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათი-
ლად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა, რომ 2005 წლის 28
სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ი-ე, გ. ი-ე და გ. ი-ე გამგეო-
ბის გაირიცხნენ ამხანაგობიდან. აღნიშნულის მიზეზად მიეთი-
თა ის გარემოება, რომ ისინი ენერგიუნი ამხანაგობის საწინააღ-
მდეგო საქმიანობას და ხელს უშლიდენ ამხანაგობას მიზნის
მიღწევაში. გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელებისათვის
ცნობილი გახდა 2005 წლის შემოდგომაზე. მათი მხრიდან ამხა-
ნაგობის საქმიანობისათვის ხელშემშლელი ქმედება არ განხორ-
ციელებულა, შესაბამისად, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია
და მასში ასახული გარიცხვის მიზეზი არ არის დაფუძნებული
რეალურ ფაქტებზე.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ
დაცმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო
წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2012 წლის 20 ივლისის განჩინებით მ., გ. და ა. ი-
ების სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გა-
რემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით, 259¹ მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გამოცხადების მე-20 დღიდან 30-ე დღის ჩათვლით ჰერიოდში მხარე უნდა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილება, საიდანაც აითვლება მისი გასაჩივრების ვადა, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებელი ადგენს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს გასაჩივრების ვადის დენის ავტომატურად დაწყებას. ამასთან, კანონი არ უკრძალავს სასამართლოს, მოამზადოს და მხარეს ჩააბაროს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღემდე. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის ათვლას კანონი უკავშირებს მხარისათვის მის ჩაბარებას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში განთავსებული ხელწერილით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელეების წარმომადგენლომა, მ. ნ-მ ჩაიბარა 2010 წლის 10 ივნისს. აღსანიშნავია, რომ ხელწერილზე მითითებული პირადი ნომერი ... ემთხვევა რწმუნებულებებში აღნიშულ წარმომადგენლის პირად ნომერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელეებს (აპელანტებს) მ. ი-ს, გ. ი-სა და ა. ი-ს ჩაბარებულად ჩაუთვალა წარმომადგენლის მიერ მისი მიღების დღეს – 2012 წლის 10 ივნისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 11 ივნისს და ამოიწურა პირველ სამუშაო დღეს – 2012 წლის 25 ივნისს.

სააპელაციო საჩივრი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ იქნა 2012 წლის 13 ივლისს, არა გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 14-დღიანი ვადის დაცვით, არამედ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ 30-ე დღიდან 14-დღის ვადაში. განსაზიდველ შემთხვევაში კი სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 30-ე დღიდან გასაჩივრების ვადის ათვლის საფუძველი არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად და, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ი-ის, გ. ი-ისა და ა. ი-ის სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ., გ. და ა. ი-ების წარმომადგენელმა მ. ნ-მ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დანრუნება იმავე სასამართლოში სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

დაუსაბუთებელია პალატის მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხარემ ჩაიპარა 2012 წლის 10 ივნისს. ფაქტობრივად, მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ჩაპარდა 2012 წლის 10 ივლისს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 10 ივნისი იყო უქმე, კვირა დღე, რა დროსაც მხარეს გადაწყვეტილება ხელზე ვერ ჩაბარდებოდა.

გასაჩივრებულ განჩინებაში დაშვებულია ფაქტობრივი უზუსტობა, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილში გ. ი-ის ნაცვლად მითითებულია გ. ი-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინებით გასწორდა ამავე პალატის 2012 წლის 20 ივლისის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და სარეზოლუციო ნაწილში „გ. ი-ე“ გასწორდა „გ. ი-თ“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ., გ. და ა. ი-ების წარმომადგენელ მ. ნ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების

ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ნინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ მ., გ. და ა. ი-ების წარმომადგენელ მ. ნ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2012 წლის 10 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ მ. ნ-ის უფლებამოსილება და თავად გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, თუმცა კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მის მხარეს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2012 წლის არა 10 ივნისს, როგორც ეს ხელწერილზეა დაფიქსირებული, არამედ 10 ივლისს, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არასწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 2012 წლის 10 ივნისიდან დაიგი განუხილველად უკანონოდ დატოვა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ნ-ე სადავო გადაწყვეტილებას 2012 წლის 10 ივნისს ვერ ჩაიბარებდა, ვინაიდან აღნიშნული დღე დაემთხვა უქმე, კვირა დღეს. ამდენად, მიზანშეწონილია, ეჭვი სადავო სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების დროსთან დაკავშირებით გადაწყდეს მხარის სასარგებლოდ და სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა აითვალოს 2012 წლის 10 ივლისიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსთვლელ საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, განსახილველი სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაინრო 2012 წლის 10 ივლისიდან და ამოინურა 24 ივლისს, აპელანტებმა კი სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანეს 2012 წლის 13 ივლისს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შემოწმებისას სააპელაციო პალატამ მხედველობაში უნდა მიიღოს განჩინების კვლევით ნა-

წილში მითითებული მსჯელობა და აღნიშნულის შესაბამისად გამოარკვიოს, დასაშვებია თუ არა მ., გ. და ა. ი-ების სააპელაციო საჩივარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ., გ. და ა. ი-ების წარმომადგენელ მ. ნ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივლისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის და-საშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განრიგება

№ას-143-134-2015

18 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სოლიდარული ვალდებულების შესრულება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღნერილობითი ნაწილი:

სს „პროკრედიტ ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. დ-ას, გე. და გი. შ-ეების მიმართ და მოითხოვა, მოპასუხეებს სს „პროკრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 15.424.33 აშშ დოლარის გადახდა, დავალიანების გადახდის მიზნით, ოზურგეთის სოფელ ნატანებში მდებარე (ს/კ

26.01.50.040) იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა.

მოსარჩელის მითითებით, 2013 წლის 25 ივნისს სს „პროკრედიტ ბანკსა“ და გე. შ-ეს შორის დაიდო №... გენერალური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაფორმებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით მოსარჩელემ გასცა კრედიტი – 10807 აშშ დოლარი 35 თვის ვადით 24% სარგებლით.

საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმდა გე. შ-ის ქონებაზე №... იპოთეკის და №... სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულება.

მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკს, რის შესახებაც მსესხებელი ბანკმა არაერთხელ უშედეგოდ გააფრთხილა.

მოპასუხებმა სარჩელი ნაწილობრივ ცნეს, სადაც დავალიანების არსებობის ფაქტი დაადასტურეს და მიუთითეს, რომ თანხა ვერ დაფარეს შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ, №... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების – 15.424.33 აშშ დოლარის გადახდა (ძირითადი თანხა – 10.807 აშშ დოლარი, სარგებელი – 4332.58 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 284.75 აშშ დოლარი). №... საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გე. შ-ეს, გი. შ-ესა და დ. დ-ასათვის სოლიდარულად დაკისრებული თანხის ამოდების მიზნით დადგინდა, რეალიზებულ იქნას გე. შ-ის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ქ. ოზურგეთში, სოფელ ...-ში მდებარე (ს/კ ...) უძრავი ქონება, №... საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სს „პროკრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ სოლიდარული მევალეებისთვის დაკისრებული 15.424.33 აშშ დოლარის გადახდა განხორციელდეს მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონებიდან.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა ნაწილობრივ, მე-4 და მე-5 პუნქტები, გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ოზურგეთის რაომნული სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა ერთერთი სოლიდარული მოპასუხე გე. შ-ე. მოპასუხეებს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოსათვის არ მიუმართავთ. ამასთან, ისინი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები არ არიან და სასამართლოს მათვის გადაწყვეტილების გაგზავნის ვალდებულება არ ეკისრებოდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტების მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა უნდა ათვალის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან – 2014 წლის 26 ნოემბრიდან (2014 წლის 27 ოქტომბრიდან 30-ე დღე) და აღნიშნული ვადა ამოინურა 2014 წლის 10 დეკემბერს.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აპელანტებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს 14-დღიანი ვადის დარღვევით – 2014 წლის 30 დეკემბერს. იგივე თარიღია დასმული სააპელაციო საჩივრის ბოლოს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 374-ე, 369-ე, 259¹ მუხლებით და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ. დ-ამ, გე. და გი. შ-ებმა შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან 21-ე და შემდგომ რამდენიმე დღის განმავლობაში კერძო საჩივრის ავტორები მიმართავდნენ რაიონულ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ მოსამართლის თანაშემწე (ლია დ-ა) ეუბნებოდა, რომ გადაწყვეტილება არ იყო ხელმოწერილი, მოსამართლე ნარგიზ ცეცხლაძე იმყოფებოდა შვებულებაში და მას უნდა დაელოდებოდნენ, ხოლო ვადის ათვლა დაიწყებოდა მოსამართლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების მათვის გადაცემის შემდეგ. მოსამართლე ნარგიზ ცეცხლაძე შვებულებიდან დაბრუნდა 2014 წლის 6 დეკემბრის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილებაზე ხელი მოეწერა 2014 წლის 19 დეკემბერს, ხოლო კერძო საჩივრის ავტორებს გადაეცა 2014 წლის 23 დეკემბერს.

კერძო საჩივრის ავტორებმა განმარტეს, რომ რაიონული სა-სამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდნენ ნაწილობრივ, შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გა-რეშე ისინი ვერ მიუთითებდნენ, სასამართლო გადაწყვეტილე-ბის რა ნაწილსა და რომელ პუნქტებს ასაჩივრებდნენ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შეს-წავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუ-თების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. დ-ას, გე. და გი. შ-ების კერძო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის და-საშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარე-მოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელო-ბის საგანია სააპელაციო პალატის მიერ სააპელაციო საჩივრის ვადის დარღვევით შეტანის გამო განუხილველად დატოვების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლისას სააპელაციო პალატას საქ-მის მასალები სრულყოფილად არ გამოიკვლევია და საქმისათ-ვის მნიშვნელოვან გარემოებებზე ყურადღება არ გაუმახვილე-ბია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგ-რძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათ-ვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი-დან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათ-ვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენი-ლი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტი-ლების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწ-ყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გა-დაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხა-რისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარი-სათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგ-ზავნის დრო. ამავე კოდექსის 259¹ მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვე-

ტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმა ადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი ისეთი მხარის ვალდებულებას, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მე-20 დღიდან 30-ე დღის ჩათვლით მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად. აღნიშნული ვალდებულების შესრულებაში, როგორც წესი, იგულისხმება მხარის გამოცხადება სასამართლოში და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ მოთხოვნის წერილობით წარდგენა სასამართლოსათვის, თუმცა შესაძლებელია, გარკვეული მიზეზების გამო, სასამართლო გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში ვერ მომზადდეს, შესაბამისად, მხარემ მისი ჩაბარება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში ვერ მოახერხოს მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ასეთ შემთხვევაში მხარისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის შემდეგი დღიდან არ უნდა დაიწყოს, არამედ გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად უნდა ჩაითვალოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარების დრო.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და სადაცოს არ წარმოადგენს, რომ ოურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა სოლიდარულ მოვალეთა და მოპასუხეთაგან ერთ-ერთი – გე. შ-ე, შესაბამისად, მოპასუხებზე ვრცელდება 259¹ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში. აღნიშნულის მიუხედავად, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მხარეთა

წერილობითი მოთხოვნა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებასთან დაკავშირებით, თუმცა საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა მითითებას, რომ აპელანტებმა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში – 2014 წლის 16-26 ნოემბერს ვერ ჩაიბარეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო – მოცემულ პერიოდში ხელმოწერილი დასაბუთებული გადაწყვეტილების არარსებობის მოტივით.

მოცემულ მსჯელობას საკასაციო სასამართლო აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. ც-ის მიერ მიღებული 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ საქმის მასალებში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2014 წლის 11 ნოემბრის ბრძანება 2014 წლის 17 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე მოსამართლე ნ. ც-სათვის კუთვნილი შვებულების მიცემის თაობაზე. ამდენად, 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში – 2014 წლის 16-26 ნოემბერს მოსამართლე შვებულებაში იმყოფებოდა, რაც სარწმუნოდ ხდის კერძო საჩივრის ავტორთა მითითებას, რომ მათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 21-ე დღიდან რამდენჯერმე მიმართეს სასამართლოს გადაწყვეტილების მისალებად, რაც, მოსამართლის თანაშემწის განმარტებით, ვერ მოხერხდა მოსამართლის შვებულებაში ყოფნისას ხელმოწერილი გადაწყვეტილების არასებობის გამო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2014 წლის 17 დეკემბერს მოპასუხებს რაიონული სასამართლოს სადაც გადაწყვეტილება გაეგზავნათ ფოსტით.

სააპელაციო პალატამ დაადგინა და საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ დ. დ-ა, გ- და გ- შ-ები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები არ არიან და რაიონულ სასამართლოს მათვის გადაწყვეტილების გაგზავნის ვალდებულება არ ეკისრებოდა.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ აპელანტებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის მოთხოვნა არ დაურღვევიათ და მათ მიმართ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა აითვალის იზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014

წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების მოპასუხეთათვის ფოსტის მეშვეობით ჩაბარების მომენტიდან, კერძოდ, დ. და-სამართლო გზავნილი ჩაბარდა 2014 წლის 19 დეკემბერს, ხოლო გე. და გი. შ-ეებს – 2014 წლის 18 დეკემბერს.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივრი მხარეებმა შეიტანეს 2014 წლის 30 დეკემბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტებითა და საქმის მასალებით დასტურდება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობათა არსებობა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლ შესამონმებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. და-სა, გე. და გი. შ-ეების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლ შესამონმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

საპირელო

1. პროცესის ხარჯები	
სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები	3; 7; 9
2. საპროცესო ვალები	
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა	17
3. მხარეთა საპროცესო უფლება უნარიანობა	
და ქმედუნარიანობა მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა	21
4. სასამართლო მტკიცებულებები	
საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევა	24
მტკიცებულებათა შეფასება	47
5. სარჩელის უზრუნველყოფა	
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება	65; 78
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა	91
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება	98
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება	102; 110; 121
7. საქმის წარმოების შეწყვეტა-შეჩერება	
საქმის წარმოების შეწყვეტა	130; 132; 139
საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება	142
8. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	148; 154; 158; 162; 166

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge